

# საქართველო

## საქართველო



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

23 აპრილი, 2013 წ.

№58 (3668)

ბათუმის 77-ე წელი

ფასი 1 ლარი

### რეზონანსის განხილვა

„ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შექმნა ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი ტელეარხი საქართველოში. ეს გააკეთა მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილმა ჯიბის ტელევიზიად აქცია ყველაზე დიდუდიტორიანი ტელეკომპანია – „რუსთავი 2“, დაარბია ქვეყნის იმედად ქცეული ტელეკომპანია „იმედი“, გაანადგურა ტელეკომპანია „იბერია“, მიწასთან გაასწორა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ტელეკომპანია „202“. ფაქტების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. მიხეილ სააკაშვილი ვერ იტანდა და ვერ იტანს თავისუფალ მედიას, იქნება ეს ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედია. მისთვის მთავარია, ყველა არხი იყოს მისი „ჯიბის ტელევიზია“, მას ემსახურებოდეს გაზეთი თუ საინფორმაციო სააგენტო.

პრესისა და კულტურის მიმართ მისი სივერაგის მგაღლითია საქვეყნოდ აღიარებული, მკითხველის საყვარელი გაზეთის „ლიტერატურული საქართველოსადმი“ დამოკიდებულება. კარგია, რომ მწერლების ძალისხმევით „ლიტერატურული საქართველო“ იბრუნებს თავის ტრადიციულ პოზიციას.

ბიძინა ივანიშვილი კი პირიქით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის იქით, რომ ქვეყანაში მედია გახდეს თავისუფალი. ჩვენ დღეს ძალიან შორს ვართ თავისუფალი მედიისგან და ასეთ დროს ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი ტელეარხის დახურვა მძიმე დარტყმა იქნება ჩანასახში მყოფი ქართული დემოკრატიისთვის.

ვისურვებდი, „მე-9 არხი“ არ დახურულიყო. მე მხოლოდ რჩევა შემიძლია, გადაწყვეტილებას მისი დამფუძნებელი და მესპატრონე იღებს და მაინც, თუ ბატონი ბიძინა ამ გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს, ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ „მე-9 არხი“ გადაკეთებულიყო ტელეარხ „კულტურად“. სახელწოდება პირობითია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აქვს ასეთი არხი. ჩვენ ხომ ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ქვეყანა ვართ და ასეთი არხის არსებობა არათუ გამართლებულია, აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის, მისი მომავლისთვის.

საქვეყნოდ ცნობილია ბატონი ბიძინა ივანიშვილის ამაგი კულტურის მიმართ. იგი დაულაღვად ზრუნავს როგორც კულტურულ მემკვიდრეობაზე, ასევე კულტურის, მეცნიერების, განათლების, სპორტის მოღვაწეებზე.

„საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ საპატიო პრეზიდენტი, მშვიდობის მსოფლიო ელჩი, ცნობილი რეჟისორი რეზო ჩხეიძე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას „მე-9 არხის“ დახურვასთან დაკავშირებით.

მისი აზრით, მთავარი ის კი არ არის, ვისი დაფუძნებულია ტელეარხი ან ვინ არის მესპატრონე, არამედ ის, რამდენად მართალი, თავისუფალი და ობიექტურია იგი.

სრულად ვთავაზობთ „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ საპატიო პრეზიდენტის რეზო ჩხეიძის პოზიციას.



ვფიქრობ, კულტურის სამსახურში ჩამდგარი ტელეკომპანიის არსებობა საქართველოში ბატონი ბიძინას მოღვაწეობის გენერალური ხაზის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა.

„საქართველოს ხალხთა ასამბლეა“ მუშაობს იმაზე, რომ საბერძნეთში, ოლიმპოს მთაზე, ჩაატაროს საქართველოდან ემიგრირებულთა დიდი კონგრესი. 25 აგვისტოს ვბრუნდები საქართველოში და ვაპირებ, ვენვიო პრემიერს ტელევიზიასთან დაკავშირებული იდეით და ოლიმპოს მთის კონგრესის თაობაზეც ვესაუბრო.

მესმის, რომ ბევრი წინადადება ტრიალებს ქართულ სივრცეში „მე-9 არხის“ მომავალთან დაკავშირებით. ვფიქრობ, საქართველოში პოლიტიკური თემებით დაინტერესებული ტელეარხების რაოდენობა საკმარისზე მეტია და, თუ რამე დაიჩაგრება „საკაშვილის ეპოქაში“ – ეს ქართული კულტურაა, ანუ ის, რითაც ჩვენ გამოირჩეული ადგილის დაკავება შეგვიძლია მსოფლიოში – ამას აღიარებენ სხვები,

ამას გვეუბნებიან ჩვენი მეგობრები და სამწუხაროა, რომ „ნაციონალების ხელისუფლება“ ებრძოდა ჩვენს კულტურას, ყოველივე ქართულს.

ქართულმა კულტურამ ყველა ეპოქაში გაუძლო შიდა თუ გარე მტერთა შემოტევას და ამ ძლიერ ფენომენს დღეს მეტი თანადგომა სჭირდება. გადაწყვეტილება სპეციალური სატელევიზიო არხის შექმნის თაობაზე ამის ნათელი დადასტურება იქნებოდა.

მიხარია, რომ „საქართველოს ხალხთა ასამბლეა“ სრულად უჭერს მხარს ჩემს წინადადებას. ამ აზრს იზიარებს თითქმის ყველა, ვისაც უცხოეთში ვხვდები თუ ტელეფონით ვესაუბრები. მე ასამბლეის საპატიო პრეზიდენტი ვარ და მახარებს, რომ მის მოქმედ პრეზიდენტს, მოღვაწე კაცს, საქართველოსთვის თავდადებულ ადამიანს, ბატონ გოჩა ძასოხოვს იგივე პოზიცია აქვს, რადგან კარგად იცის, რა დღეში ჩაადგო ნაციონალების ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა. მან ხომ მიხეილ სააკაშვილს ყოველგვარი ადამიანუ-

რის წინააღმდეგ მოქმედი ბარბაროსი უწოდა და ხაზი გაუსვა, ამ ბოროტი კაცისგან, 20 იანვრის შემდგომ რომ თვითმარქვია პრეზიდენტი, არც შეწყალება მინდა და არც მოწყალება, ჩვენ დავიცავთ საქართველოს და მის მომავალს სააკაშვილის მსგავსი ბარბაროსებისგან.

ჩვენ ასამბლეაში შევთანხმდით, რომ კონგრესზე საბერძნეთში, ოლიმპოს მთაზე ვისაუბრებთ საქართველოს ხალხთა ტრადიციულ ერთგულებაზე ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი, მშვიდობაზე კავკასიაში, საქართველოს მომავალზე, იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის და მისი ხელისუფლების დამოკიდებულება ადამიანისთვის ღმრთისა და ბუნების მიერ მინიჭებული სიცოცხლის, სიტყვისა და საკუთრების უფლებისადმი. ჩვენ ამ ფუნდამენტურ საკითხებზე საუბარი დავინწყეთ სოჭში, ასამბლეის დაფუძნების დროს, ამაზე ვიმსჯელებთ საბერძნეთში, ოლიმპოს მთაზე, და მომდევნო წელს საქართველოში, სადაც „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ კონგრესთან ერთად იგეგმება ყოველთა ქართველთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის ჩატარება.

დაბოლოს, არ შემიძლია, არ ვთქვა: სააკაშვილმა ამ დღეებში ბევრი უკადრებელი იკადრა როგორც „მე-9 არხთან“, ასევე ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით. მისთვის ყოველი ღირსეულის შეურაცხყოფა ჩვეული ამბავია. ჩემი აზრით, ჟურნალისტებს სჭირდებათ მეტი სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ და საქართველოს მოსახლეობის დიდი თანადგომა, რომ სააკაშვილის ველური გამოთქმები და მისი ბარბაროსული ეპოქა დასრულდეს.

ისტორია არ დაივწყობს, რომ ჟურნალისტებმა ქართული დემოკრატიისთვის ბრძოლის გზაზე ბევრი თავხედობა ითმინეს, მაგრამ საქართველოს და ქართველ ხალხს არ უღალატეს. მადლობა „მე-9 არხს“ და მის ჟურნალისტებს. ჩვენ დიდი ბრძოლა გველის წინ ადამიანის ბუნებითი უფლების – სიტყვის უფლების დამკვიდრება-განმტკიცებისთვის.“

რედაქტორისაგან:  
 ძვირფასო მკითხველო!  
 ამ მეტისმეტად ვრცელ ლექსში ქუთაისში მოღვაწე ქალბატონი ცირა შალაშვილი მაიმუნეთში მოგზაურობას აღწერს!  
 რასაკვირველია, ასეთ ქვეყანაში, ვიდრე „მოდარაჯე კაცის თვალი ანგელოზს დაინახავს“, იქამდე ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, წინ მაიმუნების გუნდი შემოეყრება!  
 აქ პეიზაჟიც ერთობ უცნაურად გამოიყურება:  
 „მწვანედ გაყინულ ხელოვნურ ბალახს პლასტმასის პალმა ეყუდა გვერდით,  
 არ შემხვედრია ჩვეულებრივი ანუ – ცოცხალი ხის ერთი ნერგიც“.  
 ასეთ ქვეყანაში, ანუ მაიმუნების ქვეყანაში, ორჯერ ორივით არის ნათელი:  
 „რომ ყველას, თვითონ ადამიანსაც, ეძლევა შანსი იმაიმუნოს!“  
 ოლონდ პირიქით, მაიმუნი ადამიანად რომ იქცეს, ასეთი რამ სასტიკად აკრძალულია!  
 რასაკვირველია, „მაიმუნების ქვეყანასაც“, დღემდე, ერთი მთავარი მაიმუნი განაგებდა – სხვათა შორის, პოეტ ქალბატონს არსად უნერია, მაგრამ მკითხველი აუცილებლად ამოიცნობს, რომ ეს კაცი მიხეილ სააკაშვილია!  
 ხოლო „მაიმუნების ქვეყანაშიც“ რომ ბოლო ათი წლის ნაციონალური საქართველო ნაგულისხმევი – დიდი ღარი და საზომი ამის მიხვედრასაც არ სჭირდება!  
 მაშ, ასე, ძვირფასო მკითხველო, წინ საინტერესო მოგზაურობა გველის, ოლონდ ეს ყველაფერი მანამდე უნდა მოვასწროთ, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში ახალი აკუებისა და ახალი გაკუების დრო დამდგარა!..

# მოგზაურობა მაიმუნეთში, ანუ ნაცნობი ქვეყანაში!..

ბევრი ვიარე თუ ბევრზე ცოტა, როგორმე ეს დრო რომ გამეყვანა, მაიმუნების ქალაქთან შევდექე, მაიმუნების ვნახე ქვეყანა და გამახსენდა ღმერთის პოეტი, „დევებით სავსე ქუდზე“ რომ წერდა... ვიღაც ამ ნაქებ მაიმუნეთში მზის საათს თავის ნებაზე წევდა. რა გინდათ, მითხრათ! ალბათ, მეძინა და ყველაფერი სიზმარში ვნახე? რას ბრძანებთ. ახლაც იმათ წინ ვდგავარ და თვალწინ მიდგას იმათი სახე! გორილებსა და გიბონებს ანდა შიმპანზებს და მაკაკებს ჰგავდნენ, ჰგავდნენ კი არა, თავადვე იყვნენ, იდგნენ და ჟამის მღვრიე პურს ჭამდნენ. კარიბჭის შიგნით... უნდა ვთქვა ისიც, რაც მერე ვნახე, გალავანს მიღმა, არვის ესმოდა ერთიმეორის, ყველგან ისეთი გნიახი იდგა. და, უფრო მეტად, რა იყო, იცით, მზეთუნახავი და გასაკვირი? – პირი ხომ ჰქონდათ!

ყურებზეც, ცხვირზეც, ზურგზეც კი... ყველგან ეხატათ პირი. თუმცა, „ეხატათ“ ვერ გამოხატავს შირაარსობრივ ნამდვილ ბუნებას, ჰოლივუდური კბილები დრო-ჟამს დისტანციურად ახრამუნებდა. ერთი ჯამიდან მიწის რბილ ნაჭრებს, „ზღვას“ და „მდინარეს“... ყლაპავდნენ ლუკმად, ხელს ახოცავდნენ უკვე წარსულის ანუ მომავლის „ფიზიკურ რუკას“. ჩვენი „ნაცნობი“ მაიმუნები, ანუ შიმპანზე, გორილა და სხვა მსახურად ჰყავდა მაიმუნეთის ამ უცნაურ და უახლეს კასტას. ნოყიერი და მაძლარი ვახშმის ან სადილის და საუზმის შემდეგ მოსანელებლად სამაიმუნო ხომ სჭირდებოდათ რაიმე ბრენდი, მით უმეტეს, რომ მთავარ მაიმუნს, მაიმუნეთის წესით და რიგით, სასიამოვნოდ უღიტივებდა კუდის ქვეშ ყოფნის მსურველთა რიგი: უცხოურ ფერად შეღებილ თავებს ერთი ჭაღარაც არსად ერია, იდგა პირლია მაიმუნეთი და მზერდა მუდმივ ტელესერიალს. ტელესიხარულს ჰგავდა „პოეტი“, ტელეექტრისა და ტელეხასა, გადმოცვენაზე ჰქონდა თვალები დროს, რომ უცქერდა ამ ახალ რასას, მაგრამ გონი და ძალაუფლება თითქმის აღარსად აღარ დავობდა და აწყდებოდა ის, ჩემთან ერთად, სულ ახალ-ახალ სანახაობას: ალტაცებული ყიჟინისაგან სმენადაკარგულ მთავარ მოედანს ფეიერვერკთა ელვა და წვიმა რაღაც ხილვებთან აიგივებდა: მარჯვენა ხელი მარცხენა გულთან – მაიმუნების ყოფნის მისია ამუსიკებდა ძირითად კანონს – ეს დღე ჩვენი, ხვალე სხვისია! მონყენილობის გულგასახეთქად ორკესტრი ისე ხმამაღლა ქუხდა, ცასაც ესმოდა, ცის მაღლა სხვასაც და ქვეყანაზე არავინ წუხდა. უკრავდნენ „კუჭზე“, „ნერვებზე“, „ტვინზე“, „სხეულზე“, „გულზე“ და სხვადასხვაზე და ზანზარებდა მთელი ქალაქი მათ სუპერმოდურ საკრავთა ხმაზე. თუ გამოიცნობთ, აბა, ორკესტრში დოლებს რად სცემდნენ მათი გუნებით, რაც მეტს ურტყამდნენ, უფრო ხარობდნენ ჩვენი „ნაცნობი“ მაიმუნები. და, იცით, მართლა, მაიმუნეთში რა იყო, მე რომ მთლად გამაოცა? – ჯერ ერთი, ის, რომ ადამიანებს სულ არ ამჩნევდნენ, ხედავდნენ როცა.

მაიმუნებს ხომ მაიმუნები ჰყავდათ მეგობრად და ამხანაგად და, რა თქმა უნდა, ნათესავებიც ადამთა მოდგმას სულაც არ ჰგავდა, სხვებს არავისაც არ უყურებდნენ, გინდ ყოფილიყვნენ და გინდაც არა! სამაიმუნეთს ჰქონდა კანონი – მაიმუნების იყო ქვეყანა! ადამიანებს რაც შეეხება, იქ წასულიყვნენ, საითაც სურდათ! გაცემული აქვთ, კარგა ხანია, იმათი ყოფნა-არყოფნის ხურდა. ხელგამოწვდილნი, მონყენილები, ფიქრიანები და ნაღვლიანნი – სულ ადვილია, გამოარჩიო მაიმუნისგან ადამიანი!

ოქმი : რა უმსჯელია მაიმუნების ღირსეულ კრებას:  
 „რომ არ შეამჩნევ და რომ არ ხედავ, ისიც და მისი პრობლემაც ქრება“.  
 ხედავთ, რას ჩანვდა იმათი ნიჭი და გამჭრიახი მათი გონება? – მაიმუნეთის ეს არის მართლაც უნიკალური გამოგონება!

მეორე, რაც სულ მინდოდა მეთქვა, არ დამავინყდეს ჩემი სათქმელი: მაიმუნების ამ ქვეყანაში – ორჯერ ორივით არის ნათელი – რომ ყველას, თვითონ ადამიანსაც, ეძლევა შანსი, იმაიმუნოს, ოლონდაც ბელადს არ გადაუსწროს და თავიც მეტად არ დაიპუროს და სულერთია, ვინ იყავ გუშინ, ვის ჰგავხარ – მკვდარს თუ სულ ახალ დევნილს, გადმოგეცემა გუნდის ვიშპელი, მაიმუნეთის ხარ უკვე წევრი. იმ ერთი-ორს კი, ვისაც, პირიქით, ადამიანად მოუნდა ქცევა, სულ ეკრძალება ქალაქში ყოფნა და მაიმუნთა მიჰყვება წყევლა. ჩვენი მეეტლე დავლანდე იქვე, სხვა უბნისაკენ გვიძღვება ბინდი, ქვადქვეულ სახლებს გასცლოდა სული, ვერ აერთებდა დროებს ვერც ხიდი. მწვანედ გაყინულ ხელოვნურ ბალახს პლასტმასის პალმა ეყუდა გვერდით, არ შემხვედრია ჩვეულებრივი, ანუ ცოცხალი ხის ერთი ნერგიც. ენერგიული ნეონის შუქი ეხვია ქალაქს ცივი ნათებით და არსად ჩანდა საერო შუბლი, ფიქრიანი და ლამენათევი. საქანელები და შადრევნები ფერად-ფერადი ილუზიებით, კარუსელები, ატრაქციონთა ფერუხვი ილუმინაციები... თითქმის ყოველი წამი და წუთი სასიხარულოს ირგებდა ფარჩას და სულ მიკვირდა, თვით სიხარული სად იყო ამ დროს, სულ რომ არ ჩანდა! თითქოსდა მართლა მსოფლიო დონის ყვაოდა ხიბლით გოჯი თუ ადლი, მაგრამ არაფერს არ ედგა სული და ღვთისმყერი არ ჰქონდა მადლი. ღამე გვიმზერდა, როგორც ლატაკი, ტანთ რომ მდიდარი კაბა აცვია, მაიმუნების იდგა ქალაქი, როგორც თეატრის დეკორაცია!

და იმათ მადას ძლივს გასწრებული დრო, ჩემს მზერაში რომ დაიმაღლა, ეტლის კოფოზე, მეეტლის გვერდით, დაჯდა და მათი წუთები თვალა. ჩვენი ეტლი კი ისე ტოვებდა მაიმუნეთის სანუკვარ ქალაქს, მართლა არ ვიცი, რომ მკითხოთ ახლა, მართლა ვიყავი მე იქ თუ არა!

ცირა შალაშვილი  
 2009 წლის 9 სექტემბერი



# როგორი არ უნდა იყოს ადამიანი (ცოკლიდან – ომი ბნელეთთან)

სწორი მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი ამახსენებს რეჟიმის მიმდევარს (გაზ. „ლიტ. საქართველო“, 4, 2001 წ., გვ. 5) და მიმართავს:

„ბატონო რეზო, ლამეკის პირდაპირი შთაბრძნავალი, შენც ძმათა სისხლში გაგსვრია ხელეები იმდენად ბნელია თქვენი სახე და სულის ჯურღმულები, ცოტათი შუქი თუ არ მოვინებთ, თაობები კი არა, თვით მამაზეციურიც კი დაიბნევა თქვენი ქამელეონური რაობის წინაშე. თქვენი რაობა კი იმდენად ქამელეონურია, ყოველწამიერ არარაობად იქცევა და ერთობ ძნელდება თქვენი ძირისძირობამდე გაშიშვლება. მაინც შევეცადები, თუმცა, უფლისა და კაცის წინაშე კიდევ ერთხელ გაძლევთ სიტყვას, რომ არ მოგსპობთ. უბრალოდ, დაგდაღავთ, რამეთუ, იაროთ ისე, როგორც იარა თქვენმა პირდაპირმა წინაპარმა ლამეკმა და ლამეკის პირდაპირმა წინაპარმა კაენმა. თქვენ ისეთი მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი პერსონა ბრძანდებით, ერთი ადამიანი ნამდვილად უძლურია თქვენი პორტრეტის დასახატად. ჩვენ, ვისაც უნივერსიტეტის წლები და თქვენი ლექტორობა გვახსოვს, ყოველთვის აქტიური მზის წელიწადი გეძგაოთ. ესპანური მამალივით დადიოდით სტუდენტ გოგონათა შორის. იარაღად მეტად ბასრი, ორლესური გეპყრათ – ჩათვლა და გამოცდა. ბუნებრივია, ბევრი ვერც დაგიდგებოდათ წინ და თქვენც თბილისის ლამეკებში ბევრჯერ შემოგვლეთით ხაბარდაც და ჯუბა-ხალათიც, თუმცა არ გიკარებდნენ „ბევრის ფეხები“... იქნებ, აქაც ყალბი იყავით, იქაც კახანოვას ნიღაბს ატარებდით... ახლა ჩვენ კი გვეძახით უნიჭო მწერლებს, მაგრამ თქვენს აქტიურ წელიწადებსაც დასდგომია დალისი ჟამი, თორემ თქვენს სახელმძღვანელოებს, როგორ გაუცვლიდით სტუდენტ გოგონებს ნიშნებში? თქვენი წიგნი რომ არ ჰქონოდათ ნაყიდი, ისე როგორ შემოგებდავენ თქვენთან ჩათვლაზე ან გამოცდაზე შემოსვლას? თანაც, ავტოგრაფებსაც კი უწერდით. ამას რა სჯობს, მაგრამ ავტოგრაფი მხოლოდ იმიტომაცა საჭირო, ჩათვლა-გამოცდაზე ვინმე სხვისი წიგნით რომ არ შემოგპაროდით... თქვენში, უწინარესი, ყოველთვის „მე“ ბობოქრობდა. პირადული მუდამ მალა იდგა თქვენში, ვიდრე ეროვნული, ვიდრე საერთო ქართული ტკივილი და ტრაგედია. ყოველი თქვენი „ქართული საქმე“ ფარსი და ნაყალბევი გახლდათ. უბრალოდ, ეროვნული ღირებულებებით ვაჭრობდით, რათა საკუთარი თავი წარმოგეჩინათ“.

ამავე „ლიტერატურულ საქართველოში“ მწერალთა კავშირის პრეს-ცენტრის წერილია სათაურით: „ვაი მწერალთა უკეთურობათა“

ამ წერილის გამოქვეყნებისას, ვერც მწერლები და ვერც მწერალთა კავშირის პრეს-ცენტრი ვერასვრით ვერ მოიაზრებდნენ, რომ რეზო მიშველაძე რამდენიმე წელიწადში მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი გახდებოდა!

თუმცა, დავუბრუნდეთ ალექსანდრე სოლჟენიცინის ზემოთ დასახელებულ წერილს:

„ყველას ახსოვს, 1988 წელს გამართულ მწერალთა საერთო კრებაზე რამდენი ხმა დააგროვა, თავმჯდომარის ვაკანტურ ადგილზე რეზო მიშველაძემ. არც მეტი, არც ნაკლები – შეიდად-შეიდად ხმა მიიღო. მთელი თორმეტი წლის მანძილზე სათავმჯდომარეო სურვილი აღარ გასჩინია ამ „პატარა ცახესს“. მწერალთა XX ყრილობაზე კვლავ წარმოჩინდა რ. მიშველაძის ზღვარგადასული ამბიციები. ამ დროისათვის მან არაერთ პრესტიჟულ ჯილდოს გამოჰკრა ხელი, ზოგი მათგანი ერთჯერადი იყო და, როგორც აღმოჩნდა, სწორედ მისივე დაარსებული გახლდათ, ზოგიც ქართული შემსწარმებლური, ტოლერანტული ხასი-

ათის გამო გაიმეტეს. უნივერსიტეტში კათედრის გამგებობასაც გამოჰკრა ხელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, პარლამენტშიც კი მოახერხა შესვლა“.

ახლა მოვუსმინოთ (იმავე გაზეთში) ცნობილ პოეტს, ქალბატონ ია სულაბერიძეს:

„უკბილო ანეკდოტების ნოველებად გამსაღებელი „ჯენტლმენი“ მწერალი აივანზე გავიხმე და ვთხოვე – მოყენებულ შეურაცხყოფის გამო ბოდიში მოეხადე. ქამელეონივით ფერნაცვალმა რეზო მიშველაძემ მლიქვნელური დიტირამებით ამავსო და მდაბალი ბოდიშიც მოიხადა. მიშველაძის ცხოვრების ეს „უწყინარი“ ეპიზოდი იქნებ არც გამოხსენებოდა, მაგრამ „შანსში“ დაბეჭდილი „შედეგი“ რომ ვიხილე, მივხვდი: ამ კაცის ქრონიკული ნარცისიზმი საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს და მას სასწრაფოდ სჭირდება შოკური თერაპია. ეს გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ მის სურათსაც ეტყობა: სოცრეალიზმის მეხოტბე კაცის სახეზე აშკარად გვაშური ლაქებია! პროფესიით ექიმი ვარ და ეს არ გამომეპარება. პირიც საგულდაგულოდ აკრულივით, ისე აქვს მოკუმული, რომ ტუჩების ნაცვლად ერთი სწორი ხაზილა უჩანს. მოკლედ, ყველაფერი იმას მიუთითებს, რომ მიშველაძეს დეფიბრილატორით რეანიმაცია სჭირდება და, თანაც, - საკმაოდ მაღალი ძაბვით, სხვას მლიქვნელობას აყვედრის, თავად კი ემლიქვნელობა განურჩევლად ყველას, რადგანაც იცის, რომ როდესმე უთუოდ რამეში გამოიყენებს. მლიქვნელობის ჟანრის თვალსაჩინო ნიმუშია „სატელეფონო წიგნზე მინანქრები“, რომელიც არჩევნების წინ ცხრაჯერ მაინც წამოსძახა მწერლებს – თითოეული თქვენგანი გაგიხსენეთ და მოგაფრეთო. რა დამავიწყებს – მიშველაძემ „ლიტ. საქართველოში“ დაბეჭდა გულისამაჩუყებელი ნოველა მურმან ლებანიძეზე. მართლა დავიჯერე, რომ მასში ყველაფერი გულწრფელად იყო ნათქვამი. ამ ნოველის გამოქვეყნებიდან, ორივე კვირაც არ იყო გასული და, - ლაშა გახარიას პოეზიის საღამოზე, უნივერსიტეტში, ლევან ლევინიამ პოეტს სთხოვა, მეგრულად წაეკითხა ლექსები. ლაშა უარზე დადგა და უცებ: „წაიკითხე, ჩემო ლაშა, წაიკითხე ლექსი მეგრულად, რა გეშინია, დღეს ხომ დარბაზში მურმან ლებანიძე არ ზისო“, - გაისმა მიშველაძის ომანიანი ხმა. სახტად დავარჩი: იმ ნოველის შემდეგ ამას ნამდვილად არ მოელოდი! ეს იყო დაბეჭდების კლასიკური ნიმუში! იქით – გულისამაჩუყებელი ნოველა (რომელიც მისაფურთხებელი მლიქვნელობა აღმოჩნდა), აქით – საშინელი დაბეჭდვა! არადა, ამ დროს მურმანს სულ ახალი დასაფლავებელი ჰყავდა ფიქრია! არც ეს გაითვალისწინა თავადაც შეილმკვდარმა მიშველაძემ. იგი შესაძლებლობას არ უშვებს, რომ არამარტო სამეგრელოსთან, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებთან დაბეჭდოს ბატონი მურმანი. არც გაზეთ „შანსში“ გაუშვია შანსი ხელიდან: „მურმან ლებანიძის სჯეროდა ხალხს“-ო განაცხადა! კი არ სჯეროდა, არამედ, მურმან ლებანიძისა მუდამ სჯერა ხალხს! ეს ჩემზე უკეთესად იცის უხეირო ანეკდოტების უხეირო ნოველებად გადამკეთებელმა მიშველაძემ და მისი სატიკვარიც ეს არის. ვისაც ვერ სწვდება, სწორედ მათ კენს მიშველაძე: ჭაბუა ამირეჯიბს, მურმან ლებანიძეს, ოთარ და თამაზ ჭილაძეებს, მოკლედ, „ოტარიდის“ ყველა წევრს. მე ჯერ მხოლოდ რვა წელიწადია, მწერალთა კავშირის წევრი ვარ და სამიოდე წელია, მიშველაძეს ვიცნობ. როგორ არა მშურს იმ ადამიანებისა, ვისაც ამ პიროვნებასთან ნაცნობობისა და ურთიერთობის გაცლებით დიდი სტაჟი აქვთ, ვინც მისგან ოდნავ მაინც არის დავალებული! წარმომიდგენია, რამდენი რამ აქვთ სათქმელი! წარმომიდგენია, მათ გულში „რა ბაღდაძეა სდულს“, ვერ ამბობენ! ვერ ამბობენ უკადრებელის

მკადრებელ კაცთან შებმის რიდით! რამდენი წასულა მის მიმართ დათმობასა და კომპრომისზე, ან მისი მტრად მოკიდების შიშით, ან იმ ნატურალური გაცვლების მიზეზით, რომლის წინაშე ადამიანი ხშირად სუსტია. სწორედ ამ კომპრომისებისა და ნატურალური გაცვლების შედეგია ამ არცთუ რიგიანი ნოველების მწერალი კაცის მიერ მონადირეული რუსთაველის პრემია. თუ ვინმე მკითხავს: ღირდა კი ერთი ნარცისიზმით დაავადებულის გამო ამდენი მსჯელობა, ვუპასუხებ, ღირდა! და იცოდნენ ადამიანებმა, ვის სიტყვას დაუჯერონ და ვისას – არა! ამას გარდა, მე „ჰიპოკრატეს ფიცი“ მაქვს დადებული და ავადმყოფთან შეხვედრისას (თუნდაც დარწმუნებული ვიყო გამოსავლის არაკეთილსაიმედობაში), რაც კი შემიძლია, ყველაფერი უნდა ვცადო, რა გამოვა ამ მცდელობიდან, ეს უკვე ღვთის ნებაა არადა, იმ ფოტოსურათზე მიშველაძეს სახეზე ნამდვილად ეჩვენება გვაშური ლაქები“.

ვეუო და ბატონებო! როგორც ვხედავთ, პროფესიონალ ექიმს ძალიან უიმედო პროგნოზები გააჩნია რეზო მიშველაძის მიმართ. მიშველაძეს უამრავი ადამიანი მიიჩნევს ავადმყოფად ანუ ანტიადამიანად ანუ ისეთად, როგორც არ უნდა იყოს ადამიანი! „ხარჯი ხარჯია“-ო, - უთქვამთ და ამავე გაზეთში („ლიტერატურული საქართველო“, №4, 2001 წ.), მეხუთე გვერდზე კიდევ ერთი განმარტებაც წავიკითხობთ. მისი ავტორი ან უკვე გარდაცვლილი კრიტიკოსი ჯანსუღ ლეინჯილიაა:

„გაზეთ „შანსში“ რეზო მიშველაძის მიერ თქმული იმის შესახებ, თითქოს მე წინააღმდეგი ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ბატონ თამაზ წიგნიავის არჩევსა, არ შეეფერება სინამდვილეს“.

სიცრუე! სიცრუე! სიცრუე! მლიქვნელობა უსასრულო! ბეზლი და ბეზლი!

ეს ყოფილა მიშველაძის ქეშმარიტი პროფესია!

რასაც გაეგება, ვისაც მიეკარება, ყველას და ყველაფერს აბინძურებს და აჭუჭყიანებს! მიშველაძის ავადმყოფური, სიგიჟემდე მისული პროლეტარობა, კომუნისტობა და კომუნისტობის მიძღვნილი საზიზღარი დიტირამები წამლავდა საზოგადოებას, ახალგაზრდობას, სტუდენტებს. ავიღოთ მისი წიგნი „კრიტიკული მონოლოგები“ (გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973 წ.) და წავიკითხოთ: აქ ჩვენ ვნახავთ მუდამ მუცელზე მხოხავი მლიქვნელის, მარადუაშს ნაკუზულ, საშინლად არაბუნებრივ პოზებში მდგარი არსების დუჟა და დორბლს, სიცრუეს, სიმულგეს, ღვთიას, ნივილს, მონადეებს, რაც, ჯამში საბჭოთა იდეოლოგიის მეძველება და რუპორობაა.

**P.S.** პარალელია გასაველები ნაცმოძრაობის ყველა წევრს და მიშველაძეს შორის! მათ ბევრი რამ აქვთ საერთო: ურცხვობა, უტიფრობა, უსინდისობა და ურწმუნოება! ცხოვრებამ მთელ ქვეყანას უჩვენა ამ ღვთის მგომბელთა ხროვის მრავალი უზნეობა, ვამპირიზმი (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!), მაგრამ ლაფში ამოსვრილი მაინც იხტიბარს არ იტყვენ და დიდ-პატარას თვალში ეჩხივებიან – რაღაც ეფემერულ სიმართლეზე, სამშობლოსადმი თავდადებაზე და დემოკრატიზზე გაჰყვირიან!

ყოველივე ამტკიცებს, რომ ნაცმოძრაობის სახალაზე ქვაბში მობუფბუფე უნამუსო, მანქურთმა მწერლებმა, მსახიობებმა, პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა, პედაგოგებმა, მედიცინის მუშაკებმა, მომღერლებმა და სხვა პროფესიის ასე თუ ისე ცნობილმა ე.წ. ცნობადმა სახეებმა, ყოველივე ქეშმარიტი ქართულის წამლა-განადგურება სცადეს!

## ჯეჟალ დავლიანიძე



უეჭველია, ამ ანტიქართველებს ხელს უწყობდა და აფინანსებდა მსოფლიოს ე.წ. წამყვან სახელმწიფო მესვეურთა ის ნაწილი, რომელიც კაცობრიობას დალუპვისაკენ მიაქანებს!

მთავარი მათი მიზანი – ღვთისგმობაა, უფალთან ომის გამოცხადება და ადამიანის მორალური გახრწნა-გადაგვარება!

ამ უბნელესი ჩანაფიქრის განსახორციელებლად უპირველესს დარტყმას აყენებენ ერის მამის – ილია ჭავჭავაძის უსპეტაკეს სამეულს: მამულს, ენას, სარწმუნოებას!

სულ რაღაც ოცი-ოცდაათი წლის წინ, ჩვენ, თვით საერო სასწავლებლებში, გვასწავლიდნენ, რომ მამათმავლობა და მასთან დაკავშირებული გარყვნილებანი განეკუთვნებოდა ფსიქიატრიულ დაავადებებს!

მოვიდა დრო და, მართლაც დემონურმა ბნელეთმა, რომელსაც თავისი ზესაიდუმლო მმართველობა გააჩნია, ხანგრძლივი და ეშმაკური მუშაობით კაცობრიობა მიიყვანა დაბრმავებამდე.

დღეს ცდილობენ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს კაცის კაცზე ქორწინება, კლონირება, შვილის არასქესობრივი, არაბუნებრივი გზით გამოყვანა, მისი აღზრდა ორი არსების მიერ, რომელსაც, რა დაარქვა კაცმა, აღარ იცი! მოდამოა საზოგადოებრივი თავმჯდომარის ადგილებზე შიშველ-ტიტველი სიარული! ზედიზედ იხსნება ქუჩებში ე.წ. კვების ობიექტები, ისინაც ათასგვარი პირის ჩასატკბარუნებელია! არის მცდელობა, ადამიანს მთლად დააკარგონ სირცხვილის გრძობა, რათა მან დედიშობილამ ამაყად იაროს, დანაყრდეს ქუჩაში! როგორც ჩანს, შორს აღარაა დრო, როცა დღისით-მზისით, სახალხოდა: დაამყარებენ სქესობრივ კავშირს (სქესობრივი ორგანოები ჰა და ჰა, უკვე გამოფენილი აქვთ), მოსაქმებენ, სადაც მოესურვებათ და კიდევ იმშობიარებენ!

იქნებ ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს ეს ამბავი, მაგრამ სულ რამდენიმე ათეული წლის წინ პედერასტობა და სხეულის სხვადასხვა ნაწილების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, კაცის მოყვანა ცოლად, ანდა მამაკაცის გათხოვება, ვინმეს წარმოედგინა? ქალწულობა ოდესმე დასაცინი და ჩამორჩენილობა თუ იქნებოდა, ვინმე წარმოედგენდა?

სოდომის ცოდვილნი თუ კაფე-ბარებს, სპეციალურ რესტორნებს გახსნიდნენ, ფიქრში თუ გაივლებდა ადამიანი? საკუთარი გოგონა ან ბიჭუნა თუ მშობლებს პოლიციამ უჩივლებდა – ჩემს სქესობრივ არჩევანში უხეშად ერევიანო, გუნებაში გაივლებდა ვინმე?

გოგონა თუ საკუთარი მამის, ბიჭი კი საკუთარი დედის ლოგინში ჩაგორდებოდა, აზრად მოუვიდოდა ვინმეს?

და ამ უბედურებათა მონინააღმდეგებს ათასობით ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია თუ დაემუქრებოდა, ამ საზიზღრობათა უარმყოფელთ თუ იარაღით, სამხედრო გადატრიალებით დაამხოვდნენ, ვინმე და ოდესმე წამით მაინც გაიფიქრებდა?

# ფსევდომორფოზა



მელა კუჭუხიძე

მსტაპ ბენდერის უბანში სახელმძღვანელოში მხატვრული ეპიტეტივიც არის – მხოლოდ ორი, როგორც დღევანდელ საქართველოში, ოღონდ სხვა: „ბოროტი“ და „კბილბდაკრეჭილი“. ჩვენთან: „მნიშვნელოვანი“ და „მაგარი“. მეორეზე გავამახვილებ ყურადღებას, ვინაიდან თავად პრეზიდენტი მ. სააკაშვილი შეამკო ამ ეპიტეტით ერთმა მომღერალმა და პრეზიდენტს ისე მოეწონა, რომ მომღერალს ჯერ გუბერნატორობა და მერე მინისტრობაც კი უბოძა და, რაც მთავარია, თუ ვინმე მოახერხებს და დაითვლის, ჩვენი პრეზიდენტი, შეიძლება, გინესის რეკორდების ნიგნძოც კი მოხვდეს სიტყვა „მაგარის“ უამრავჯერ გამოყენების გამო.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის განმარტებით „მაგარი“ „ძნიადა გასატყობი“-ა. ცხადია, გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება, როცა საქმე მხოლოდ არასულიერ საგნებს არ ეხება. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ეპიტეტი „მაგარი“ კარგთან, გამძღვესთან არის დაკავშირებული, მაგრამ მართლა ასეა? ნუთუ ცდებოდა დაოსიზმის ფუძემდებელი ლაოცი, როცა ამბობდა: „იბადება კაცი: თითოა და სუსტი; ოდეს კვდება კაცი: მაგარია და ხმელი, მაგარი და ხმელი მინას შეერთვის; თითო და სუსტი ზევად მალდება. ცისქვეშეთში არაფერია წყალზე უფრო სუსტი და წყალზე უფრო რბილი, მაგრამ ძალუძს სძლიოს: ყველაზე უფრო მაგარსა და ყველაზე უფრო ძლიერს. სუსტი სძლევს ძლიერს. რბილი სძლევს მაგარს“.

აღბათ დაოსიზმის მოძღვრების გავლენით შექმნა XX ს-ში ფრანგმა მოაზროვნემ, ორიენტალისტმა რენე გენონმა თავისი „სამყაროს გამკვირვების“ თეორია, რომლის მიხედვითაც, – მატერიალისტური მსოფლმხედველობის შესატყვისი სამყაროს ჩამოყალიბების გამო დასაბამიდან, ანუ თავდაპირველი სულიერებიდან დაშორება ხდება. ადამიანურ სამყარო და კოსმოსური სამყარო ერთმანეთისგან გათიშული არ ვართან, პირიქით, ისინი მჭიდროდ არიან შეკავშირებული, მუდმივად ზემოქმედებენ ურთიერთზე და თავიანთი მდგომარეობით მუდამ შესატყვისებთან ერთმანეთს.<sup>6</sup> ამის თვალსაჩინო მაგალითი, გენონის აზრით, ის კავშირია, რომელიც არსებობს კაცობრიობის ისტორიის ზოგიერთ კრიტიკულ ფაზასა და განსაზღვრულ ასტრონომიულ პერიოდებში წარმოშობილ კატაკლიზმებს შორის (თანამედროვე კატაკლიზმებიც კარგი მაგალითია: მინისფრები, გვალვები, წყალდიდობები, ცუნამი; 1912 წლის 18 სექტემბრის 40-ნუთიანი ცეცხლოვანი ტორნადო და სხვა ანომალიები).

სამყაროში მიმდინარე მატერიალიზაციის პროცესს გენონი გამკვირვებას (სოლიდოფიკაციონ) უწოდებს, რადგან ეს ტერმინი, მისი აზრით, უფრო ზუსტად და რეალურად ასახავს მატერიალიზმი, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა და გავრცელდა, უკვე თვითონ აძლიერებს გამკვირვების პროცესს. ამ მსოფლმხედველობიდან უშუალოდ თუ გაშუალებით მიმდინარე ყოველგვარი შედეგი, მათ შორის ყოველდღიური ცხოვრების გაგებაც, ამ პროცესს აჩქარებს, რადგან კოსმოსური გარემო თავისი ზოგადი

რეაქციებით რეალურად იცვლება იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებას იჩენს მის მიმართ ადამიანი.

გენონი წერს, რომ ამჟამად მიმდინარე მატერიალიზმის და გამკვირვების გავლენა ადამიანში და მთელ კოსმოსურ მანიფესტაციაშიც მიმდინარეობს, მნიშვნელოვნად იცვლება ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური წყობა, რა მიზეზითაც იგი ვეღარ იყენებს იმ უნარებს, რომლებიც შეგრძნებადი სამყაროს საზღვართა გადალახვის საშუალებას იძლევიან. ამის გამო დაეშვა ადამიანი. ზოგიერთ უნართა სრული და საყოველთაო ატროფია მოხდა, გაუკუღმართებული მოღვაწეობა, რასაც გენონი სამყაროს ფაბრიკაციას უწოდებს. მისი აზრით, სამყარო და ადამიანი ასე არასოდეს დაკინებულა.

საგულსხმოდ ის არის, რომ მატერიალიზმი საქართველოში სწორედ მაშინ აღზევდა, როცა სსრკ-ის და ოფიციალურად დაკანონებულ მატერიალისტურ მოძღვრებას დააღწია თავი. ნუთუ ვინმეს ეჩვენება, რომ დღევანდელ ხელოვნებაში, აზროვნებაში, ცხოვრების წესში უფრო მეტი სულიერებაა? მხოლოდ ეკლესიების რესტავრაცია და აშენება, ქუჩაში თუ სამარშრუტო ტაქსიში პირჯვრის გადაწერაა სულიერება? ეგებ ადამიანების ბოლმით და აგრესიით დამახინჯებული სახეები გამოხატავენ სულიერებას? სულიერება კი არა, აშკარა სადიზმის ნიშნები გამოჩნდა 2007 წ. 7 ნოემბრის დარბევაში, 2011 წ. 26 მაისის ღამემ ავადსახსენებელ 1989 წ. 9 აპრილსა გადააჭარბა. დაბოლოს, სადისტების პარპაში ციხეებში, რაზეც პრესაში მასალები კარგა ხანია ქვეყნდებოდა, 2012 წ. 18 სექტემბერს კი ტელეარხებით გავრცელდა პატიმრების ნამების ამაზრზენი, ფარულად გადაღებული კადრები.

მეორე, დღევანდელზე თავგამოდებით არასოდეს და არსად უერთგულიათ კარლ მარქსის დებულებისთვის: „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“. სულიერებისგან დაცლა რა გასაკვირია, როცა მთელი სიმძლავრით არის ამუშავებული ტვინების გამორეცხვის მექანიზმები, როცა ფათხაფუთხა მეტყველება ინერგება და როცა არავინ ახსენებს იმას, რომ ყველა კვლევითი ინსტიტუტი დაიკეტა, რომ გადაგვიარებულა ქართული თეატრი და კინო და თავად ამ დარგების წარმომადგენლები მხოლოდ დაფინანსებაზე ფულზე წუნუნებენ, პრეზიდენტი კი სულ იმას ჩაგვიჩინებს, რომ მისი ერთმმართველობის დამყარებამდე ყველაფერი უფარგისი, ძალიან ცუდი იყო და, რასაც ის აკეთებდა, ყველაფერი მაგარია, მაგარი, მაგარო...

მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი უბედურება არ არის: აქ ხომ ყველაფერი მიბაძვით კეთდება, დასავლური სტანდარტის მიხედვით. ფული არ აკლიათ აშშ-ში და არც ენანებათ მასკულტურის იმ პროდუქციის შესაქმნელად, რაც კიდევ ერთ ფსევდომორფოზას წარმოადგენს – ხელოვნების ნაწარმოებების პორნოინდუსტრიით და შოუბიზნესით ჩანაცვლება. ცხადია, ეს მიზანმიმართულად კეთდება, რადგან იციან, რომ ქვემარტი ხელოვნება რაღაც ძალას წარმოადგენს და მორჩილი მასის აღსაზრდელად არ გამოდგება. მაგრამ კალკულაციის მოყვარულებმა მაინც ვერ გათვალეს და მოულოდნელ შედეგაც მიიღეს: აშშ-ში გადაღებულმა ფილმმა მუსულმანური სამყაროს აფეთქება გამოიწვია. იმ ქვეყნებში, სადაც სულ რამდენიმე თვის წინ „არაბული გაზაფხული“ თავად მოაწყეს და თავიანთი სასურველი მთავრობები დასვეს, აღშფოთებულმა ხალხმა ფეხით გათელა და დაწვა აშშ-ის დროშები და საელჩოების შტურმით აღებაც მოინდომა, ლიბიაში აშშ-ის ელჩი და მისი 3 ხელქვეითი მოკლეს. ასანთის ღერიც პატარაა, მაგრამ შეუძლია, დიდი ხანძარი გამოიწვიოს.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებების მეშინია. ნუთუ ყველაფერი ახდება? ახდება 1993 წ. დაწერილი ოლდოს ჰაქსლის ანტიუტოპია „ეს მშვენიერი ახალი სამყარო“? აქ მოქმედება XXI ს-ში ხდება. უკვე განხორციელებულია მსოფ-

ლიოს სრული გლობალიზაცია. ტოტალურ სახელმწიფოს ათი რჩეულისგან შემდგარი მთავრობა მართავს. აღარ არის არასტაბილურობის გამომწვევი წარმონაქმნები: სახელმწიფოები, ერები, ოჯახები. ტექნიკამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ გვემოურად ხელოვნურად გამოჰყავთ საჭირო ადამიანების ოთხი გენი საჭირო რაოდენობით. დასაშვებია და აუცილებელიც სექსუალური პრომისკუიტეტი, აგრეთვე ნარკოტიკიც. შექსპირის თხზულებები და, საზოგადოდ, ძველი კულტურის ყოველგვარი ნიმუში განადგურებულია – არასტაბილურობის აცილების მიზნით, მაგრამ თირკმელზედა ჯირკვლის სტიმულირებისთვის რეგულარულად თვეში ერთხელ ბჰჰ-ს (ბობოქარი ფინის შემცვლელი) აუცილებელი მიღება დაანესეს. ორგანიზმში ადრენალინის შეყვანით ადამიანებს აძლევენ შიშის და გაშმაგების სრულ ფიზიოლოგიურ ეკვივალენტს, რომელიც ზუსტად შეესაბამება ოტელოს გამშაგებას, როცა დემონიან ასრჩობს, და მომაკვდავი დემონიან შიშს. ნუთუ ესეც ახდება? რა ექნა, რომ ელექტრონული მუსიკის და მოდური დიჯეების გარშემო შემოკრებილი ბრბოს ფსიქო-ფიზიოლოგიური მდგომარეობა ბჰჰ-ის ზემოქმედებას ძალიან მაგონებს?

მართალია, ჯ. ორუელის ანტიუტოპიის ლოზუნგი „არცოდნა ძალაა!“ ჯერ არ გამოუკრავთ, მაგრამ განა ამ ლოზუნგის მონოდედას არ გამოხატავს განათლების სისტემის რეფორმები, არაკომპეტენტურობის და არაპროფესიონალიზმის ნახა-ლისებდა ყველა სფეროში? – პოლიტიკოსებიდან და მინისტრებიდან დაწყებული, ნებისმიერი დანესტრულების ხელმძღვანელებით დამთავრებული.

ჯ. ორუელის ანტიუტოპიის მტრის ხატის შესაქმნელი რეცეპტი თითქმის ზუსტად ჰქონდა გადმოღებული სააკაშვილის მთავრობის დროინდელ ტელევიზია „იმედს“: „11 საათზე თანამშრომლებს ოთხიდან სკამები გამოჰქონდათ და დიდი ტელევიზორის წინ სხდებოდნენ – სიძულვილის ორნუთიანი გადაცემის საყურებლად. კედელში დამონტაჟებული დიდი ტელევიზორიდან გადმოიფრქვეოდა საზოგადოებრივი და ლრქილი, თითქოს რაღაც შემზარავი შეუ-ზეთავი მანქანა ამუშავებს. ამ მხმებისგან თმა ყალყზე დგებოდა, იწყებოდა სიძულვილი. ეკრანზე ხალხის მტერი ჩნდებოდა, 30 წამის შემდეგ მასურებლების ნახევარს უკვე აღარ შეეძლო გააფრთხილები წამო-ძახილების შეკავება, მეორე ნუთზე სიძულვილი გამშაგებამი გადადიოდა. ადამიანები ადგილებიდან ხტებოდნენ და მთელი ხმით ღრიალებდნენ“. დანესტრულებში ქვეები არ ჰქონდათ მომარაგებული, თორემ ქვეების სროლასაც დაიწყებდნენ, როგორც უკეთებდნენ „ქართული ოცნების“ მომხრეებს „ნაცმოდრობის“ ჩინოსანთა ოჯახის წევრები, დღეს რომ ანგელოზებად მოაქვთ თავი. და კიდევ ერთი მსგავსება: ქალები და უწინარესად ახალგაზრდები იყვნენ პარტიის ყველაზე ფანატიკური მიმდევრები, ლოზუნგების ჩამყლაპავები, ნებაყოფლობითი დასმენები და ჯაშუშები.

მხატვრული შემოქმედების ავტორებზე უფრო მწვავე და უიმედოა მეცნიერების პროგნოზები და თანამედროვე ვითარების შეფასებები. ფრანგი ფსიქოლოგი ექიმი, ანთროპოლოგი და არქეოლოგი გ. ლებონი (1841-1931) ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც შეეცადა, თეორიულად დაე-საბუთებინა მასების ხანის დადგომა და მასთან დაკავშირებინა კულტურის სა-ერთო დაცემა და, საერთოდ, პიროვნების გაქრობა. ცივილიზაციებში, სადაც ბრბო ასრულებს მთავარ როლს, ადამიანი კარგავს არსებობის აზრს ისევე, როგორც საკუთარი „მე“-ს შეგრძნებას. ფრანგმა ფსიქოლოგმა და სოციოლოგმა გ. ტარდმა (1843-1904) განასხვავა ინდივიდის ფსიქოლოგია და ბრბოს ფსიქოლოგია, სადაც ინდივიდუალური დათორგუნვა ხდება. ტარდი გავლურ მოქმედებას ადამიანთა სიმრავლის ჰიპნოზირებად მიიჩნევდა, სომნამბულიზმის ერთ-ერთ ფორმად ჯერ კიდევ მაშინ, XIX-XX სს. მიჯნაზე,

როცა არც მასსაზოგადოება არსებობდა, არც მასკულტურა, არც ტელევიზია, როცა არ მიმდინარეობდა ინტენსიური მასიფიკაცია და, რაც მთავარია, არ არსებობდა მასმედია. XX ს-ის დასაწყისში ინინასწარმეტყველებს მოსალოდნელი გაუკუღმართება დიდმა მეცნიერებმა: ო. შპენგლერმა, კ. იასპერსმა, ი. შვიზინგამ, გ. ზიმელმა და სხვებმა. კანტიკუნტად შემორჩენილ თანამედროვე მეცნიერებს კი წინაპართა აზრების აღიარება უხდებათ და ახალი ფსევდომორფოზის ფაქტის დაფიქსირება: პიროვნების ბრბოთი ჩანაცვლება და კულტურის მაგივრად რაღაც გაურკვეველი ფენომენის გაჩენა.

ადამიანების სიმრავლის დონე მისი წევრების უდაბლესი დონისკენ ისწრაფვის, უმრავლესობის კანონი უფერულობის კანონია. პოეტი ფ. შრილპარცერი (1791-1872) ამბობდა: „ცალკე აღებული ადამიანი საკმაოდ ჭკვიანია და გამგები; ერთად შეკრებილი ადამიანები სულელებად გადაქცევიან“. შ. ბოდლერი (1821-1867) „სულის პროსტიტუციას“ უწოდებდა ბრბოს აყოლას. პოეტებზე უფრო ადრე ძველ რომაელებთან დიდი წარმატება ჰქონია ანდაზას: „სენატორები ძალიან ღირსეული ადამიანები არიან, რომის სენატი – საქაველი ცხოველი“.

ენის შემდეგ ყველაზე თვალშისაცემი ფსევდომორფოზა საზოგადოებრივი აზრის გამოტუტვა და მისი უწინარესობის აზრით ჩანაცვლებაა. ამ მოვლენას, ბრბოს მიერ პიროვნების ჩანაცვლების შემდეგ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თანამედროვე მეცნიერები და, ფაქტობრივად, აგრძელებენ XX ს-ის დასაწყისში გ. ტარდის და სხვათა მიერ დაწყებულ ესტაფეტას: რომ ჯერ კიდევ მასმედიის არარსებობის ხანაში პრესა დაუფიქრებლად მოქმედებდა რაოდენობის ძალაუფლების ზრდისთვის და გონების ძალაუფლების დასასუსტებლად, რამაც ის გამოინვიო, რომ ერთი და იგივე გახდა კომუნიკაციების საშუალებათა ძალაუფლება და საზოგადოებრივი აზრის ძალაუფლება. და საზოგადოდ, არსებობს კიდევ საზოგადოება? ნუ დაგვაინყვებდა, რომ ჩვენს აჩქარებულ დროში, წინა საზოგადოებისგან განსხვავებით, საზოგადოება ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში იცვლება და, ფაქტობრივად, მას აღარც კი შეიძლება ეწოდოს საზოგადოება.

ცნობილი მაქსიმია: „როცა რაღაც ცუდია, საჭიროა კარგად წარმოვიდგინოთ უარესი“. კიდევ რა ახალ ფსევდომორფოზებს უნდა მოველოდეთ გენური იმჟინერიის, კლონირების, ხელოვნური განაყოფიერების, ჰიბრიდიზაციის ეპოქაში? სუფრა-ჟისტების მოძრაობის ხანაში ბევრს, და მათ შორის უჭკვიანეს ჰ. ჩესტერტონს ეგონა, რომ ქალები, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1919 წელს მოიპოვეს, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლით სიკეთეს და სათნოებას შეიტანდნენ პოლიტიკაში. პირიქით მოხდა. თუნდაც, ქართული ციხეების წინა მთავრობის ლამაზმანი მინისტრი ავიღოთ: მართალია, შემზარავი ვიდეომასალის გამომზეურების მეორე დღეს უმანკო კრავის ტყავი მოიგდო და გადადგა (აღბათ, უბრძანეს), მაგრამ წინა დღეს არამცთუ შენუხება ან სინანული არ ეტყობოდა, პირიქით, იმუქრებოდა იმათი მისამართით, ვინც მისი უმნიკლო უწყების დისკრედიტაცია გაბედა. ესეც ქალი! საქართველოში კიდევ ერთი ქალბატონი, რომელსაც პოლიტიკა სათნოებით და სიკეთით უნდა შეემკო, არის პარლამენტარია, აგრეთვე ლამაზმანი ხათუნა იჩიკაური. 2007 წ. 7 ნოემბრის სადისტური დარბევის შემდეგ, მართალია, თავისი პარტიული კოლეგა-მამაკაცებით მას სადისტების ნიღბები არ გადაუოცინია, მაგრამ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: „რომ გვსაყვედურობდნენ, ჯარზე და იარაღზე ამდენ ფულს რატომ ხარჯავთო, ახლა ხომ გამოჩნდა, საჭირო რომ ყოფილა“. ე.ი. ჯარი და საბრძოლო იარაღი თურმე საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოსაყენებლად სდომებიათ, სხვა

▶▶ დასასრული. დასაწყისი „ლს“ 57

გამომხმარება

პატივცემულ რედაქტორ!

თქვენს გაზეთში (N56) გამოქვეყნებულია ლეილა მესხის წერილი, სადაც ელენე ბაქრაძის მოგონებაა, იგი წერს, რომ 1915 წელს სტუმრად ყოფილა არგვეთში ელენე კურცხალიასთან. რბილად რომ ვთქვა, ეს არ არის მართალი!

ელენე (ელა) მიხეილის ასული კურცხალია გახლდათ ბაბუდაჩემი, სწავლობდა გორის საქალაქო სასწავლებელში, შემდგომ ორმოცდახუთი წლის განმავლობაში თბილისის უნივერსიტეტში მსახურობდა ბიბლიოთეკარად. ისტორია «ცისფერი ყანების» შესახებ მის თვალში ვითარდებოდა:

პაოლო იაშვილი თავის ქუთაისელ მეგობრებთან ერთად გალმა არგვეთში იყო ამოსული, თავის ოჯახში; მათ შორის იყო სეთი იაშვილის (დედა ჰყავდა კურცხალიას ქალი) ნათესავი – ვალიკო კურცხალია (შემდგომ – ეკონომისტი), ცუციკო და ლავრენტი (კუკლია) კურცხალიების ძმა. პაოლომ მოინდომა გრიგოლ კურცხალიას ოჯახში ქეიფი. გრიგოლი იყო პაოლოს ბების, პელაგია გიორგის ასული კურცხალიას ძმა, ხოლო ბაბუდაჩემი ელენე – გრიგოლის ძმისწული. კურცხალიები გამოდგამდნენ არგვეთში ცხოვრობდნენ. ბაბუა გრიგოლმა (იგი ჩემი და მუსტაფა შელიას დიდი ბაბუა იყო) უხმო თავის მოსამსახურეს, ზაქარია გვირიძეს და ეზოში, კაკლის ხის ქვეშ, ქვის გრძელ მაგიდაზე დიდი სუფრა გაშალეს.

პაოლომ მოსვლისთანავე განაცხადა, სუფრა მწვანე მინდორზე გადავიტანოთ. რასაკვირველია, თხოვნა შეასრულეს. შუა ქეიფში მისმა ერთერთმა მეგობარმა (მე ახლა არ მახსენდება, ვინ, ბაბუდაჩემმა კი იცოდა) ყანა ასწავა. უღრუბლო, მოწმენდილ, მთვარით განათებულ ცას გახედა — ყანაში ღვინო ცისფრად გამოჩნდა. გრიგოლ კურცხალიას ოჯახში დაიბადა «ცისფერი ყანების» სახელწოდება. სუფრას, როგორც ბაბუდაჩემი აღწერდა, ესწრებოდნენ მამაკაცები: ძირითადად კურცხალიები, იაშვილები, აბდუშელიშვილები

და პაოლო თავის მეგობრებთან ერთად, ორმოცდაათ კაცზე მეტი, ქალები. მხოლოდ შინაურები. რაც შეეხება ელენე ბაქრაძეს, ის ხშირად მიდიოდა ბაბუდაჩემთან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (60-იანი წლები), სთხოვდა მასალას პაოლოს წარსულის შესახებ, ხელნაწერებს, ფოტოსურათებს; ეუბნებოდა, რომ მისი ბებერი მეგობარი მსახურობდა რედაქციებში და გამოაქვეყნებდა. ბაბუდამ უამბო კურცხალიების ოჯახში წვეულების შესახებ, ფოტოები და ხელნაწერები კი არ მიუცია.

ელენე ბაქრაძე ჩვენი ნათესავი არ ყოფილა. ბაბუდაჩემისგან ვიცი, რომ ის იყო რაჭველი ბაქრაძე. ძალიან აღმწვანებული ვარ, რომ ბაბუდას ნაამბობი მან მიითვისა. ბაბუდას შვილიშვილებმაც იციან ისტორია «ცისფერი ყანების» შესახებ. ბაბუდა ელას ძალიან უყვარდა ამ ამბის გახსენება.

რაც შეეხება ვალიკო მაჭავარიანს, ის და მისი მამა მიხაკო იყვნენ ყველაზე ღარიბი აზნაურები არგვეთში და რომელ ბედაურზეა ლაპარაკი? ვალიკო მე კარგად მახსოვს, რადგან დავიბადე არგვეთში (1934 წ.) და სკოლაც იქ დავამთავრე.

პაოლო მე არ მახსოვს, მაგრამ ჩემი ნათესავები ამბობდნენ, რომ ის ჰყავდა დიმიტრი (ტიტო) აბდუშელიშვილს, გრიგოლ კურცხალიას შვილიშვილს, მუსტაფა შელიას ბიძას.

ბაბუდაჩემის, ელენე კურცხალიას სახლი არგვეთში, როდესაც ოჯახი თბილისში (გუდაურის ჩიხი N6, ჯანაშიას ქუჩასთან) გადმოვიდა საცხოვრებლად, სკოლად გადაკეთდა. შემდგომში შენობა სიძველისგან დაინგრა და მის ადგილას ბიძინა ივანიშვილმა ახალი სკოლა ააშენა.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ, თქვენს გაზეთში მოათავსოთ ჩემი წერილი.

ეთერ კურცხალია  
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

სსოვნის საღაშო

ქვიშხეთში, მწერალთა შემოქმედებით-დასასვენებელ სახლში, ტრადიციისამებრ, გაიმართა საბჭოურ საქართველოში უდანაშაულოდ რეპრესირებულთა სსოვნის აღსანიშნავი საღაშო, რომელსაც უძღვებოდა უსამართლოდ დასჯილთა ბედის მკვლევარი, ლიტერატორი რევაზ კვეციანი. სხდომის მონაწილეებმა მწუხარება გამოთქვეს შემოქმედებითი სახლის დირექტორის გია ლომიძის, მწერალთა აქაური მასპინძლისა და მეგობრის, გარდაცვალების გამო, მწერლებს ასევე დიდად სამწუხაროდ დაურჩათ ძველი ქვიშხეთელი დამსვენებლის, შესანიშნავი მთარგმნელისა და პოეტის, ჯემალ აჯაიშვილის უდროო გარდაცვალება.

სხდომის წამყვანმა, რომელიც ბედმა რეპრესირებულთა სსოვნის დღის დანსებასთან დააკავშირა, კრების მონაწილეებს მოკლედ უამბო, როგორ დაწესდა ეს დღე.

2001 წელს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, თამაზ წიგნაძისა და მწერალთა კავშირის მდივნის, რეზო ჭეიშვილის თაოსნობითა და თხოვნით პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საბჭოურ დროში უდანაშაულოდ რეპრესირებულთა სსოვნის დღედ დააწესა 22 ივლისი.

რომელი დღე გაასხენებდა ადამიანებს იმ სასტიკ დროს იმაზე უკეთ, ვიდრე 1937 წლის 22 ივლისის გულისშემძვრელი დღე, როდესაც კომუნისტურმა ხელისუფლებამ და მისმა შინაგარეშმა სიცოცხლით საგსე და შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის ზენიტში მყოფი 40-მდე წლის პოეტი პაოლო იაშვილი აიძულა, საყვარელ ცოლ-შვილს და საყვარელ საქმეს გამოსალმებოდა და თავი მოეკლა?

მწერალთა სასახლეში რეზო ჭეიშვილის თხოვნით აჭარის მაშინდელი ლიდერის, ასლან აბაშიძის განკარგულებით დამზადებულ შავი მარმარილოს მემორიალურ დაფაზე ამოკვეთილია დახვეტილ მწერალთა გვარები.

ამ საქმეში განუვლი ღვანისთვის კრებამ მადლობა გადაუხადა თამაზ წიგნაძესა და რეზო ჭეიშვილს, თანაც ბატონ რეზოს მიულოცა საიუბილეო წელი. რეპრესირებულთა სსოვნის დღეს ერთხანს აღნიშნავდა მწერალთა კავშირი, საზოგადოება «მემორიალი» კი ამ დღეს ყოველთვის იხსენებს და უკანონოდ დასჯილთა სსოვნის დღეს სიონშიც მოილოცავს.

ქვიშხეთის საღაშოს გამძღოლმა გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოს ყველგასულმა პრეზიდენტმა, ისევე, როგორც მანამდე

ყველაფერს როყოფდა და ზერელედ აკეთებდა, უდანაშაულოდ რეპრესირებულთა სსოვნაც შეურაცხყო – ერთ მშვენიერ დღეს, ისე, რომ, ალბათ, არც უკითხავს, – რეპრესირებულთა დღე არსებობდა თუ არა, საბჭოთა კავშირისა და ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების ხელშეკრულების დადების დღე (1939 წ.) გამოაცხადა რეპრესირებულთა სსოვნის დღედ.

ქვიშხეთში შეკრებილებმა გაიხსენეს რეპრესირებული, დახვეტილი მოღვაწეები: მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი გრიგოლ წერეთელი, უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული ღირსი ევგენი მიქელაძე, დიდებული ბელეტრისტი და პატრიოტი მიხეილ ჯავახიშვილი, გამოჩენილი ცისფერყანალები ტიცინ ტაბიძე და ნიკოლო მინიშვილი, საუცხოო მოღვაწეები და მხატვრები: დიმიტრი შევარდნაძე და პეტრე ოცხელი...

მათ და ათასობით დახვეტილთა და გადასახლებულთა სსოვნას პატივი მიაგეს ქვიშხეთში დამსვენებელმა მწერლებმა რეზო ჭეიშვილმა და გივი შაჰნაზარმა, მეცნიერმა და მთარგმნელმა მაია არველაძემ, შემოქმედებითი სახლის დირექტორმა დარეჯან ლომიძემ, მწერლების მეგობრებმა: მწერალთა სახლის მეზობელმა, გადასახლებული მამის შვილმა, 95 წლის მხატვარმა ეთერ ყიფიანმა, სახელოვანი პაპის სეხნიამ ანდრე კარბელაშვილმა და გია გრიგოლიამ; დეკლამატორმა ჭაბუკებმა, ვაჟა ქურდაძემ და ლუკა პატარიძემ წაიკითხეს გალაკტიონ და ტიცინ ტაბიძეების, კოლაუ ნადირაძის და შალვა მჭედლიშვილის ლექსები.

დაბოლოს, კიდევ ერთ რეპრესირებულზე: მწერლებს მეტისმეტად ანუხებთ, მართალია, კომუნისტებისგან არა, მაგრამ რუსეთის იმპერიის ჟანდარმერიის აგენტებისგან საქართველოს ღირსების დაცვისთვის მოკლული დიდი ქართველის დიმიტრი ყიფიანის სასახლის ბედი, რომელიც სავალალო დღეშია!

ეს შენობა რომ ჩამოინგრეს, არამარტო ქვიშხეთის ან ხაშურის რაიონის, ეს სრულიად საქართველოს სირცხვილი იქნება!

იქნებ თბილისი და ჩვენი ხელისუფლება მაინც დაინტერესდეს ამით!

საპატრიარქოსაც მართებს ყურადღების გამახვილება – დიმიტრი ხომ წმინდანად არის შერაცხული! ■

ქართველ პოლიტიკოს ქალბატონებს, სხვადასხვა გოგორიშვილებს და ჩიორებს აღარ ჩამოვთვლი და სიკეთეს და სათნოებას ვერც მათ სათაყვანებელ ჰილარი კლინტონს ვამჩნევ.

დასავლური სტანდარტის სიყვარულის მიუხედავად, საქართველოში ჯერჯერობით არ აუტაციათ თანამედროვე ფემინიზმის რადიკალური ფრთის მთავარი მიზანი – ქალის გათავისუფლება რეპროდუქციის ბიოლოგიური ბორკილებისგან, რაც ტექნოლოგიების მეშვეობით მოხდება. სუსტი სქესის დასავლელი წარმომადგენლები გვთავაზობენ სამყაროს სქესის გარეშე. აი, კიდევ ერთი ფსევდომორფოზა: ნაზი სხეული, რომელსაც ახალი სიცოცხლის გაჩენასურჩხული ურჩევნია. ამჟამად უფრო აქტიური ოჯახის ფსევდომორფოზაა – დასავლეთის ქვეყნებში უკვე დაკანონებული ერთსქესიანთა ქორწინება.

მადლობა ღმერთს, ქართველი ქალები, ამერიკელებისგან განსხვავებით, პატიმრების წამებში ჯერ არ შეუმჩნევიათ, არ დაფიქსირებულან (კი ამბობენ, ხათუნა კალმახელიძე ესწრებოდა ხოლმე), მაგრამ შინაგანი სადიზმის ნიშნებს ქალებიც ავლენენ და, საუბედულოდ, არა მარტო სადიზმის: ლამაზად შეფუთული კანიალიზმის ნიშნებსაც ავლენენ დღეს ზედაპირზე ამოტივტივებული ორივე სქესის წარმომადგენლები. ეს არ არის გასაკვირი. ადამიანი ხომ მიკროკოსმოსია, მასში ყველაფერი მოთავსებული და გარემოებათა შესაბამისად ვლინდება ზოგი რამ, რაც დაფარული იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში გესტაპოს სამი მლიონი დაბეზღება გაუგზავნეს. დაბეზღებებს ყველა ფენის წარმომადგენლები წერდნენ, მათ შორის მასწავლებლები და სასულიერო პირებიც კი. ფაშისტები ველარ აუდიოდნენ დაბეზღებების კითხვას და განცხადებაც კი გამოუკრავთ, – დაბეზღებებს აღარ მივიღებთო.

კიდევ ბევრი ახალ-ახალი ფსევდომორფოზის წარმოქმნა მოსალოდნელი და ერთ-ერთი, ალბათ, სამშობლო-ქვეყანა იქნება, რომელიც «ტურისტულ პროდუქტად» გადაკეთდება. დიხა, სააკაშვილის მთავრობის ერთმა მაღალჩინოსანმა «ტურისტული პროდუქტი» უწოდა იმ ადგილს, რასაც ჯერჯერობით სვანეთი ჰქვია. ერთი ჩინელი კი როსტომ წერეთელი გამხდარა და აპირებს – შვილს აკაკი დაარქვას. საქართველოში ხომ ნებისმიერი გვარის ყიდვა შეიძლება: 50 ლარად გინდა ორბელიანი გახდები, გინდა დადიანი, ან ბაგრატიონი. მიწის ყიდვაც თავისუფლად შეიძლებოდა საქართველოში და იყიდებოდა კიდევ უცხოელებზე, და აი, სულ ახლახან, როცა უმინებოდ დარჩენილი გამწარებული ქართველი გლეხობის გამოსვლების შემდეგ პარლამენტმა ერთწლიანი მორატორიუმი დააკანონა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე (სანამ სრული აღწერა არ მოხდება), სასწრაფოდ გამოსტყენ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები და დაინუნეს ეს მართლაც ძალიან სწორი და დროული კანონი.

რას წარმოადგენენ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები? ვინ და რამდენს უხდის ამ ახალგაზრდებს, რომელთა უტყუი სახეების ყურებას და მათი შეფასებების მოსმენას ქართველი აუდიტორიისათვის ესოდენ აუცილებლად მიიჩნევენ ყველა სახის ჟურნალისტიკა? ვინ არიან? საიდან, ასეთი მონური, ქვეშევრდომული მორჩილება? არანაირი ახალგაზრდული უშუალობა, არანაირი ინდივიდუალობა. ზომბეზვით არიან. მხოლოდ პარაზიტები არიან თუ რაღაც ახალი ფსევდომორფოზაა? ცხონებული ჯემალ აჯაიშვილის სონეტი მახსენდება:

„დღეს სულ სხვა მინდვრებს  
სთავაზობენ ნაღს და მამითადს,  
სულ სხვა ჯიში და მოდგმა მოდის  
დღით, მამითაც  
და სხვა მზით ცრუობს შემოდგომის  
დღე შესაბრალო  
ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან“.

საინტერესოა, იმ დროს არასამთავრობო ორგანიზაციები და ტელევიზია რომ ყოფილიყო, შეძლებდა ილია ჭავჭავაძე ათიოდე თანამოაზრესთან ერთად ეროვნული თვითშეგნების გამოვლიძებას? ჟურნალისტიკებს მხოლოდ სკანდალები სჭირდებათ, არასამთავრობოებს კი თავიანთი არსებობის დასასაბუთებლად – მხოლოდ არეულობა.

ძალიან მომრავლდა ფსევდომორფოზების რაოდენობა. ტვინის ფუნქციაც კი ნაწილობრივ მანქანას გადააბარეს და ადამიანის და მანქანის სრული სინთეზის მისაღწევად გამალებით მუშაობენ. ცალკეული სიტყვების (განსაკუთრებით „დემოკრატიის“) ფსევდომორფოზები რაღაც მოსატანია.

არაორგანულ სამყაროში დაფიქსირებული არ არის ფსევდომორფოზის საპირისპირო მოვლენა – შიგთავსის დატოვება და ზედაპირის შეცვლა. ზოგიერთი ცხოველისთვის დამახასიათებელი მიმიკრია კი თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე საშუალებაა. ხოლო, როცა ამას ადამიანები აკეთებენ, ფასადის კულტს ეთაყვანებიან. ფასადის კულტი ტვინების გამოვლენის მექანიზმებთან ერთად გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია და ბოლო დროს ისე აქტიურად ხდება მისი გამოყენება, რომ მისგან (ფასადის კულტისგან) ნეოკერპთაყვანისმცემლები რაღაც ახალ წარმონაქმნს გააკეთებენ, რომელსაც არა ფსევდომორფოზა, არამედ სხვა რაღაც დაერქმევა, ვინაიდან ბერძნული სიტყვა „მორფე“ არა ფუძეს, არამედ ფორმას ნიშნავს.

სამწუხაროდ, ჩვენ შემცვლელების ეპოქაში გვიწევს ცხოვრება, ანუ დიდი სიცრუის ეპოქაში, თუ მხოლოდ ფსევდომორფოზებს არ მივიღებთ მხედველობაში. „თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“ – არაფრისა მჯერა ისე, როგორც რუსთაველის ამ შეგონებისა. აქედან მოდის პესიმისმი, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს მოვუხდის და მოკრძალებით შევახსენებ, რომ ჩემ მიერ ნახსენებ „კულტურულ პესიმისტებზე“ (ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს) უფრო პესიმისტური განცხადება არაპესიმისტმა გოეთემ გააკეთა XIX ს-ის დასაწყისში: „მე ვინანსნარმეტყველებ დროს, როცა კაცობრიობა უკვე აღარ გაახარებს უფალს და იგი იძულებული იქნება კვლავ დაანგრიოს ყველაფერი განახლებული ქმნილებისთვის“. ■

1. ტორისული ველები – ფიზიკოსების ახალი აღმოჩენა.  
2. აბუ-გრეიბის ციხეში ჩადენილი საშინელი წამებები. და კიდევ: დავით აღმაშენებლის ძეგლის განდევნა რომ აიტანა ქართველმა ხალხმა.

უძველესი წარწერების გამომიფრველები არიან:

1. სილვესტრ დე სასი (1758-1839 წწ.) – ფრანგი ენათმეცნიერი, ეგვიპტური დემოტიკური დამწერლობის რამდენიმე ნიშნის გამომიფრავი;
2. იოჰან ოკერბლადი (1763-1819 წწ.) – შვედი დიპლომატი, ეგვიპტური დემოტიკური დამწერლობის რამდენიმე ნიშნის გამომიფრავი;
3. თომას იუნგი (1773-1829 წწ.) – ინგლისელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი და ექიმი, ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის რამდენიმე ნიშნის გამომიფრავი;
4. ჟან-ფრანსუა შამპოლიონი (1790-1832 წწ.) – ფრანგი სწავლული, ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის გამომიფრავი;
5. კარლ რიჰარდ ლეჰსიუსი (1810-1884 წწ.) – გერმანელი სწავლული, უძველესი ეგვიპტური წარწერების ამომკითხველი;
6. გეორგ გროტეფენდი (1775-1853 წწ.) – გერმანელი სწავლული, გიმნაზიის მასწავლებელი, ძველი სპარსული ლურსმული დამწერლობის რამდენიმე ნიშნის გამომიფრავი;
7. ეჟენ ბიურნეფი (1801-1852 წწ.) – ფრანგი სწავლული, ძველი სპარსული ლურსმული წარწერების ამომკითხველი;
8. ედუარდ ჰინკსი (1792-1866 წწ.) – ირლანდიელი მღვდელი, ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;
9. უილიამ ფოქს ტალბოტი (1800-1877 წწ.) – ინგლისელი ფიზიკოსი, ქიმიკოსი და მათემატიკოსი, ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;
10. ჰენრი რაულინსონი (1810-1895 წწ.) – ინგლისელი ოფიცერი, ძველი სპარსული და ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;
11. ჟიულ ოპერტი (1825-1905 წწ.) – ებრაელი სწავლული, ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;
12. ბედრუჰი პროზნი (1879-1952 წწ.) – ჩეხი ენათმეცნიერი, ხეთური ლურსმული წარწერების ამომკითხველი;
13. ელის კობერი (1906-1950 წწ.) – ამერიკელი ისტორიკოსი და არქეოლოგი, რომლის ნაშრომი გახდა საფუძველი B კლასის ხაზოვანი დამწერლობის გაშიფრვისა;
14. მაიკლ ვენტრისი (1922-1956 წწ.) – ინგლისელი არქიტექტორი, მიკენური ეპოქის ბერძნული B კლასის ხაზოვანი დამწერლობის გამომიფრავი;
15. ჯონ ჩედვიკი (1920-1998 წწ.) – ინგლისელი ენათმეცნიერი და ელინისტი, მიკენური ეპოქის ბერძნული B კლასის ხაზოვანი წარწერების ამომკითხველი.

**IV. გია კვაშილავას ბიოგრაფია**

გია კვაშილავა დაიბადა 1973 წლის 26 აგვისტოს, საქართველოში, მარტვილის რაიონის სოფ. კურზუში.

1989 წელს დაამთავრა ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა.

1989 წელს დაჯილდოვდა დიპლომით მათემატიკის რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის.

1995 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის სპეციალობით.

1995 წელს დაჯილდოვდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ „საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების“ სტიპენდიით.

1998 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა მათემატიკური ფიზიკის სპეციალობით.

1990 წლიდან მუშაობდა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების დემონსტრაციაზე, რაც 2006-2010 წლებში დაასრულა.

2006 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენა, ლოგიკა, მეტყველების“ ცენტრის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

▶▶ დასასრული. დასაწყისი „ლს“ 57



**გია კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გაშიფრვის შესახებ**

2007 წელს არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

2008 წელს მოიხმინა შემდეგი კურსები: ეგვიპტური რელიგიური ტექსტები, ლუვიური ენის შესავალი კურსი და ხათუსას არქეოლოგია.

2010 წელს დაინიშნა კოლხურ-იბერიული ეთნოკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „აია-კოლხეთის“ დირექტორად.

2007-2013 წლებში გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო ნაშრომი – ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გამოფრვა, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებულში „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „ქართველოლოგია“ (ეს სამეცნიერო ნაშრომები იხ. TSU-Ge.Academia.Edu/GiaKvashilava ინტერნეტ-საიტზე. ასევე იხ. ინტერნეტ-საიტი De.Wiki-pedia.Org/Wiki/Diskos\_von\_Phaidtos).

დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

**V. გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევის შედეგები**

გია კვაშილავამ 20 წლის განმავლობაში შექმნილი ლინგვისტიკა, რამაც შესაძლებლობა მისცა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი ტექსტები ეკვლია ლინგვისტიკური კუთხით. მისი სამეცნიერო კვლევებმა განსაკუთრებით საინტერესო შედეგები მოგვცა:

1. გია კვაშილავას მიერ გაკეთებული ფართო და ღრმა ლინგვისტიკურ-ფილოლოგიური, ისტორიული და ტიპოლოგიური კვლევა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ნიშნების (მაგ., „ვარდულის“, „ცულის“, „ფრიველისა“ და სხვა ნიშნების). ეს მასალა ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა მჭიდრო კონტაქტები პროტოქართველურ, პროტოინდოევროპულ და პროტოქამიტურ-სემიტურ ენებს შორის, პროტო-ქართველურ კულტურასა და სხვა კულტურებს შორის. ამ მასალით შესაძლებელი ხდება, რომ უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთო-ქართველური ენის გავრცელების ტერიტორია და დადგინდეს ის მიგრაციები, რომელთა შედეგად ისტორიული ქართველური ტომები ჩამოყალიბდნენ (რამაც ვარაუდებს გამოთქვამდნენ აკად. თ. გამყრელიძე და აკად. ვ. ივანოვი, 1984 წ.);

2. ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, პელოპონესის, ანუ პელაგისის ნახევარკუნძულის, ეგვიპტის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობა არაინდოევროპული და არასემიტური წარმოშობის იყო – ეს იყო პროტოქართველური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა, სანამ ამ ადგილებში ინდოევროპული ტომების (მაგ., ბერძნების) მიგრაცია დაიწყებოდა. ძვ.წ. XX-XV საუკუნეებში ამ არეალში ისევ დომინანტობს მინოსური (პელასგურ-კოლხური) კულტურა და ენა (სანამ

გავრცელებოდა ინდოევროპული (მაგ., ბერძნული) კულტურა და ენა).

3. პროტოქართველურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატი ბერძნული დიალექტებისთვის, როდესაც ძველბერძნებმა დალაშქრეს პელოპონესის, ანუ პელაგისის ნახევარკუნძული;

4. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი ტექსტებში დასტურდება აკად. თ. გამყრელიძისა და პროფ. გ. მაჭავარიანის ჰიპოთეზა პროტოქართველური ენობრივი სისტემისა და ელემენტების სტრუქტურის შესახებ, რომლის რეკონსტრუქციაც მათ მოახდინეს თავიანთ ფუნდამენტურ და რეგულაციურ ნაშრომში „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია“ (თბილისი, 1965 წ.);

5. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერებით შესრულებული თიხის ფირფიტები არის მინოსური, ანუ პელასგურ-კოლხური კულტურის უძველესი წერილი ნიმუშები – კირბები;

6. ფესტოსის დისკოს A მხარეზე დაბეჭდილია ვედრება კოლხი კორიბანტებისადმი ოჯახისა და ქვეყნის დაცვის თაობაზე, ხოლო დისკოს B მხარეზე – ვედრება პელასგ-კოლხთა ნაყოფიერებისა და მიწის დედაღვთაების ნენსადმი (ანუ რეა-კიბელესადმი), თარხონისა და ჰეფესტოსადმი, რათა ააყვანონ, განახლონ და განმინდონ ტაძარი, ოჯახი და სასახლე;

7. A კლასის ხაზოვანი წარწერები არის რელიგიური და სამეურნეო-ადმინისტრაციული ტიპის ტექსტები. ამ წარწერებში მოცემულია პელასგურ-კოლხურ ღვთაებათა სახელები, ადამიანთა სახელები, ტოპონიმები და ეთნონიმები, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა (მაგ., ლეღვის, სელის, ღვინოს) და მცენარეთა ენდემურ ჯიშთა (მაგ., ხორბლის, ქერის) და შინაურ ცხოველთა (მაგ., ცხვრის, თხის, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ღორის, ცხენის) აღრიცხვა, სამეურნეო ანგარიშის ტერმინები, მთელი რიცხვები, ნილადი რიცხვები და სხვა;

8. A კლასის ხაზოვანი დამწერლობის მსგავსი ნიშნებით შესრულებული დაბლაგომის დოქის წარწერაზე ამოკითხულია კოლხური ანთროპონიმი – ტეკუსკა.

**VI. ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ**

2008 წლის 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს ლონდონში, ხელოვნების სამეფო აკადემიაში ჩატარდა ფესტოსის დისკოს აღმოჩენის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ორგანიზება გაუწია ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო მიმოხილვითი ჟურნალი „მინერვას“ რედაქციამ (MinervaMagazine.com). კონფერენციის შესახებ იუნსეოდენენ: ამერიკის ფილოლოგიური ასოციაცია (American Philological Association), ბრიტანეთის ეპიგრაფიკის საზოგადოება (თქვ British Epigraphy Society) და გაზეთები: The Times, The New York Times Science და BHMA Science.

საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი 100 თეზისიდან საორგანიზაციო

კომიტეტმა აირჩია მხოლოდ 12, მათ შორის გია კვაშილავას მოხსენება „კოლხური ოქროდამწერლობის ნიშნის – ფესტოსის დისკოს წარწერის ამოკითხვა“.

ამ მოხსენებით წარსდგა გია კვაშილავა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა წინაშე იმავე დარბაზში, სადაც წლების განმავლობაში ინახებოდა როზეტის ქვა, რომელზე მოცემული ეგვიპტური იეროგლიფური წარწერა გამოფრა ჟან-ფრანსუა შამპოლიონმა და სადაც მაიკლ ვენტრისმა წარმოადგინა B კლასის ხაზოვანი დამწერლობის გამოფრვის თეორია.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერი ნანა შენგელია, რომელმაც ბრწყინვალე შეფასება მისცა მოხსენებას:

„ბატონ გია კვაშილავას მოხსენება ამ კონფერენციის გვირგვინი იყო. მისმა მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ოცნუთიანი მოხსენება მაქსიმალურად იყო დატვირთული ინფორმაციით. დარბაზში სასიამოვნო საზოგადოება იყო შეკრებილი. ისინი ყურადღებით და მოთმენებით უსმენდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამავე დროულად იყვნენ ძალიან პრინციპულები და მკაცრები. შეცდომას, ხარვეზს არავის პატიობდნენ, უმალ გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებას. ამ სახელმძღვანელო ადამიანებს, რომელთა მთელი ცხოვრება ფესტოსის დისკოს კვლევასთან იყო დაკავშირებული, ბატონი გიას მოხსენებაში რამე უზუსტობა ან მიუღებელი ვარაუდები რომ შეემჩნიათ გარწმუნებთ, არ დაგვიხდობდნენ. კონფერენციაზე წარმოდგენილი ძალიან კარგი, ამავე დროს ძალიან კონკრეტული მოხსენების ფონზე გია კვაშილავას მოხსენება ნამდვილად გამორჩეული იყო. ეს ერთხმად აღნიშნეს კიდევც. ერთმა მსცოვანმა მეცნიერმა ასე მიმართა ბ-ნ გიას: „ყოველივეს, რაც აქ თქვენგან მოვისმინეთ, გამოწვლილი ვითი ანალიზი სჭირდება. გარწმუნებთ, სამ წელიწადში თქვენ მსოფლიოში აღიარებული ადამიანი იქნებით!“ (2008 წ.).

**VII. სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გამოფრვის შესახებ**

ქვემოთ წარმოდგენილია ამონარიდები ქართული და უცხოური სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომლებიც დაიბეჭდა სამეცნიერო და საგაზეთო სტატიებში.

1. „მათემატიკოს გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის ბრწყინვალედ ასაბუთებს ძალიან ზუსტი ლინგვისტიკური მასალა, რომელიც ქართველური ენების უძველესი საფუძვრის რეკონსტრუქციას ეხება. ლინგვისტიკურ მასალას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ფესტოსის დისკოს წარწერის დათარიღებაში. ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი ტექსტებში დასტურდება ისეთი ფონეტიკური მასალა, რომელიც მხოლოდ პროტოქართველურისათვის არის დამახასიათებელი – უფრო გვიანდელი პროცესები, რომლებიც პროტოქართველურის დაყოფის შემდეგ მოხდა, ამ ტექსტებში არ არის ასახული. იგივე ითქმის პროტოქართველურის ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების თავისებურებაზე და სხვა.

...ცხადია, ყოველივე ზემოთქმული შესაძლებელი გახდა გ. კვაშილავას დიდი ხნის განუზომელმა, თავდადებულმა შრომამ და ნიჭმა. ამ წარწერების გამოფრვისათვის მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, რომ გ. კვაშილავა ღია აღმოჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა არსებული ინფორმაციისათვის, არ იყო შეზღუდული წინასწარი განწყობით, რომელიც როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხშირად ყველაფერში ასე ძალიან გვიშლის ხელს. ყოველივე ეს გახდა საწინდარი იმისა, რომ ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან ერთი საუკუნის შემდეგ გია კვაშილავამ ამოიკითხა XX საუკუნის ენიგმატ ნოდებელი ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერები“ (ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., ▶▶

► ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ., ნ. შენგელაია, 2011 წ.).

2. „ბ-ნმა გია კვაშილავამ ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი და პრომატევადი სამუშაო ფესტოსის დისკოს დევიფირების ისტორიის, პრობლემების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის მიმართულებით. საყურადღებოა ის არგუმენტები, რომელსაც იგი გვთავაზობს ამ წარწერის ნაკითხვის მიმართულებასთან დაკავშირებით. დამაჯერებელია მისი თვალსაზრისის გარკვეულ ნიშანთა პოზიციისა და მათი კემანტიკური თუ მორფოლოგიური ფუნქციების ურთიერთმიმართების შესახებ“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., პროფ., აკად. რ. გორდენიანი, 2007 წ.).

3. „ფესტოსის დისკოს წარწერის ნაკითხვის დაწყება ცენტრიდან მომხსენებელმა, გია კვაშილავამ დამაჯერებლად დაასაბუთა. წინამორბედ მკვლევართან განსხვავებით, ყურადღება გაამახვილა ერთი და იმავე ნახატ-ნიშნების ძნელად შესამჩნევ განსხვავებულ პოზიციებზე, რაც მის ფაქიზ მკვლევარულ უნარზე მეტყველებს. შესაშურია მისი თვალსაწიერი და ინტელექტის დონე საკვლევი საკითხის შესახებ“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტთან არსებული მუდმივმოქმედ ლინგვისტიკური სემინარის მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., პროფ. მ. ჯიქია, 2007 წ.).

4. „ფესტოსის დისკოს წარწერა უნდა იწოდებოდეს, როგორც „მსოფლიოში პირველი მითოსურ-ფოლკლორული და რელიგიურ-ლიტერატურული ძეგლი“. ლიტერატურულად შეგვიძლია ჩავთვალოთ იმის გამო, რომ იგი პოეტური სიტყვების ნიმუშია – საგალობელი, გადმოცემული წერილობითი სახით, მართალია, არა ანბანური, მაგრამ მანც წერილობითი სახით. ...მითოლოგიურ-ფოლკლორული თხზულებაა, ე.ი. ზეპირსიტყვიერი მოვლენა, 40 საუკუნის წინ ჩანერილი. როცა დღეს გია კვაშილავასეულ თარგმანს (უძველესი ქართულიდან თანამედროვე ქართულზე გადმოღებულს) ვეცნობით, ნათელი ხდება, რომ სახეზეა ჭეშმარიტი მითოსური სიდიადე, ღვთაებრივი საგალობელი. ...ეს არის საერთო-ქართველური ენა, რომელიც გულისხმობს ზანების, სვანებისა და ქართების ერთიან მეტყველებას. ...მეცნიერი გია კვაშილავა, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველი შამპოლიონია. ...ახალგაზრდა მკვლევარი დამსახურებულად იკავებს თავის საპატიო ადგილს საამაყო მამულიშვილ მეცნიერთა შორის“ (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., პროფ. გ. ჭელიძე, 2009 წ.).

5. „გია კვაშილავამ გაიფიქრა ფესტოსის დისკოს წარწერები. ისინი მართლაც პროტოქართველურ-კოლხური აღმოჩნდა. თავად ტექსტი კი გამოდგა სავედრებელ-საგალობელი მიძღვნილი კოლხთა ქელდემრთ ნენა/ნანასადვი. გაირკვა, რომ სხვა, 1900-1909 წლებში აღმოჩენილი ე.წ. A კლასის ხაზოვანი წარწერებიც ამავე ენაზეა შესრულებული. მასში ფიქსირებულია კოლხური ტოპონიმები, კოლხური ხორბლის ჯიში, კოლხური სელი, კოლხური ღვინო და ა.შ. გია კვაშილავას ამ ნაკითხვამ უდღეღირი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიო მეცნიერებაში“ (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. მ. თოდუა, 2012 წ.).

6. „ფესტოსის დისკოს გამოფერამ დაადასტურა ხმელთაშუა ზღვის აუზში ძველი კოლხური კულტურის არსებობა და კოლხური ოქროდამწერლობის გავრცელება. ...კოლხური ოქროდამწერლობით შესრულებული სილაბურ-ლოგოგრაფული ტექსტი ფესტოსის დისკოზე წარმოადგენს კოლხური ენის, აზროვნების, მოქმედების, ღირებულებების, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ნიმუშს და იმ პერიოდის სოციალური ურთიერთობის სურათს. მასში მოცემულია აბსტრაქტული, მეტაფორული აზროვნე-

ბა, სიმბოლოთა განზოგადება, კონოტაციები და ენის ხატოვანი საშუალებები რიტორიკული ტროპების სახით“ (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფ. დ. ბახტაძე, 2010-2011 წწ.).

7. „ძვირფასო ბატონო გია კვაშილავა, ფესტოსის დისკოს წარწერის ნიშნები დაკავშირებულია უძველეს კოლხურ ცივილიზაციასთან. აქ ჩვენ ვდგავართ ევროპული ცივილიზაციის დასაწყისთან“ (დოქტ. მ. კორსინი, იტალია, 2006 წ.).

8. „ძვირფასო ბატონო კვაშილავა, ნამდვილად თქვენსათვის მიმართა, რომ ძველი მითები შეიცავს მეტ ინფორმაციას, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ჰგონიათ. ძალიან ვაფასებ თქვენ სამეცნიერო თვალსაზრისს, ცოდნასა და ძალისხმევას. რამდენადაც ვიცი, თქვენ ფესტოსის დისკოს წარწერის ერთადერთი მკვლევარი ბრძანდებით, რომელმაც გაბედა და თავის დაბეჭდილ გამოკვლევებში ჩართო მითოლოგიური პერსონაჟები. ჩემი თვალსაზრისით, თქვენ მეტისმეტად ღრმად იხედებით ამ საკითხში. მე მაინტერესებს თქვენი ნიგნი“ (ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, პროფ., დოქტ. დ. რუმფელი, გერმანია, 2006 წ.).

9. „პროფესორო კვაშილავა, გილოცავთ ფესტოსის დისკოს წარწერის შესახებ თქვენი გამოკვლევის მოსალოდნელ გამოცემას! ყოველთვის მაინტერესებს, რას ამბობენ სხვები. ძალიან მინდა შევისწავლო თქვენი აღმოჩენები უფრო ღრმად, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება. ...იკვლიეთ ფესტოსის დისკოს წარწერა ახალი პერსპექტივით და გამოაქვეყნეთ აღმოჩენები. თქვენი დებულებები პროფესიონალურია და საინტერესო. გილოცავთ! გისურვებთ იღბალს თქვენს შემდგომ გამოკვლევებში!“ (ენათმეცნიერი, დოქტ. ქ. მესი, აშშ, 2006 წ.).

10. „დოქტორო კვაშილავა, თქვენი მოხსენება კარგი და სრულიად განსაცვიფრებელი იყო. მასში, რა თქმა უნდა, წარმოდგენილია ფესტოსის დისკოს ამოცანის გადაჭრისადმი საინტერესო მიდგომა. გისურვებთ წარმატებას თქვენი შემდგომ კვლევაში!“ (ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნე, პროფ., დოქტ. ჯ. აიზენბერგი, აშშ, 2008 წ.).

11. „ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! დარწმუნებული ვარ, თქვენი კვლევა და აღმოჩენები დრამატულად შეცვლის აქამდე დამკვიდრებულ ბევრ ძველ შეხედულებას“ (დოქტ. ი. ციგენფუსი, ავსტრია, 2008 წ.).

12. „დოქტორო კვაშილავა, თუ ვახსოვთ, მე ლონდონის კონფერენციაზე ვახსენებ, რომ განსაკუთრებით საინტერესოდ მომეჩვენა თქვენი ანალიზი ნიშანთა როტაციაზე, რომელსაც განმასხვავებელი ფუნქცია აქვს. არცერთ „ორგანულ“ სისტემას არ ვიცნობ, რომელსაც ეს თვისება ახასიათებდეს. ამითაც, თუ ეს ფესტოსის დისკოს სისტემის დამახასიათებელი ნიშანია, დისკოს წარწერა კიდევ უფრო უჩვეულო აღმოჩნდა, ვიდრე ეს აქამდე გვეგონა“ (ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, ილინოისის უნივერსიტეტის მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტი, პროფ., დოქტ. რ. სპროუი, აშშ, 2009 წ.).

13. „დოქტორო კვაშილავა, მე ნაკითხვით თქვენი ნაშრომი. იგი ძალიან შთაბეჭდავია, ხაზგასმით და გულწრფელად ვამბობ ამას. თქვენ გადალახეთ ყველა დაბრკოლება და დაამტკიცეთ, რომ ფესტოსის დისკოს წარწერა არის კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუში. ყველაფერი, რაც თქვენ გააკეთეთ, არის ბრწყინვალე. ჩვენს დროში თქვენი შრომა არის მაცოცხლებელი ენერჯია. თქვენ ბრძანდებით ბრწყინვალე მკვლევარი. ...ფესტოსის დისკოს წარწერის ნაკითხვის მიმართულებების დადგენა იყო განმსაზღვრელი ფაქტორი დისკოზე გამოსახული არქაული სიმბოლოებით გადმოცემული ლინგვისტური მასალისა და შეტყობინების ამოსაცნობად. გილოცავთ! თქვენ საბურველი ახადეთ წინაბერძნულ, პროტოქართვლურ, პელასგურ-კოლხურ წარმოშობას. თქვენი მრავალწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგად მიღებული შედეგები დიდებული მიღწევაა“ (ისტორიკოსი, დოქტ. რ. მორიტი, კანადა, 2010-2013 წწ.).

14. „წლების განმავლობაში ვიხილავდი და ვსწავლობდი მთელ რიგ ნაშრომებს, რომელიც ეხებოდა ფესტოსის დისკოს ნიშნებს. ერთ-ერთი მათგანი იყო, მგონი, ნიუ-იორკელი ლეონ პომერანსი. იგი იხილავდა დისკოს როგორც ალმანახს [ასტრონომიულ კალენდარს]. თქვენ ნაშრომთან შედარებით, მისი ხედვები დამყარებული იყო მხოლოდ ვარაუდებზე. თქვენი ნაშრომი უაღრესად შთაბეჭდავია. თქვენ ჭეშმარიტად მეცნიერულად მიუდევით ამ საკითხის შესწავლას. ვისურვებდი, რომ მნიშვნელოვანი კონსტრუქციული კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა მქონდეს თქვენს ნაშრომზე, მაგრამ, როგორც თქვენ ალბათ გახსოვთ, მე მხოლოდ ვარ არქეოლოგი – არალინგვისტი. მიუხედავად ამისა, მე შემიძლია თქვენ გულითადად მოგილოცოთ ასეთი კარგი სამუშაოს შესრულება!“ (ტენესის უნივერსიტეტის პროფ., დოქტ. დ. შმანდტ-ბესერატი, აშშ, 2013 წ.).

**VIII. მსოფლიოს სამეცნიერო ლიტერატურაში ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების გამოფერის შესახებ**

ქართველოლოგ გია კვაშილავას მიერ გამოფერული ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი ტექსტები დიდი ფასეულობა ქართული ენათმეცნიერებისთვის. ისინი შესანიშნავ მასალას შეიცავენ პროტოქართველური სამყაროს პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ისტორიის შესასწავლად.

დღეს ხელთა გვაქვს გია კვაშილავას მრავალწლიანი, დაუღალავი, მალაპროფესიული კვლევის შედეგი და მან უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. გია კვაშილავას მიერ ამ წარწერების ამოცნობა სათანადო ანალიზითა და შეფასებით გაზიარებულია საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში, რაც ჩვენი ქართული მეცნიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, მსოფლიო მასშტაბის აღიარებაა. მის შესახებ იბეჭდება მსოფლიოს ყველაზე გასულენიან სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში, ენციკლოპედიებსა და მონოგრაფიებში.

ერთ-ერთი ასეთი მონოგრაფიაა „შტონეს "that Speak" – „ქვები, რომლებიც მეტყველებენ“, რომელიც ინგლისში, კემბრიჯის სწავლების გამოცემლობაში დაბეჭდულია 2010 წელს და რომლის ავტორია რ. მორიტი (ცნობილი ისტორიკოსი, რომელიც 1942 წელს დაიბადა ინგლისში). ამ წიგნის დიდი ნაწილი ეძღვნება გია კვაშილავას გასაოცარ აღმოჩენას. ავტორი იმდენად აღფრთოვანებულია გია კვაშილავას ფუნდამენტური კვლევით, რომ ამავე მონოგრაფიაში აქვეყნებს ბატონი გიას ბიოგრაფიასა და სამ სურათს, რათა მსოფლიომ დაინახოს კაცი, რომელსაც წილად ხვდა პატივი, შეეცვალა და შეეცვო კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების ისტორია ახალი ხედვით.

ამ აღმოჩენამ გია კვაშილავა მსოფლიოს მეცნიერების თვალში ნიკო მარის გვერდით დააყენა და მათ ერთად მოიხსენიებენ, როდესაც ლაპარაკია ქართველთა უძველეს კულტურასა და მის გავლენაზე ხმელთაშუაზღვისპირეთში 7-4 ათასი წლის წინათ და შემდგომ პერიოდში (იხ. Lewis of Linguistic Anthropology – „ლინგვისტიკური ანთროპოლოგიის ჟურნალი“, N21/1, აშშ, 2011 წ.). ამ ჟურნალის სტატიაში არის ასეთი პარაგრაფი: „ნიკო მარი და ლინგვისტიკურად დადასტურებული ქართული საწყისები“, სადაც წერია შემდეგი რამ:

„ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევები არქაული რეფერენციალური ენისა ნიკო მარისა და გია კვაშილავას სტილში, ერთი მხრივ, და მობილიზაცია ლინგვისტიკურად არადეტერმინირებული ავანგარდისტული ერთეულისა, მეორე მხრივ, ეს არის გზა, რომელითაც ქართული ტრადიციული სიმღერების არარეფერენციალური ტექსტები აღიქმება, როგორც კულტურული განსხვავებულობის ინდექსი თანამედროვე ერაში“.

2010 წელს ირლანდიაში, დუბლინში გამოცემული ენციკლოპედია „ატლანტიკა“, რომლის ავტორია ტ. ო'კონორი (ცნობილი მეცნიერი და გამოცემელი, რომელიც 1943 წელს დაიბადა დუბლინში). ეს არის 504-გვერდიანი ფუნდამენტური

ენციკლოპედია, სადაც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია ძველი ელინისტური სამყაროსა და ატლანტიდის შესახებ. ენციკლოპედიაში გამოყენებულია უაღრესად ვრცელი და სრული ბიბლიოგრაფია მინოსურ-კრეტულ ცივილიზაციაზე, ეგვიპტეზე, საერთოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მის ქვეყნებზე, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებსა და ცივილიზაციებზე, საბერძნეთსა და პონტოზე, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის კოლონიზაციის ეპოქაზე, ძველი რომის იმპერია-სა და ალექსანდრიის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ბიბლიოთეკებში არსებულ ცნობებზე, ფესტოსის დისკოსა და გია კვაშილავას სამეცნიერო მიღწევებზე.

ფესტოსის დისკოს და გია კვაშილავას მიერ მის გამოფერას ამ ენციკლოპედიაში ეძღვნება მთელი თავი (გვ. 331-332). ამ არაჩვეულებრივად საინტერესო ენციკლოპედიურ სტატიაში ვკითხულობთ, რომ „ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ, ვისი კვლევა მოიცავს განსაკუთრებით ვრცელ და ფართო ბიბლიოგრაფიას, შემოგვთავაზა ყველაზე მეტად მისაღები და რეალური დეპიფერირება ფესტოსის დისკოს წარწერისა, რომელიც შესრულებულია პროტოქართველურ-კოლხურ ენაზე და რომელიც დაბეჭდილია ოქროს ყალიბების საშუალებით, უნიკალური კოლხური სილაბურ-ლოგოგრაფიული ტიპის „ოქროდამწერლობის“ ნიმუშით“. ეს საენციკლოპედიო სტატია მთავრდება გია კვაშილავას დეპიფერირების შეფასებით. მისი ნაშრომები რეკომენდებულია, როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მაღალი კურსების სტუდენტებისთვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისა და ამ დარგის მეცნიერებისთვის მთელ მსოფლიოში.

უჩვეულოდ გამომაჯავო ინტერნეტ-ჟურნალ „არგონავტიკაში“ და იმავე სახელწოდების მონოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნდა 2012 წელს და რომლის ავტორია ცნობილი უნგრელი მეცნიერი ქსიზი სანდორი, ფართოდ და მრავალმხრივ არის გაშუქებული გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა ასპექტები და ნათლადაა ნაჩვენები, რომ არგონავტიკისთვის ფესტოსის დისკოს წარწერის გამოფერა უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს.

„ქართველი გია კვაშილავას მოხსენების ნაკითხვა – ათნეოლოგის წინ გერმანელი პროფესორის, ჰერმან ცემიშის მოსაზრებებზე დაყრდნობით „პელასგური ენისა“ და მათი კავშირის შესახებ ქართულთან – შთაბეჭდავი იყო. ცემიშმა თავისი კომპიუტერი გამოიყენა A კლასის ხაზოვანი წარწერებისა და ძველი კოლხური ენის შედარებით ანალიზისთვის. გია კვაშილავამ არა მხოლოდ აჩვენა, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის ენა უძველესი კოლხურია, არამედ ისიც, რომ ის კრეტაზე ჩაიტანეს მათმა ქურუმებმა – კორიბანტებმა, რომლებიც ლემნოსელ და სამოთრაკელ კაბიერებს უკავშირდებიან. ამ ენაზე მეტყველებდნენ: მინოსის კოლხი მუულე პასიფა, მისი ძმა – კოლხების მეფე აიეტი, აიეტის ქალიშვილი მედეა და აიეტის და – ჯადოქარი კირკე“. ამას წერს ბერძენი მეცნიერი ტ. კაფანტარისი (BHMA Science, საბერძნეთი, 2009 წ.). მისი აზრით, ყველა მაჩვენებელი, კრეტელები იმდროინდელი მსოფლიოს შტეგმონები იყვნენ!..

ბოლო დროის სამეცნიერო პუბლიკაციები ამტკიცებს, რომ შეუძლებელია იკვლიო ეს დრო, ეს არეალი, ეს თემა და, საერთოდ, ცივილიზაციის განვითარების ისტორია ისე, რომ მხედველობაში არ მიიღო გია კვაშილავას სამეცნიერო კვლევის შედეგები, რომლითაც მსოფლიოს მეცნიერებმა სხვაგვარად დაინახეს მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაციის განვითარების ისტორია და ქართველთა როლი ამ პროცესებში.

ეს არის ქართული კულტურის 50-საუკუნოვანი ისტორიის დამადასტურებელი არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალა. ქართველური ტომის – პელასგ-კოლხების მიერ შექმნილი კულტურა იყო საძირკველი ბერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა პირველ ევროპულ ცივილიზაციას.

**ნანი ჭანიშვილი**  
ენათმეცნიერი, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი

საოცრება

ვუძღვნი ვია კვაშილავას  
აღმოჩენებს

კოლხ-იბერთა გონი ბრწყინავს,  
„ნენას“ სხივი აფენია,  
ო, რამდენი საოცრება  
ბრძენთა ენით სათქმელია.  
გონმა ცეცხლში განვლო ლელო,  
და ვერ დანვა ათას ლავამ,  
მსოფლიო და საქართველო  
აქებს ქართულ გონის კალამს.  
სიამაყით ცაში ვფრინავთ,  
ცად, წინაპართ მართვინია...  
მსოფლიოს რომ გადაუფრინა,  
ის არწივი ქართველია.  
მისთა აზრთა, – სანაქებოს,  
ვერ ეყოფა მცირე ლექსი,  
ასახელე საქართველო  
მოდგმავ პელაზგ აქილევსის.

\*\*\*

ია შეჭამა ბარდმა და ძეძვმა,  
ჩრდილის მიზეზი ბევრი კუნძია,  
რად მინდა ლექსი, გულს თუ არ  
შეძრავს,  
გული, რომელსაც არ-რა  
უგრძენია.  
ლექსი, რომლითაც ვერვის  
დავათრობ,  
იყოს დღემოკლე, იყოს  
დღემცირე,  
რად მინდა სიტყვა, თუ არ  
გაგათბო,  
სიცოცხლე, – ერთგულს თუ არ  
შევიწიე.  
რად მინდა თვალი, თუ არ  
ატირდა,  
ენა – გულისას თუ არ იტყოდეს,  
გული – ვინმესთვის თუ არ  
ამტკივდა,  
სული – სიყვარულს თუ არ  
ითხოვდეს?!

მოგილოცავთ\*

გავისხენოთ, ბევრი გვყავდა  
სანაქებო წინაპარი, –  
ვერობელთა ძველ ხალხების  
ჰეგემონი და ლამპარი.

ქართველებო! გაუფთხილდე  
ამ სახელს და ამ დიდებას,  
მტერს ნურასდროს ვათქმევინებთ  
ქართველთ „ყოყოჩ განდიდებას“.

ნუ ნაბილწავთ შეგინებით  
„ღმერთის ენას“ – საგოგმანოს,  
წინაპართა რაინდობას  
მუხლმოდრეკით ვეთაყვანოთ.

არავინ არ ვაზიემოთ,  
„დამდაბლდაო იგი ერი“,  
ვიამაყოთ წმიდა სულით,  
არამარტო – ნიჭიერით.

უზნეობას გზა არ მივცეთ,  
მინის გულიც გავახაროთ,  
წინაპართ ძვლებს გაფიცვებთ,  
და – ქართული სულის წყაროს.

ციური თარგამაქი

\* აღფრთოვანებით ვეხმარები ვია კვაშილავას რაინდობას, თავდადებულ ღვაწლს და აღმოჩენას.

მუზეუმი ცოცხალი ორგანიზმი-  
ვით არის, უამთასგლასთან ერთად  
თანდათან იხვეწება, შესატყვის  
სახეს, შინაარსობრივ დატვირთვას იძენს  
და ძვირად ღირებული, ბრწყინავს საგ-  
ნების სიუხვით კი არა, წარმოდგენილი  
ექსპონატების ისტორიულ-შემეცნებითი  
ღირებულებებით ფასდება. სწორედ ამით  
არის განპირობებული ის დიდი დაინტე-  
რესება, რომლითაც სრულიად საქართვე-  
ლოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის  
სალონ-მუზეუმი სარგებლობს!

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 2008  
წელს უწმინდესის ბათუმის ბოტანიკურ  
ბაღში სტუმრობისას, ბაღის დირექტორ-  
მა ეთერ მაჭუტაძემ პატრიარქის თან-  
მხლებთა და მრავალრიცხოვან მრევლს  
გააცნო ქალაქის მერიისა და ბაღის თა-  
ნამშრომელთა ერთობლივი გადაწყვე-  
ტილება, რომ ამიერიდან ცენტრალური  
პარკის ერთ-ერთ უღამაზეს მონაკვეთს,  
სადაც საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“  
წარმომადგენლის, ადიკო ივანიშვილის  
ძალისხმევით ქვის ჯვარი უნდა აღიმარ-  
თოს, უწმიდესის სახელი მიენიჭა.

სწორედ მაშინ მოინახულა პატრიარქმა  
ამავე ტერიტორიაზე 100 წლის წინ ჩად-  
გმული ხის პატარა სახლი, სადაც ენციკ-  
ლოპედია „აჭარის“ ოფისია განთავსებუ-  
ლი; დაინტერესდა ჩვენი საქმიანობით...  
რამდენიმე დღის შემდეგ საპატრიარქოს  
კანცელარიამ საჩუქრად გადმოგვცა  
პატრიარქის წიგნები, მისი ცხოვრებისა  
და შემოქმედების ამსახველი ფოტოე-  
ბი, მხატვრული ტილოების რეპროდუქ-  
ციები. სახლს გაუკეთდა წარწერა, რომ:  
„2008 წლის 22 გიორგობისთვის ჩვენი  
სტუმარი იყო სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II“. სწო-  
რედ მაშინ გადაწყვიტა მოგვეწყო პატრი-  
არქის სალონ-მუზეუმი! ამ ჩანაფიქრს  
მხარი დაუჭირა ფართო საზოგადოებრი-  
ობამ, სხვადასხვა უწყებამ: ანდრია პირ-  
ველწოდებულის სახელობის ქართული  
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ,  
ხელნაწერთა სახელმწიფო ეროვნულმა  
ფონდმა, მეცნიერებათა ეროვნულმა აკა-  
დემიამ, აჭარის მხატვართა კავშირმა, სა-  
ქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა,  
პაატა ბურჭულაძის ფონდმა „ივანანამ“,  
ოლიმპიურმა კომიტეტმა, ზაქარია ფა-  
ლიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო  
ასათიანის მუზეუმებმა და სხვებმა. სა-  
ლონ-მუზეუმს თავიანთი ნამუშევრები  
გადასცეს მოქანდაკეებმა: მერაბ ბერძე-  
ნიშვილმა, დავით ბოლქვაძემ, მერაბ ფი-  
რანიშვილმა, გურამ ქაჯაიამ, ლევან ვარ-  
დოსანიძემ, გიგოშა პაჭკორიამ; მხატვ-  
რებმა: ზურაბ ნიჟარაძემ, ზაურ ნულაძემ,  
გივი კასრაძემ, ნინო ნიჟარაძემ, თამაზ  
გიორგობიანმა... მუზეუმის დაარსებას  
მიესალმნენ და საკუთარი წიგნები, პატ-  
რიარქთან გადაღებული სურათები გა-  
მოუგზავნეს ფრიდონ ხალვაშმა, მუხრან  
მაჭავარიანმა, ჭაბუა ამირეჯიბმა, გუ-  
რამ დოჩანაშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა,  
როინ მეტრეველმა, რამაზ სურმანიძემ,  
იური ბიბილეიშვილმა, ანზორ კუდბამ;  
ზურაბ გორგილაძის, გოგი ცაბაძის, ბი-  
ძინა კვერნაძის, რევაზ ლაღიძის, თამაზ  
ჩხეიძის ოჯახებმა.

მუზეუმის ხშირი სტუმრები არი-  
ან სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები.  
ენყოფა სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერ-  
ო თუ შემოქმედებითი ხასიათის ღონის-  
ძიებები...

მუზეუმი სისტემატურად მდიდრდება  
ახალ-ახალი გზავნილებით. ამ მხრივ გა-  
მონაკლისი არც მიმდინარე წლის ივლისი  
გახლდათ.

„ერისიონის“ ხელმძღვანელმა ჯემალ  
ჭკუასელმა მუზეუმს ანსამბლის ისტო-  
რიის ამსახველი საიუბილეო გამოცემები  
და უწმიდესთან გადაღებული სამახსოვ-  
რო ფოტოსურათი გადასცა; მუზეუმს შე-  
ემატა ახალგაზრდა, უკვე საკმაოდ ცნო-  
ბილი თოჯინების ოსტატის არჩილ ცანა-  
ვას ნამუშევარი „ჩემი ბებო“; ბათუმელი  
მოქანდაკის დავით ბოლქვაძის აბუსერი-  
ძე ტბელის ძეგლის ესკიზი. ასევე, ჩვენი  
მუზეუმის გულშემატკივრის, აჭარის, მი-  
სი ისტორიის ჭეშმარიტი მკვლევარ-მემა-  
ტიანის, მწერალ რამაზ სურმანიძის მიერ  
გადმოცემული: ანტონ ჩეხოვის, სერგი



ვის და რაგომ არ უნდა მუზეუმი!

ესენინის, მიხეილ ბულგაკოვის, ვლა-  
დიმერ მაიაკოვსკის, მაქსიმ გორკის და  
სხვათა მწვანე კონცხზე სტუმრობის ამ-  
სახველი უნიკალური ფოტოები, შესატყ-  
ვისი ინფორმაციები.

თუ როგორი გამოხმაურება მოჰყვა  
მუზეუმის ამ ახალ შენაძენს, საამისოდ  
შთაბეჭდილებათა წიგნში შეტანილ ჩანა-  
წერს გაგაცნობთ:

„ნანახით გამოწვეული ემოციისა და  
შთაბეჭდილების სრულყოფილად გადმო-  
ცემას დრო სჭირდება. ახლა მხოლოდ ის  
შეგვიძლია ვთქვათ, რომ სალონ-მუზე-  
უმში გამოფენილია ექსპონატებმა განუ-  
მეორებელი შთაბეჭდილება მოახდინეს.  
ალბათ, უკიდევანო ფანტაზიის ნიჭით  
დაჯილდოებულ კაცსაც კი არ მოუვა აზ-  
რად, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის გართუ-  
ლებული ურთიერთობისა და ათწლიანი  
დაპირისპირების ფონზე ამ, ერთი შეხედ-  
ვით, არაფრით გამორჩეულ პატარა ხის  
ქოხში რუსული პოეზიისა და პროზის კო-  
რიფების: ანტონ ჩეხოვის, სერგეი ესე-  
ნინის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, მიხაილ  
ბულგაკოვის, მაქსიმ გორკის და სხვათა  
მწვანე კონცხზე სტუმრობის ამსახველ  
მასალებს შეხვდებით.

მოუწონებ ყველას, განსაკუთრე-  
ბით ახალგაზრდობას: ენეით ამ წმინდა  
ადგილს, დაათვალიერეთ გამოფენილი  
უნიკალური ექსპონატები, მოისმინეთ  
კათოლიკოს-პატრიარქის საგალობლე-  
ბი, განიმსჯელეთ და გაითავისეთ ის კე-  
თილგანწყობა, სიმშვიდე, რომელიც აქ  
სუფევს და უფლის შეწევნით განთავი-  
სუფლდებით ყოველგვარი ბოროტებისა  
და კაცთმოძულეობისაგან!“

ყველა კეთილმოსურნე მოსოკოველის  
სახელით

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
ალექსანდრე ლიტინეცი  
პედაგოგი ტატანა ზახაროვა.  
19 ივლისი, 2013 წ.

აქვე ერთ ჩანაწერსაც შემოგთავაზებთ  
: „ მოხიბლული ვართ ილია II-ის სალონ-  
მუზეუმში წარმოდგენილი ექსპონატე-  
ბით. განსაკუთრებით შეგვძრა და აგვა-  
ლელვა იმ ადამიანურმა სითბომ, რომლის  
მონმენიც გაგხდით. ასე მხოლოდ საკუ-  
თარ სისხლსა და ხორცს მასპინძლობენ.  
დიდი მადლობა!

აფხაზ ექიმთა დელეგაციის სახელით:  
ო.არძინა, ნ.თარბა, ვ.ცუგბა,  
ჯ.ძიძარია, ნ.კოლბაია, ე.მხარია,  
ჯ.ეხვია და სხვები.  
11 სექტემბერი, 2011 წ.

ამგვარი შეფასებები მუზეუმის შთა-  
ბეჭდილებათა წიგნში ბევრზე-ბევრია.  
წერენ უკრაინელები, ბელორუსეები,  
ლიტველები, აზერბაიჯანელები, სომხე-  
ბი, პოლონელები, გერმანელები... გულს  
უხარია, რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს  
ეროვნული ფასეულობების საერთაშო-  
რისო ასპარეზზე გატანაში, სხვა ხალ-  
ხებთან დაახლოებასა და კეთილი ურთი-  
ერთობების გაღრმავებაში. ბოტანიკურ

ბაღს ხომ უამრავი ტურისტი სტუმრობს.  
უმრავლესობა დიდი სიამოვნებით ათვა-  
ლიერებს ჩვენს მუზეუმს, კათოლიკოს-  
პატრიარქის საგანე-კომპლექსს „მზიანი  
ღამე“, სამახსოვრო სურათებს იღებენ  
ქვის ჯვართან...

ის, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარ-  
ი, არაერთხელ დაინერა და ითქვა ყურ-  
ნალ-გაზეთებში, სატელევიზიო გადა-  
ცემებსა თუ სხვა პუბლიკაციებში. მით  
უმეტეს, გაოცებას იწვევს ბაღის დირექ-  
ციისა და მათი მხარდამჭერების დაუფარ-  
ავი, მტრული დამოკიდებულება მუზე-  
უმისადმი. და ეს კეთდება მაშინ, როცა  
ლაპარაკია ბაღის ინფრასტრუქტურის  
გაუმჯობესებაზე, სტუმრების უკეთ მომ-  
სახურების მიზნით იქმნება სპეციალური  
სამსახური, ბაღის ტერიტორიაზე ეწყობა  
ეთნოგრაფიული კუთხე.

ისმის შეკითხვა: ვის და რატომ არ უნდა  
მუზეუმი?! რატომ ამბობენ უარს ამ უკ-  
ვე არსებულ საგანმანათლებლო-შემეც-  
ნებით კერაზე! ჩვენ არაერთხელ ვცადეთ  
ამის გარკვევა, ოპონენტებთან საერთო  
ენის გამოხატვა, გაზეთის საშუალები-  
თაც მივმართეთ: „ახლა, როცა აცხადებთ,  
ცილს ნუ გვწამებთ, ნაციონალური არასდ-  
როს ვყოფილვართო! არ გედავებთ, დე,  
ასე იყოს!.. გზასაცდენილთა შემობრუნე-  
ბას აბა, რა სჯობს, მაგრამ უპირველესად  
ზნე და ცხოვრების წესი უნდა შეიცვა-  
ლოთ. სოფლის შენება მხოლოდ რწმენითა  
და ქვეყნის სიყვარულით შედუღაბებულ,  
ხელიხელჩაკიდებულ ადამიანებს ძა-  
ლუძთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ყვე-  
ლანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ!“

ნათქვამისა არ იყოს, „მგლის თავზე  
სახარებას კითხულობდნენო“, ისინი თა-  
ვისას მაინც არ იშლიან.

არ გვინდა ძალზე მკაცრნი ვიყოთ,  
მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას: ადამიან-  
ებისგან, რომელთაც დაკარგული აქვთ  
ეროვნულობის გრძნობა, სასიკეთოს  
არაფერს უნდა ველოდოთ! ისინი, ხომ  
არა მარტო მუზეუმის არსებობას, ასეთი-  
ვე გულმოდგინებით ეწინააღმდეგებიან,  
საკუთარი თანამემამულის, ბოტანიკური  
ბაღის გამშენებლისა და მთავარი არქი-  
ტექტორის, იასონ გორდენიანის აღიარე-  
ბას!

ალბათ, დაგვეთანხმებით, ყველაფერი  
ეს სცილდება მავანის ამბიციურ ჯიუტო-  
ბას და გაცილებით ღრმად აქვს ფეხები  
გადგმული, რაც ფართო საზოგადოების  
მკაცრ შეფასება-რეაგირებას მოითხოვს  
და თანაც დაუყოვნებლივ!

მაკა კონენიძე  
მუზეუმის თანამშრომელი



# ჩვენარად, ჩარსულად, ჩვენარად!

ცხოვრება პარადოქსებისგან შედგება. მგონია, ეს ჩვენი ყოფა-ნუთისოფელი სულ პარადოქსია. შესაძლოა აფსურდიც კი. რატომაც არა. რომელი ფილოსოფოსი იყო, რომ ამბობდა, მნამს, რადგან აბსურდიაო. თუ არ ვცდები, ტერტულიანე იყო. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი არსია, აბსურდის არსი, რომელიც უფრო რეალურია, ვიდრე სიმართლე, ვიდრე სინამდვილე, ვიდრე საგანთა ჩვეულებრივი რიგი. იქნებ ამიტომაც არის, რომ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას, ტყუილი უფრო სჯერათ, ვიდრე სიმართლე. თუმცა რა შუაშია ტყუილი აბსურდთან. აბსურდი ხომ სუპერტყუილია. აი, მაგალითად, ასეთი: ნააგვე და იტყვი, მოვიგეო. ისე, როგორც ჩრდილო კორეელებმა „მოუგეს“ ბრაზილიის ნაკრებს მარტო კორეის ტელევიზიაში.

ჩვენთანაც მოხდა ასეთი რამ. დავმარცხდით და ვამტკიცებდით, გავიმარჯვეთო. მეტი დამაჯერებლობისათვის, ვიზეიმეთ კიდევ. „ვაშა აბსურდულობას! გაუმარჯოს აბსურდულობას!“ — ასე მთავრდება პიერ პაოლო პაზოლინის ერთ-ერთი კინონოველა. „აბსურდულობა ამ ფილმში ჰქვია ყრუ-მუნჯ ქალს, რომელიც თავს იკლავს, მაგრამ არ კვდება. ერთი სიტყვით, მნამს, რადგან აბსურდია.“

## ტელეშოკი

ძველ თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის გვერდით პატარა რესტორანი იყო. იქ გავიცანი სოხუმიდან დევნილი, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, რომელიც საინტერესო ისტორიას მოჰყვებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, უკვე თბილისში დასახლებულს, აუკრეფია სოხუმის კოდი, შემდეგ საკუთარი ბინის ნომერი და ჰოი, საოცრებაც...

ვიღაცამ ყურმილი აიღო და გაისმა ჩვეულებრივი, „ალო, ალო“. აბა, იმ ადამიანის მდგომარეობაში წარმოიდგინეთ თავი, რომელსაც საკუთარი სახლიდან უცხო ეზმინებდა... გამოლაპარაკებია უცნობს, ვინა ხარო, უკითხავს. აქ ვცხოვრობო — ყოფილა მოკლე, მშრალი პასუხი.

შენ როგორ ცხოვრობ, ეგ ჩემი სახლია, მამარქვის, ჩემი წინაპრების აშენებულიაო. რა ვიცი, მე კი ვცხოვრობო — უკან არ დაუხვია უცნობს, თან დაუყოლებია, რა კარგი ქენი, რომ დარეკე, გათბობა ვერ ჩავრთე ვერაფრით, იქნებ მასწავლო, როგორ ვიხმარო, ამ სისტემას არ ვიცნობო... უსწავლებია, როგორ გაეთბო თავი მის სახლში ძალადმდგომურს

ესეც შენი სტანისლავსკისეული „მოცემული გარემოებანი“. ამ გოგონას და მისთანების ადგილას წარმოვიდგენ-ხოლმე თავს ტელევიზორთან მჯდომი. როცა უმეცარი პოლიტიკოსები და მისთანა ყურნალისტები აფხაზეთში მცხოვრები რუსი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე მემუშაიფებინან. სისხლი მეყინება, გული მენვის იმ 300000 ლტოლვილის გამო, რომლებიც თავიანთი ზღვისპირა სახლებიდან აყარეს და სხვადასხვა ქალაქების სასტუმროებში, თითო ოთახიან ნომერებში გამოამწყვდიეს...

აგერ უკვე 15 წელია გრძელდება მათი დევნილობა... რად უნდა ლაპარაკი, პოლიტიკოსების სინდისზეა ამ ხალხის არეული, დამსხვრეული ცხოვრება. მიხურულ კარს მიღმა გამართული მოლაპარაკებების, გარიგებების, დაფარული, და მალული ინტერესების შედეგია ყოველივე. ღია კარიდან თუ სარკმელიდან, მედია რომ ჰქვია, სხვა რამეს ვეუბნებთან. სიმართლის რა ნაწილი დევს იმ გაპრიალებულ „ნიუსებში“, რითაც ყოველდღიურად გვკვებავენ, თავადაც კარგად მოგეხსენებათ!

ტელეშოკია, აბა რას დაარქმევ ლიტვლების გადაღებულ ფილმს „საბჭოთა ისტორია“, სადაც დოკუმენტურად ასაბუთებენ ვერსიას, რომლის მიხედვითაც II მსოფლიო ომი ჰიტლერისა და სტალინის ერთიანი, შეთანხმებული პოლიტიკის შედეგად დაწყებულია. შოკის-მომგვრელია დოკუმენტური ქრონიკა — მოლოტოვის ვიზიტები ნაცისტებთან, ეს-ეს-ელებისა და საბჭოთა უშიშროების ერთობლივი ოპერაციები, მაგრამ ეს პრელუდიაა — ფილმის ფინალად პუტინის ის გამოსვლაა გამოყენებული, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტი სსრკ-ს ასხამს ხოტბას. დამაფიქრებელი გაფრთხილება: გემინოდეთ, ადამიანებო! საბჭოთა იმპერიის აღორძინების მოსურნენი დგანან რუსეთის სათავეშიო!

მარტო რუსეთის მოქალაქეებისთვისაა განკუთვნილი ეს გაფრთხილება? მარტო მათი თავსატეხია, საით მიჰყავთ პოლიტიკოსებს ეს უზარმაზარი ქვეყანა? ვაი, რომ ყველას ეხება! მაგრამ, ჩვენ, ქართველებს ორმაგი უბედურება გვჭირს: ერთი — ყიამყალი მეზობელი და მეორე — ჩვენ საით მივდივართ არ ვიცით. ჩვენს ხელისუფალთ საით აქვთ გეზი აღებული, ვერ გაგვირკვევია. გვეუბნებიან, ნატოსკენო, დასავლეთისკენო, მაგრამ რა გზით, რისი გადარჩენის, დაკარგვის და შეწირვის ფასად?!



## უსახსრო კაცის გერმანული ჩანაწერი

მე და იურას ამ ომში ნამდვილად არ გვიბრძოლია, მაგრამ დასახიჩრებულები კი დავრჩით... და არა მარტო სულიერად. იურას ისე გაუხდა ხელი, რომ აგვისტოს ბოლოს საოპერაციოდ ბერლინს გაემგზავრა. მე, კოქსართროზის გამო — სულ ველარ ვგრძნობდი ფეხს — გაუსაძლისი ტკივილები ამყვებ და სასწრაფოდ ჩემს მეგობარს, პეტერ შეფერპოფს მივაშურე კიოლნში.

შეფერპოფი ძმასავით შემხვდა. რიგმიგი არ ვიცი მეო, ეს კაცი ჩემი პაციენტი და მეგობარია, ხვალ დილით პირველი ამას უნდა დავკრა დანაო. ერთი კი იყო, გამომშვიდობებისას მითხრა: საქართველოს ამბები მაინტერესებს ძალიან, მერე ვისაუბროთო. ისე ავიხდათ ყველაფერი, დილით, 6 საათზე გამაპარსეს და ორ საათში უკვე გათიშული ვეგდე საოპერაციოში. ჩემს ლოგინს მომხიბლავი მედლა მიაგორებდა. კი მინდოდა გამოლაპარაკება, გულში პაემანის დანიშვნასაც ვუპირებდი, მაგრამ ჯერ ერთი, მოკლე აღმოჩნდა გასაველი მანძილი და მეორე, ვიფიქრე, თუ გადავრჩი, აქ არ არის, სად გამეცქევა-მეთქი?!

საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ კერძო კლინიკაში, სადაც უსახსროდ დამტოვეს, როგორც პირდაპირი ისე გადატანითი მნიშვნელობით, გერმანელებთან ერთად სერბები, თურქები, მაროკოელები, რუსები მუშაობენ. თითოეული დინჯად, უსიტყვოდ, უმალესი ოსტატობით ასრულებს თავის მოვალეობას და ამ პროცესში სრულიად არ უშლის ხელს არც ეროვნება და არც პოლიტიკა. ჩემი გამომგორებელ-გამგორებელი, დამბანგამნმენდი მედლა აღმოჩნდა მაინცდამაინც პოლიტიკაზე გადარეული და პირდაპირ ჯვარს მაცვია 7 დღის მანძილზე.

ჯერ, ასე დაიწყო — რატომ ამერიკაში არ გაიკეთეთ ოპერაცია, ისინი არ არიან თქვენი მეგობრები, თუ მხოლოდ ფულს გიხდიანო? მერე, გავიგე, ჰუმანიტარული დახმარება გამოუგზავნიანო, სამი დიდი სამხედრო გემით, მინერალური წყალი, ასე გჭირდებათ წყალიო? ჩამისისინა, და გაქრა.

\*\*\*

— აბა, ჰერ ხარაბაძე! — თავზე ისევე ჩემი სულთამხუთავი, კლავდია მადგა. რა დიდი მნიშვნელობა აქვს სილამაზეს. ეს ახლა ასეთი კარგი რომ არ იყოს, ხომ ათასგზის მიეყოლებოდა დახრჩობილი.


— ხვალ მეშვიდე დღეა ოპერაციიდან, სახლში მიბრძანდებით, სანამ სისხლძარღვებს არ შეგიმომშებთ დოქტორ ჩამჩი, ვერ გაგიშვებთ. პირველ სართულზე უნდა ჩავიდეთ. გორგოლაჭებიანი საგარძელი გირჩევენიათ თუ თქვენივე ლოგინით ჩავიყვანათ?

— ყავარჯნებით არ შეიძლება? ვიკითხე.

— როგორ არა, თუ ასე გირჩევენიათ... მოიცათ, მოიცათ, რაცმე დაგეხმარებთ. თქვენც მანჩესტერის თავყანისმცემელი ხართ? ჩემი მეგობარიც ზუსტათ ასეთ მისურს ატარებს, სხვათაშორის, გუშინ წააგო „არსენალთან“. ნელა, ნელა ნაოპერაციევი ფეხი უფრო დაზოგეთ... „კროკსები“ თქვენცა გაქვთ, ჩვენთან, ხომ ხედავთ, კლინიკაში ყველას ეს აცვია, შეფერხოფსაც კი, ძალიან მოხერხებულია, ჯერ მარჯვენა, აი, ასე... ახლა მარცხენა. საქართველოშიც თუ ამზადებდნენ, არ ვიცოდი... თუმცა არა, MADE U.S.A აწერია. ასე საცვლების ამარა წამოხვალთ?

— არა, თუ შეიძლება კარადაში ხალათია და მომანოდეთ.

— რა მშვენიერი აბრეშუმის ხალათია, აი, მესმის ქვეყანა. პაციენტი აბრეშუმის გზის ქვეყნიდან, აბრეშუმის ხალათით, თუმცა, მოიცათ, ამასაც MADE IN ITALY აწერია... ხელჯოხები მოიმარჯვეთ, ეს ალბათ ჩვენს აფთიაქში იყიდეთ, არა? ამას ერთი შეხედვით ვცნობ, წამლებიც გერმანული, წნევის აპარატიც შვეიცარიული გაქვთ, საათიც... აბა, ნელ-ნელა, არსად არ გვეჩქარება, დოქტორ ჩამჩი დაიცდის, აი, ასე, კარგია, მშვენიერად მოდიხართ... ჰერ ხარაბაძე, აი, მეხუთე დღეა თქვენს პარფიუმერიას შევცქერი აბაზანაში. ოდეკოლონი ALLURE, შამპუნი ფრანგული, კბილის ჯაგრისი და პასტა ამერიკული. რა, თქვენი ქვეყანა არაფერს აწარმოებს? ნელ-ნელა, ახლა ლიფტი მოვა და ორ წამში იქ ვიქნებით, ხომ არ დაიღალეთ, ფერი არ მომწონს თქვენი, გნებავთ ჩამოვსდეთ...



გოგი ხარაბაძე

ლიფტები შარშან გამოცვალეთ, როგორი უხმაუროა არა? თქვენ რა მარკის მანქანა გყავთ?

— მერსედესი — გამცრა კბილებში.

— ა, ა, ა, ესე იგი ვერც მანქანებს აწარმოებთ. სულ არაფერს აწარმოებთ? მაგალითად არაფერს აქვს ნიშანი MADE IN GEORGIA... გამახსენდა, ღვინო გვაქვს კარგო, ამასწინათ, მითხარით, კიდევ...

— კი, როგორ არა, ხაჭაპურს!

— ეგ რაღა არი?

— აი, ჩამოხვალთ და ნახავთ.

— ო, ო, ერთადერთი პროდუქტისთვის, რასაც აწარმოებთ, აუცილებლად ღირს თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლა.

ნეტა მართლა ჩამოხვიდოდეთ, — გავიფიქრე ჩემთვის, — ჯერ ხაჭაპურით გაგაძღებ და მერე თბილისის ზღვაში დაგახრჩობ.

პირველი სართულის მისაღებში სიმპათიური დოქტორი ჩამჩი მელოდა, კაბინეტში შემიძღვა და კლაუდიას კლანჭებიდან მიხსნა.

უკან წამოსვლისას ისევე კლაუდიამ შემოყო თავისი პაჭუა ცხვირი და გრძელი ენა დოქტორ ჩამჩის კაბინეტში.

— ნაიყვანეთ თქვენი პაციენტი, კლაუდია — მიმართა დოქტორმა. სისხლძარღვები მშვენიერი აქვს, თვითონაც ხომ ხედავთ, როგორ კარგად გამოიყურება, ავადმყოფს სულაც არ ჰგავს, აი, ასეთი ზღაპრული ქვეყნის პაციენტი გვყავს კლინიკაში.

— კი, მაგრამ ჰერ ხარაბაძისა და მისი ქვეყნის დამსახურება აქ ცოტაა. მადლობა ღმერთსა და ჩვენს კლინიკას.

უკან ისევე იმ ღულუნა ლიფტით დაგბრუნდით.

— ჰერ ხარაბაძე, ტელევიზორს სახლშიაც არასოდეს უყურებთ?

— არა!

— ძალიან ცუდი, თორემ დღეს ჩვენს საინფორმაციო საშუალებებში გადმოსცეს, რომ საქართველოს მოსახლეობის 28%-ს ჰგონია, რომ ომი მოიგეს. აი, თქვენგან განსხვავებით, ჩვენ, გერმანელებმა ომში დამარცხების შემდეგ სიმართლეს თვალში ჩაჩხვადეთ, თავები ჩაველუნეთ, შრომა დავინწყეთ და, ხომ ხედავთ, ყველა აქეთ გამორბის... თურქები, უკრაინელები, ბერძნები, სერბები, ქართველებიც... წარმოიდგინეთ, უამრავი რუსია... საინტერესოა, რუსეთის მოსახლეობის რამდენი პროცენტი ფიქრობს, რომ ომი წააგო საქართველოსთან? — არ ვიცი, მე ტელევიზორს არ ვუყურებ. ვუპასუხე და პალატის კარი უხეზად მივხურე.

\*\*\*

— ო, ჰერ ხარაბაძე, გუტენ მორგენ! კომპლიმენტი მინდა გითხრათ. საქართველოსა და ყოფილი საბჭოეთის სხვა ქვეყნებში არსებული ვითარების ანალიზი მოვისმინე ამ დილით რადიოთი, მანქანაში... რუსეთში ხალხი გაყურებული, დადუმებულია თურმე, პუტინისა და მედვედევის რეიტინგი ძალიან მაღალია. თქვენი მეზობელი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზიის ყოფილი რესპუბლიკები, სულ მიძინებულა... საქართველო კი დულს, ბობოქრობს, იბრძვის, იღწვის. ყოჩაღ! ეს იმას ნიშნავს, რომ ფიქრობთ, აზროვნებთ. ყოჩაღ! სანამ ისინი გაიღვიძებენ, თქვენ უკვე შორს იქნებით. ყოჩაღ! ისე მარტო რას მიაღწევთ, არ ვიცი, მეცოდებით კიდევ...

აბა, წამოვდეთ... ნელა, ნელა... ჯერ მარცხენა ფეხი, მერე მარჯვენა... აი, ასე... ნელა, ნელა, ზარატუსტრა ხომ გაგიგიათ, ჰერ ხარაბაძე, ჰოდა, იცით, რას ამბობდა: „ფრენა რომ ისწავლო ჯერ დგომა ისწავლე, მერე ცოცვა, მერე სიარული და მხოლოდ მერე დაიწყე ფრენაზე ფიქრი“—ო. გამოტყდით, ქართველები ხომ ფრენაზე ოცნებობთ, ნელა, ნელა! აი, ხომ ხედავთ, უკვე დგახართ ფეხზე, ყოჩაღ!

თქვენი ქვეყანაც ასეა... უცბად არაფერი ხდება... დამიჯერეთ, ყველაფერი კარგად იქნება... ნელა, ნელა! ისიც მალე დადგება ფეხზე თქვენსავით, მერე კი...

ახლა გეყოფათ, დაწყეთ, დაისვენეთ. ხვალ გრძელი გზა გელით! შორია თქვენს თბილისამდე! ხვალ დასვენების დღე მაქვს, ვერ გნახავთ! ყველაფერი კარგად იქნება! აუფ, ვიდერ ზეენ!!!

თბილისი, 2008 წ.

გემოვნებაზე რომ დაობენ და თანაც საკმაოდ საფუძვლიანად, ნოვატორული აღმოჩენა ნამდვილი არ გახლავთ. შესაბამისად, ძნელი მისახვედრი როდია, რომ ყველას ერთნაირი გემოვნება ვერ ექნება და, თუ ოდესმე ეს კანონზომიერება დაირღვა, სამყაროს ერთგვაროვან მუტანტთა ურდო წაღვეს და რუსეთის ტრამალივით გააერთიანებენ. ამგვარი კატაკლიზმისგან დამცველი თუ დაგვიფარავს, თორემ პროვოკაციული ექსპერიმენტებისადმი მიდრეკილი ადამიანები ხშირად კეთილგონიერებით ვერ დაიტრახებენ.

საკითხავია, გემოვნებათა ჭიდილში თავს ვის ბანაკში ამოყოფ. ხელოვნურად შეხორცებული ნიღაბი საჯაროდ ჩამოგდებოდა თუ შინაურ წრეში, მხოლოდ შენიღბვით გიმტყუნებს?

**„გულცივი ცხოვრება ყველა ადამიანის სახეს ნიღაბად აქცევს. ზოგი მუდამ ერთ ნიღაბს ატარებს, რომელიც თანდათან ჭუჭყიანდება და ნაოჭებით იფარება. არიან ადამიანები, რომლებიც თავის სახეს მხოლოდ ახლობლებისთვის ინარჩუნებენ. ზოგი სულ ნიღბების ცვლაშია, ხანდაზმულობის ყამს კი, როცა უკანასკნელი ნიღაბი რჩება, ნიღბის იქით ნამდვილი სახე გამოჩნდება ხოლმე“**, – სადღე ჰედაიათის სპარსული სიბრძნე შემთხვევით რომ არ დავიმონებ, მკითხველი ამას ახლავდნენ შეიტყობს.

საერთოდაც, ნიღბის ფილოსოფია ერთობ მაცდური და ამოუწურავი თემაა და ამჟამად მისი არსის კვლევა მთავარ სათქმელს აგვაცდენს.

უმჯობესია იმ მწერლის პიროვნულ ბუნებას ჩაუვკვირდეთ, ვინც ვენეციური ნიღაბი ნაადრევად ჩამოიგლიჯა, რამეთუ სულსწრაფსა და მოუთმენელს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი მაინცდამაინც არ მომადლებია და, საიდნაც ქარი დაუბერავს, მაშინვე სასურველი მიმართულებით გადაიხრება. იმ ჰანგზე აცეკვდება, რომელიც კონკრეტულ მომენტში ყველაზე ელიტარული და მომგებიანია, „ჩამონერვილ“ მელოდიას კი სათადარიგო ბორბალივით ნაკლებად გავლენიანი ხალხის გასაბითურებლად ინტელექტუალურ ზანდუკში ამწინდებს, საკმარისია, ამ „პანდორას ყუთს“ ფაკირივით თავი ახადოს, მკითხველის შესაცუბნებლად გამიზნული ბრტყელ-ბრტყელი უცხო სიტყვების შადრევანი მხიარული შხაპუნით ამოიფრქვევა და ჩვენი ძლევამოსილი ერუდიტის „უბადლო“ გემოვნებისა და ცოდნის ფეიერვერკს ველარაფერი შეაკავებს!

ხმაურიანი „ტკბილხმოვანება“ ყველასთვის როდია განკუთვნილი. აქ მხოლოდ ავანტიურისტები უნდა გალაღდნენ და გამარჯვების მაუწყებელი საბრძოლო მარშით გულუბრყვილო მსმენელები და მყურებლები მოჩანგლონ.

ბოლოს და ბოლოს, მათ ნინაშე თვით ყველაზე მრისხანე, ძვირადღირებული“ და იკლიკანტური ნიღაბი აბრტყვიანდება, რომელსაც ჰომოსოკიეტიკუსის შინაგანი ბუნება იმდენად გამახვილებული აქვს, რომ შეუმცდარად გრძნობს, ვის როდის გაუღიმოს, როდის დაგესლოს, ზურგში მახვილი გაუყაროს ან ყალბი დიორამების მორევში ოსტატურად ჩაძიროს.

ასეთი ინტელექტუალი მხოლოდ თანამდებობის პირებთან და მჭახე პრემიების ლაურეატებთან არის დაშაქრული. სხვებს გამუდმებით დასცინის (ზურგს უკან, რა თქმა უნდა!), რადგან პათოლოგიური პატივმოყვარეობით შეპყრობილს საკუთარი „მეს“ გარდა არავინ და არაფერი აინტერესებს. იგი, როგორც წესი, თავისი „გემოვნებიანი შეგონებების“ გადმოსაცემად უცხოურ, კერძოდ, ლათინურ გამოთქმებს იყენებს, ამდენად, სერვანტისისგან ფრიად დავალებულია და მწვერვალის დასაპყრობად უცხოური ფინანსების მისწვებით გატყუებული გზას მიუყვება, თუმცა, თავი ისე უჭირავს, თითქოს ნითხე ხალიჩაზე მიაბიჯებდეს, აქაოდა, გაცვეთილ ფანდს ვერავინ შემამჩნევს ან, თუ საეჭვო წერილმანს მაინც აღმომიჩნეს, შიშით ვერაფერს შემომკად-

რებს, ჩემი გემოვნების პატრონის დამუნათება მოეხატრებაო.

საინტერესოა, დონ კიხოტის ავტორმა ამ ჩვენს თანამედროვე რაინდს ასეთი რასწავლა ან რითი დააფრთიანა, ალებულკურსს ჯიუტად რომ მისდევს და ღვანლმოსილი მწერლების რჩევას თავისი ლექსიკონიდან უცხო სიტყვების გამოხშირვის თაობაზე ყურს უყრუებს.

„საკმარისია თავის ადგილას მოხმობის შეგონებები თუ ლათინური გამოთქმები, რომლებიც ზეპირად გახსოვთ, ან, ყოველ შემთხვევაში, დიდი შრომა არ დაგჭირდებათ მათ მოსაძებნად.“

ამ ლათინიზმებისა და სხვა მისთანათა წყალობით, სულ ცოტა, გრამატიკოსად მაინც ჩავთვლიან, ეს სახელი კი ჩვენს დროში ძალზე საპატიოა და სარფიანი“.

# იანუსებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით?!

*სხვაზე ნაკლებ არ ვიცი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი საკუთარმა ფიქრმა; სხვაზე ნაკლებ როდი ვიცი, ინტელექტუალი საშემხვეცს რომ წარმოადგენს და მოლაღატეობის უნარს ფლობს.*

ალბერ კამიუ

დადგინდა, რომ ლათინურით ჟონგლირობა უდავო „გემოვნების“ მაჩვენებელია, მაგრამ ეს ამბავი მთელ დუნიაზე გახმაურებულია (სერვანტისის ყურამდეც კი მიუღწევია) და, ამის მიუხედავად, ვენეციური ნიღბის პატრონის იმედგაცრუება არ გამოუწვევია. მოგესხენებათ, გემოვნების სიღრმე ასე სახელდახელოდ არ იზომება, ამიტომ საფუძვლიანად გავარკვიოთ, ჩვენი ინტელექტუალის შეფასების შკალა მხოლოდ ლათინურისა და ფარგონის (ფარგონს მისი მეგობარი მწერლები ეთაყვანებიან) გზაჯვარედინზე გადის თუ ფსკერზე სხვა „მისტიკურ რეციდივსაც“ ითავსებს? რადგან ახალგაზრდა პოეტსა და კრიტიკოსს ლათინურის ცოდნა, სულ მცირე, უმაღლესი გემოვნების გამოვლინება ჰგონია, ბარემ რომაულ გამოთქმასაც შევასხენებ: **მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!**

ახლა დავადგინოთ, პოპულარული (უფრო ახალგაზრდებში), ენერგიული და მამაცი ინტელექტუალი ვის გემოვნებას იცავს და გაზეთის ფურცლებიდან, დიდაქტიკური ტონით, თავდაუზოგავად ვის ესარჩლება. მეგობრისა თუ კეთილსმყოფელის „შეღაბულ უფლებებს“ ისე მედგრად უბერავს სულს, არცთუ დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენების პირწმინდად დავიწყებია ან, თავი ისე უჭირავს, ცდილობს დავგარნმუნოს, რომ ლათინურის ცოდნა აშკარად მაღლიერების უგულვებელყოფის ხარჯზე გაუღრმავებია!

18 წელია მწერლობაში, ავად თუ კარგად, სიტყვა მეთქმის და, აქედან გამომდინარე, არ მესწავლება, კაცს საჯაროდ სიკეთე რომ არ უნდა წამოაყვადრო. სულხან-საბას იგავ-არაკიც მსმენია, მაგრამ „კუ და მორიელმა“ რა დააშავა, თუკი „მალაღმებოვნებიანი“ კოლეგა მაინცდამაინც მორიელის (და არა დინოზავრის) ნაკვალევს ასდევნებია?!

გემოვნება გემოვნებად, ეს სოლიდური საკითხია, თუმცა, ნამდვილი გემოვნება რომ კასტურ პრინციპზე მალდებდა, ამას წყალი არ გაუვა! ჩვენი ინტელექტუალის ქების ობიექტები კი მხოლოდ და მხოლოდ მისივე გარემოცვის ხალხია, ვინც ამას გურუდ და ტიტანად აღიარებს და ამიტომ ხოტბა ოდენ თანამოაზრეების მისამართით ემეტება. ხოლო „გარემებს“ (ვინც მისი გენია არ აღიარა!) ამის ღირსად არა ცნობს.

იგი საუბარს მუდამ იმგვარად წარმართავს, რომ საბოლოო ჯამში, „საცერში გატარების“ შემდეგ უმრავლესობა უდაბლეს დონეზე რჩება. ოლიმპოს, რა თქმა

უნდა მისი რჩეული ამხანაგობა იმკვიდრებს!

მე განსხვავებულად ვფიქრობ. ასე რომ არ იყოს, ჩვენს ინტელექტუალს პირადად არც კი ვიცნობდი (ორჯერ ადამიანთან შემთხვევით შეხვედრას ცნობა არ ჰქვია), როდესაც მის მხარდასაჭერად ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე და მოსისხლ მტრები უარესად გადავიკიდე. ჩვენში დარჩეს, რა მრჯიდა? მოგვიანებით მან ჩემი „ესთეტიკური უანგარობა“ (მისსავე ციტატას ვიყენებ) საჯაროდ აღიარა, თქვა, რომ, მრავალრიცხოვანი მომხრეების მიუხედავად, მე ერთადერთი მწერალი გამოვდექი, ვინც კავშირის უფროსობას არ შეეშა და მის დასაცავად ყველაზე ავტორიტეტულ ჟურნალში სოლიდური საპროტესტო სტატია დაბეჭდა.

## იკა ქალაქში



გუნებას გიმხამავს. თავი, სულ მცირე, ბრძოლაში ათწლიან ბრძოლაში მაინც უნდა გამოსცადო, რომ დასკვნა, სინამდვილეში რას უმიზნებ: უმაღლეს ძალაუფლებასა და კარიერას თუ სიმართლის დასაცავად ბოლომდე დგახარ და ხელსაყრელი შემთხვევისთანავე მას ვაჭრული გარიგებისას არ დათმობ! ამასობაში დავამ ფინანსური სფეროც მოიცვა. ამ საქმეში ჩახედულმა ახალგაზრდა კრიტიკოსმა თავის თანამოაზრესთან ერთად კავშირის ზემდეგთა წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი აღძრა. ამ გარემოებაში დაპირისპირების ახალი, მწვავე ტალღა ააგორა. ჩვენს ინტელექტუალს უფროსობამ, თავისიანების მეშვეობით სასტიკად შეუტია. ბუნებრივია, დარტყმაზე უფრო სერიოზული დარტყმით უნდა გვეპასუხა და უკიდურესად დამაბულ ვითარებაში გამოქვეყნდა ჩემი ახალი, მწვავე წერილი: „ბრავო, კონკისტადორებო!“, რომელიც ერთობ გახმაურდა და რევოლუციურ პროკლამაციასავით ხელიდან ხელში გადადიოდა. სხვათა შორის, ლექსო დორეულმა ჩემი სტატია ინტერნეტშიც თავისი ინიციატივით განათავსა.

ამ დრამატული მოვლენების განვითარების პარალელურად ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი, სასიკეთო გარდატეხა მოხდა — კავშირის უკანონობის ასალაგმავად ეროვნული აკადემია დაარსდა, სადაც ავტორიტეტულმა, ღირსეულმა მწერლებმა მოიყარეს თავი და პრეზიდენტად მამაცი და მეტრძოლი კრიტიკოსი, ბ-ნი თამაზ ნივნივაძე ერთსულოვნად აირჩიეს. მან, თავის მხრივ, ყველაზე ტრადიციული და ეროვნული გაზეთით, „ლიტერატურული საქართველო“ აღადგინა და სიმართლეს მოწყურებულ მრავალრიცხოვან მკითხველსა და კავშირის მესვეურთაგან დაჩაგრულ კეთილსინდისიერ მწერლებს იმედად მოევიწინა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი წინსვლა გამოდგა და, შესაბამისად, ბ-ნი თამაზ ნივნივაძის დაბრუნებამ პატიოსანა, ეროვნული მსოფლმხედველობის ხელოვნებს სიხარული მოჰგვარა!

აკადემიის დაარსებამდე ამ სერიოზულ ორგანიზაციაში შესაფერისი წინადაგის მოსამზადებლად პატივსაცემმა უფროსთაობელმა მწერლებმა გვერდით უყოყმანოდ ამომიყენეს — „ოპორტუნისტობის ყამს“ კრიტიკულ ვითარებაში ერთმანეთი უნიღბოდ გავიცანით და შევაფასეთ. მოკლედ, ყველამ რეალურად გაიგო, ვის რა ამომრავებდა, რისი ღონე და უნარი შესწევდა. არ შემრცხვება, ვაღიარო, რომ, როდესაც აკადემიაში ახალთაობელთა შემოერთების საქმე მომანდეს, ერთ-ერთი პირველი სწორედ ლექსო დორეული დავასახელე, არ შემშინებია, რომ მომავალში „პოსტს“ ან ავტორიტეტს ჩამომართმებდა ან ზურგიდან ლახვარს ჩამეცემდა, რაც სულ ცოტა ხნის წინა დიდი სიამოვნებითა და „პროფესიონალიზმით“ მოიმოქმედა. ფაქტია, მისი ეს თვისება სხვა მწერლებს უთუოდ შემჩნეული ჰქონდათ, რადგან აკადემიაში მის განვერიანებას დიდი სიხარულით არ შეგებებანი, უფრო მეტიც, ზოგიერთების დასათანხმებლად სერიოზული წინააღობის გადალახვა მომიხდა. იმავეს ლევან მეტურიაშვილზე ნამდვილად ვერ ვიტყვი. ამ ახალგაზრდა კრიტიკოსმა თავისი ჩინებული წიგნის გამოცემისთანავე ეროვნ-

ნული მოღვაწეების ერთსულოვანი კეთილგანწყობა და მხარდაჭერა დამსახურებულად მოიპოვა, რადგან დაამტკიცა და ახლაც ამტკიცებს, რომ ავტორიტეტი მხოლოდ სკანდალური გრაფომანების გაკრიტიკების ხარჯზე კი არ მოუხვეჭავს, არამედ ეროვნულ ფასეულობებს (და არა მეგობრებს – საეჭვო მრწამსის), განუხრებლად იცავს და მისი გემოვნება ვილაც-ვილაცების ავი სისინისა და კარნახის ზემოქმედებით არ იცვლება!

სხვათა შორის, ახალგაზრდული კონკურსის, „ალავერდის“ ირგვლივ ატეხილ ვენებათაღელვას, რაც დორეულის ბრალდებას საფუძვლად დაედო, მოზრდილი წერილი მიუძღვნე, რომელშიც კავშირის უფროსობის მორიგი მზაკვრობა გამოვამზეურე და კრიტიკოსს თავის ახალ ჟურნალში დასაბეჭდად გავეუბნავ (თანამშრომლობა თვითონ შემომთავაზა. ღმერთი, რჯული, ნამდვილად არ მივძალღებოვარ!). სამწუხაროდ, ამ ჟურნალის გამოცემა მიზეზთა გამო შეფერხდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ზემოთ ხსენებული სტატია „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოგვექვეყნებინა. აქაც თქვენი მონა-მორჩილი ახალგაზრდა კოლეგას დადებითად ახასიათებს, ისევე, როგორც ახლახან დაბეჭდილ პუბლიკაციაში: „მურმან, მურმან, შენსა მზესა, ეგ კავშირი რა რიგია?!“

ბ-ნი თავდემილიის მიერ ლექსო დორეულის პოეზიის ტენდენციურმა შეფასებამ გადამანყვეტინა, ახალთაობელის ლექსები „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოგვექვეყნებინა და, მისთვის უხერხულობა რომ ამერედებინა (ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი გვერდებზე საკუთარ ლექსებს თამამად ვერ გამოამზეურებდა), ვთხოვე, ეს წინადადება ჩემი კეთილგანწყობის ნიშნად მიეჩნია (მან ლექსები სიხარულით გამომიგზავნა!) სხვათა შორის, მანამდე შევეთავაზე, მისი სათაყვანო უფროსთაობელი შემოქმედის, ქ-ნი ზინა სოლომონიშვილის შესახებ ლექსებისთვის საგანგებო რადიოგადაცემა დაგვეთმო (ვალიარებ, გრაფიკს თვითნებურად გადავუხვიე!), რადგან ვიცოდი, უსამართლოდ „დაჩრდილული“ პოეტის იგნორირება მას სერიოზულად აშფოთებდა. პოეტის სახელის პოპულარიზაციის მიზნით მეგობრებთან ერთად ქ-ნი ზინას ლექსების კრებული ახალგაზრდებს თავიანთი დანაზოგით გამოსცეს!

გადაცემაში ჩვენთან ერთად ლევან მებურთვილი მონაწილეობდა, მან ზინა სოლომონიშვილის შესანიშნავი პოეზია მისთვის ჩვეული სიღრმით გააანალიზა და ჯეროვნად შეაფასა, არც იმ „წერილმანის“ გახმაურება გამოგვჩენია, რომ ლოგინად ჩავარდნილი, შვილმკვდარი პოეტი კავშირის ცნობარშიც არ შეუტანიათ, სხვაგვარ თანადგომასა და ზრუნვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! არსებული ვითარების საილუსტრაციოდ ეს გადაცემა კიდევ ერთი მწვავე, გაბედული პროტესტი გახლდათ, რამაც კავშირის მორიგ უსამართლობას ახადა ფარდა!

მოგვიანებით ჩვენმა ინტელექტუალმა ზინა სოლომონიშვილის პოეზიაზე ერთ-ერთ ტელეგარზე ისაუბრა, თუმცა, ჩვენ იქ უკვე აღარ ვჭირდებოდით და, ბუნებრივია, თან როგორ „გვიახლებდა!“

ეს ფაქტები, ცხადია, ქულეების დასანერად არ ჩამომინიჭნიკებია. მე ხომ ყველაფერს ნებაყოფლობით, ჩემი სინდისიდან და მრწამსიდან გამომდინარე, უანგაროდ, სხვისი კარნახის გარეშე ვაკეთებდი, რადგან მიმაჩნია, რომ ახალგაზრდობას ხელშეწყობა სჭირდება. პირადად ჩემ თაობას ეს, სამწუხაროდ, არ ელირსა, პირდაპირ შუაგულ დაპირისპირებაში გვიკრეს თავი, ამიტომ კონსოლიდაციას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ახალ თაობას თავს რისხვით კი არ უნდა დაატყდეს და ბატონკაცურად „ანრუხნო“, „დაბლოკო“, ზემოდან უცქირო და თავი აყვედრო, როგორც ჩვენმა მიღებული, არამედ მხარში ამოღება, სიკეთის მაგალითი მისცე, ჭირსა და ლხინში უგულშემატკივრო და წინ წასწიო. ქართული მწერლობის ღირსება, უპირველესად, ჩვენი სახელოვანი, ეროვნული წინაპრე-

ბის სათანადო დფასებაში იჩენს თავს. იმ ღვანლის შენარჩუნებას ისახავს მიზნად, რის სანაცვლოდაც ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა სიცოცხლე დათმეს და, რადგან ლექსო დორეულის გამბედაობაში ეჭვი ჯერ კიდევ არ შემიტანია, გულზე ხელი დაიდოს და გულწრფელად აღიაროს, ქართველი მწერლების სალანძღავ „სალექციო კურსს“ რა მიზნით კითხულობდა, რის გამოც აღფოთებული მწერლები გულისწყრომას ვერ მალავდნენ. აბა, როგორი გაბედულებაა, წამის წინ გაბიაბრებული დიდი ქართველები: კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ლევან გოთუას და სხვათა და სხვათა სახელით ანეკდოტის შესახებ შეკრებილ შემოქმედებს ქართული მწერლობის დასაცავად წარმუხრებლად მოუწოდო და გამარჯვება იმ მიცვალებულების ავტორიტეტით მოიპოვო, ვისაც ყველა ლობის ძირში ლაფში სვრი, გრომად არ მიგაჩნია და საჯაროდ „ათრევ!“ არც ის გადარდებს, რომ ამ მკრეხელობას იმათი თანდასწრებით სჩადი, ვისთანაც სახელოვანი მწერლები დამოღვანებულნი დააკნინე, რაც, რბილად რომ ვთქვათ, უპატიოსნებაა და იანუსობას ნიშნავს.

ორსახოვნებას და ორმაგ სტანდარტს ვინც „ანვება“, აშკარაა! რა ბედენაა, დერიდას, მამარდაშვილისა და უთვალავი ფეკედროსტომოდერნისტი ლათინოამერიკელი მწერლის უწყვეტი თავგანისცემის ფონზე „გოიმი“ ქართველების გათელვა გესახელებოდეს, თან არაპროფესიონალიზმში „ადანაშაულებდე“ და, ამავე დროს, მათი ავტორიტეტის სპეკულირებით ცდილობდე, „პარადი ნაიყვანოთ!“ (აქაც მისივე ტერმინებს დავესესებდი), ამიტომ იანუსისსახიანი მადლიერებად-კარგული ადამიანის ცრუ ბრალდებას არ მივიღებ, ვინაიდან ლიტერატურული პოლემიკის დროს პიროვნულად არასდროს არავის შევხებოვარ და ძალიან ვამაყობ, რომ ჩემს ამ თვისებას არათუ ჩემი კეთილისმსურველი, არამედ ოპონენტებიც ერთსულოვნად აღიარებენ! აკრძალული, ბინძური მეთოდები ავანტიურისტების არსენალია და, ამით უხვად ვინც სარგებლობს, ყველა უთქმელად მიხვდება! თუ ღმერთგამწყარალი — ახალგაზრდები — ეროვნული მწერლობა და ქართველობა ჭირითელოდ რომ სძულთ, ამას გადაამონებენ, ხო კარგი, თორემ ამ „ბუზიჭამია არნივებს“ ხომ სიღრმისეული და ღირებულები ყველაფერი (გინების ვარდა) ეზარებათ, იქნებ ეს „უმალესი საქმე“ — სერიოზული ლიტერატურის კითხვა (და არა გადარბენა) ოდესმე რამეში ნაადგეთ!

მწერლობა არც ავანტიურაა და არც საპირფარეოს წარწერების ბრმა, უგემოვნო ციტირება, შინაურულად რომ შეუთამამდე და უტიფარი აზრები ბნელ ზრახვებთან ერთად მორიგის შხამივით განურჩევლად ყველას ანთხიო, აქაოდა, ჩემი კაცთმოძულე „სიბრძნე“ როგორ დამგეს, კრიტიკა როგორ მაკადრეს და გენიოსის საში არ გამომინერესო!

ახლა ეგ გავარკვიოთ, ილიას, ვაჟას, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას (იგი ყველაზე მეტად გაილანძღა, გასაგებია, რატომაც), ლევან გოთუას განმაქიქებელი ინტელექტუალი მათ საპირწონედ ვის გვთავაზობს, ჩვენგან თავგამოდებით ვის იცავს, ბნელიანივით ვის გემოვნებას დაჰკანკალებს და „თვისი თაობის გამორჩეულ წარმომადგენლად“ ვის გამოკვეთს და დიდების კვარცხლბეკზე ატყორცნის! ჰაი, დედასა! ამაზეა ნათქვამი: „**უძაღლო ქვეყანაში კატებს აყვებდნენო!**“

იმედია, მკითხველს აინტერესებს, ქართული მწერლობის ღირსების დაცვა („ჩლიქისანი“ ქალებისა და „ლოთი, ნარკომანი“ კაცების დაპირისპირება ზედაპირული საბაბია) ვის გამო არ „გვეპატია!“ „თაობის გამორჩეული წარმომადგენელი“ (დორეულის ადგილზე ნაკლებ ხელმოქმედებას გამოვავლენდი და ამ სუბიექტს „გენიოსს“ ვუნდობდებ, მაგრამ „გენიოსობა“ აშკარად სათავისოდ გადაინახა!) ჩვენმა პასუხმა (მე და ლევან ბებურიშვილმა მას სათანადო ადგილი მივუჩინეთ!) მწყობრიდან ისე გამოიყვანა, უმალ თავის მშობლიურ სტიქიას — საპირფარე-

შოს წარწერებს შეეხიზნა. გემოვნებაც ამას ჰქვია!

ამ ტიპთან ლიტერატურული პოლემიკის გამართვა, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულობის მაჩვენებელია, რადგან ოსტატი უხარისხო მასალის საკირკიტოდ არ მოცდება! ქვემოთ ყველა დარწმუნდება, რომ მისი ნაცოდვილარი, სამარცხვინოა, მწერლობად მიიჩნო და, ამდენად, პასუხისმგებლობას ვისხნი, ვილაც უჯიათის გემოვნების ასამალღებლად კედელს ცერცვი შევყარო! „ბუზიჭამია არნივს“ ისიც ვერ მოუხერხებია, ჩემ წინააღმდეგ შეითხნო ნაჯღაბნს სახელწოდება თვითონ შეურჩიოს და გაცვეთილ ანეკდოტს სათაურს სხვისი მიბაძვით არ დაესხოს. მან ისიც კი არ იცის, რომ ცუდი მწერლები მრავლად არიან (ცუდი მწერლები იშვიათად ჩნდებიანო, თავდაჯერებით გვახარებს!) და ეს მოსაზრება მის „საყვარელ“ ტოლსტოის ეკუთვნის, რომელსაც „გამორჩეული წარმომადგენელი“ უადგილოდ აწუხებს. ნიჭიერი ადამიანი ჩიჩინის გარეშე იცის, სად რა თქვას, ხოლო ჭკუანადრძობს თავისი „ნაკრძალი“ მოუნიშნავს და მრავალგზისი შეგონებაც ვერ მოასინათლებს!

ახლა წერილის ყველაზე საჩოთირო თემას გავახმაურებ, რაც ცხადყოფს, ცუდი და კარგი მწერლები კოჰაბიტაციის წესით ვისთან რა მიზნით „თანამშრომლობენ“; და რომ საკუთარი ნათქვამი ყველაზე მეტად იმ პატრონს ვნებს, ვინც დამუხრუჭების ხელოვნებასთან მწყარლად არის და სკინჰუი „სტილით“ მონინა-ალმდეგებს, თავისი ჭკუით, „გულს ტყენს!“

დროა, საზოგადოება „გემოვნებიანი“ ყალბეგაშვილის „ლექს-შედევრს“ და კომენტარს გაცენოს, რომელთა გამო-საქვეყნებლადაც მის დამცველსა და დამფასებელს რატომაც გამბედაობა არ ეყო, თუმცა 11 აგვისტოს ინტერნეტში, ყალბეგაშვილის face-book-ზე განთავსებული „მხატვრული სასწაული“ დიდი მოწონებით გაიზიარა.

წინასწარ დიდ ბოდიშს ვუხედი ყველას, უპირველესად გაზეთის რედაქტორს, ბ-ნ თამაზ ნივნივაძეს, რომლის მხარდაჭერა „გამორჩეულმა შემოქმედმა“ ასე ბოროტად გამოიყენა! ჩემთვისაც ძალზე უსიამოვნოა „ასეთი ტექსტით“ გაზეთის ფურცლები შევბლალო, მაგრამ „გემოვნებიანმა ინტელექტუალებმა“ სხვა გზა არ დამიტოვეს — მათი ზნეობრივ-ეთიკური სახე შეულამაზებლად რომ წარმოვაჩინო, ამიტომ კვლავ ყალბეგაშვილს, ყველაზე „დიდ“ და „საიმედო“ მოკავშირეს, მის „ნააზრევს“ გამოვამზეურებ, რომელიც მისმა ქომამამა ვაზეთში ვერ დაბეჭდა და, რა მიზეზითაც, ახლაც ვაირკვევა! ავტორის სტილი დაცულია (მხოლოდ გინება დავფარე წერტილებით) „ქმდენება ლიტერატურა-კონკურსის უფურის წევრთა და ვაიკრიტიკოსთა გაბახებულ და გასახახებულ „შთამომავლობას“.

**პოეტო, მოგ..... ავ ქალიშვილს სცენაზე, ვასწავლი სუნთქვების გაბერვას გრძნობებთან, ამ სითავხედისთვის არ ვიკებენაზე და მერე მირითმე ბრძოლები თმებთან. უთუოდ მოგ.....ავ ქალიშვილს, პოეტო! დადექ და იკითხე ლირიკა სტატუსი, ის გზნებით ილოცებს – memento! memento!**  
**მას დღემდე აგიუებს შემლილი საბუთი. წონე და აფასე სასიძო მრავალი მანდატით, სიგელით, შარფით თუ „მეობით“ ქამარმა შეისნა არმანის შარვალი, ჩვენ უკვე ერთმანეთს სხეულით ვეცნობით. კერტებზე ნავინერ წინათქმას ბნკარებით, ნიგნივით გადავში მას ინდელ ნოსებზე, გიგზავნი ნასიძარ ქალს მზიან თვალებით,**

**პოეტო, ავტოგრაფს გიტოვებ ბოქვენზე.**

ბრავო! აი, ამგვარ „ნიჭიერ შემოქმედთა“ სამჭედლოს ამზადებს ლექსო დორეული „ძვირფას გაზეთში“ დასაფრთიანებლად! მან ეს პათოლოგიური ბოდევა კი არ დაგმო, პირიქით, ყველას, და, მათ შორის, ამ გაზეთის რედაქტორის მლანძღველი მეგობარი იმით დააჯილდოვა, რომ ზუსტად „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე უდამოანთხევინა გესლი! ბ-ნი თამაზ ნივნივაძის ნდობა ასე „გაამართლა“! მისი მხარდაჭერით ასე „სახელოვნად“ ისარგებლა და მუხანათური სვლით საკუთარი, აგრეთვე, თავისი დამქაშების ოცნება აიხდინა, ყველას აჩვენა, რომ, თუ მოესურვებათ, ნებისმიერს „გადაუვლიან, ვინც მათ შეენინააღდეგება და პირში სიმართლეს მიახლის!“ ბუნებრივია, ამგვარ სუბიექტებს ეროვნული მწერლობა ისევე უყვართ და ადარდებთ, როგორც ვირს ხურმა; ქართველ მამულიშვილებსაც იმიტომ მიესივნენ და ცოფმორეულები ჯიჯგნიან, ჩვენც იმის გამო შემოგვიტყვის, რომ მათი საყოველთაო ზიზი ყურს მიღმა არ გავატარებთ და გავაფრთხილებთ, ეროვნული ღირებულებების დამცრობას თავი დაინებონ! თორემ ქონებას არ შევდავებოვართ, მათი ცხოვრება არ გაგვიქეპავს და არც მაგათი ჩინ-მედლები დაგვიტოვია!

„ლიტერატურულ საქართველოში“ თუ ამ ყაიდის „გემოვნებიან ავტორებს“ ნახალისებენ, ნურავის გაუვირდება, მალე მგელი შეგჭამს, მგლისფერი ძაღლი თუ ორივე ერთად გასტყენისთანავე დაგაღლებს!

ამათ ილია, ვაჟა, აკაკი, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია არაფრად მიაჩნიათ და თანამედროვე ეროვნულ მწერლებსა და მოღვაწეებს დაინდობენ? აკადემიაში თავს ჯაყოსავით ძალადობით იმკვიდრებენ, მწერლებს არც ეკითხებიან, მათ თავგასულობას ვინ როგორ აფასებს. თუ დასცალდათ, თავისიანების გარდა, აქედან ყველას კინისკვრით გაყრიან!

ეროვნულ აკადემიაში თუ ასეთი „ზნეობის“, „ეთიკისა“ და „თავდაჭერის“ „ხელოვნები პარადს ნაიყვანენ“, პირადად მე მეორე მწერალთა კავშირში ყოფნას ნამდვილად არ ვგეგმავ, არავითარი სურვილი არა მაქვს, ამ ტიპის წარმონაქმნებთან ბინძურ ომს დრო და ენერგია შევახარჯო და ახალი მორჩილი უმრავლესობის უნიათობა თუნდაც რეიტინგის ხარჯზე ავიტანო! ეს პათოლოგია მწერლობის ფარგლებს სცილდება და ბრმა უნდა იყო, ვერ შენიშნო! დავიჯერო, ქართულ მწერლობაზე გული სხვას აღარავის შესტკივა თუ აკადემიაში განვერინებდა მხოლოდ პრივილეგიების მოსაპოვებელი გარანტიაა (ისიც „რჩეულთათვის“) ან „უსაფრთხო ზონაში“ ლაჩრული გასუსვა!

აჰა, ბურთი და მოედანი! ვინც ქართული მწერლობის, ზოგადად ქართველობის, ადამიანობისა და ეროვნული ღირებულებების უშვერ გინებას ოდენ თავშესაქცევ ამბად მიიჩნევს, ღმერთმა ხელი ისე მოუშარტოს, როგორც ეკუთვნის! და აკადემიაც ისე „აშენდება“, მწერალთა კავშირი რომ „აყვავდა“ და „გაბრწყინდა“. თუმცა, ვფიქრობ, ეს არ მოხდება და ამის იმედს სხვათა შორის, ისიც მამღვეს, რომ ჩემი კრიტიკული წერილის გამოქვეყნებისთანავე ჩემთან სამადლობელი ზარები არ წყდებოდა! უამრავმა ხალხმა (მათ შორის მწერლებმა) დამირეკა, (რაზეც ყველას დიდ მადლობას ვუთვლი), რაც ცხადყოფს, რომ ჯანსაღ, პატიოსან მწერლებს ეს „შემოგზავნილი“ იანუსები ოდნავაც არ ეპიტნავებათ!

იმედია, ახალი ორგანიზაცია უპირველესად ეროვნული მწერლობისა და ღირსეულ შემოქმედთა საკეთილდღეოდ შეიქმნა და სიმართლეს ყოველთვის ბოლომდე გაიტანს; მტერსაც და მოყვარულსაც კუთვნილს მიაგებს და ავანტიურისტებს ახალ თავშესაფარს ლანგრით არ მიართმევს — მათ ოფისები, ჟურნალ-გაზეთები და ორგანიზაციები ისედაც არ აკლიათ! ■

### ქიმიოთერაპია

შენ მეუღლესთან ერთად ეს-ესაა დაბრუნდი საავადმყოფოდან. აივანზე დგახარ და სიგარეტს ეწევი, სველი ფიქრები მოაჯირს გადააფინე და ველარ არჩევ უკვე, სიგარეტის კვამლია აივანზე, თუ მზე აშრობს შენს ფიქრებს. შენ აღარა გაქვს ძალა არაფერზე ფიქრის. ხედავ მხოლოდ ჩიტების ჩრდილებს და გესმის თმის საკრეჭი მანქანის ხმა ოთახიდან.

შენი ცოლი დგას სარკის წინ, მარცხენა ხელით თმას ზევით ინევს და საკრეჭმომარჯვებული მარჯვენათი მუსრს ავლებს. ხუთ წუთში სარკის წინ ხოტორა ქალი დგას. გრძელი ნაბლისფერი თმა იატაკზე ყრია. შენს ცოლს ლამაზი თვალები აქვს, მაგრამ – სველი. შენ კი მხოლოდ ფიქრების გაშრობა იცი...

ცოტა ხანში იატაკზე დაყრილ გრძელ, ნაბლისფერ თმას შენი მოკლე, შავი თმა ერევა. მერე ორივე შხაპს იღებთ და საავადმყოფოში ბრუნდებით. მანქანაში გრძნობ, რაღაცნაირად გამოირჩევი შენ და შენი ცოლი სხვებისგან, იმიტომ არა, რომ თავგადააპარსულები ხართ...

მანქანას ავტოსადგომზე აჩერებ. სანამ გადმოხვალ, ცოლი შენკენ იხრება და ზედა ტურზე გკოცნის. ტვინის სიღრმეში გახსენდება, მადლობის მაგივრად გკოცნიდა ხოლმე. შენ ლოყაზე ეფერები და პანამას იხურავ, შენი ცოლი – ბერეტს. საავადმყოფოს ჰოლს გაივლი და მეცხრე პალატასთან ჩერდებით. მზად ხარ? – გეკითხება ცოლი. მზად ხარ. კარის გაღებისას ასწრებ მხიარული სახის მიღებას.

– აბა, როგორ არის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგონა? ლოგინში ჩანოლილ თავსაფარნაკრულ ბავშვს ნამსვე თვალები უნათდება და მაშინვე უქრება, თავს ლოგინზე ჩამომჯდარ დედის მკერდში რგავს, ქსუტუნით ამბობს: „ალარ ვარ ლამაზი, მზეთუნახავი ალარ ვარ“.

– ხარ, როგორ არა ხარ – პასუხობს შენი ცოლი და ზურგზე ეფერება. მერე მკერდიდან იცილებს და თვალებში ჩახედავს. „იცი, ახლა მსოფლიოში მოდამია გადახოტრილი თავი. ყველა ლამაზი გოგო თავხოტორა დადის. აბა, შემომხედე“ – და ბერეტს იხდის.

ბავშვი შიშისგან თუ გოცებისგან გაფართოებული თვალებით უყურებს, მერე შენკენ იხედება და შენც ლიმილით ეუბნები: „აი, შენი მოღური მამიკოც“ და პანამას იხდი.

შენი შვილი ხან შენ შემოგხედავს, ხან – შენს ცოლს. ვერ გარკვეულა, რა ხდება. თქვენ ორივე იღიმით. მერე მისი პატარა ხელი ჯერ შენი მეუღლის თავზე დაცოცავს, მერე შენსაზე და თქვენ ხედავთ, როგორ შრება მისი თვალებიდან ცრემლი, როგორ ჩნდებიან მათში პატარა ჭინკები და როგორ ნელ-ნელა იწყებს კისკისს ჯერ შვილი, მერე – ცოლი, მერე – შენ, მერე – სანოლი, ნვეთოვანი, ფანჯარა, კედლები და მთლიანად პალატა.

„ჩვენ ყველაზე მოღური ვართ!“ – კისკისებს შენი შვილი და თავიდან თავსაფარს იძრობს. „ჩვენ ყველაზე ლამაზები ვართ მსოფლიოში“!

მერე მიხვდები, თურმე სიკვდილს ყველაზე მეტად ეშინია სიცილის.

ალექსანდრე უბულაკა



### ჩემი მეგობარი სხვანაირია

ჩემი მეგობარი სხვანაირია... ჩემი მეგობარი მზეს აბლაბუდას აცლიდა ყოველ დილით, მის ცისარტყელას ას შვიდი ფერი ჰქონდა... სარეცხის თოკებზე დამკვდარი ზენრები ხიბლავდა და სხივჩამდგარი ფანჯრის მინები. „მის ნაჩუქარ ვარდებს ყოველთვის სიგარეტის სუნი ჰქონდა“

იხსენებს ქალაქის ასაკის მეძავი. ტურებზე აჭკნება ჩურჩული: „გავიყინები“.

სახლში სულ ისეთი მარტო იყო, კატაც კი სახლში ჰყავდა... და რცხვენოდა სიმარტოვის... კი არ თოვს, ან ქარი კი არ ქრის და ქრის და... არც ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის. წვიმს.

მიუყვება ჩემი მეგობარი ასფალტის ბლიკს, ბლიკზე თეთრი ცხენი აბია და ასფალტზე ბალახი არ ამოდის... საბელს ხსნის და გზას აგრძელებს, დაოსებული თეთრი რაში ადგილიდან არ იძვრის. ჩემი მეგობარი სხვანაირია და სხვანაირად არ გამოდის...

გალუმპულ ვარდებსაც სიგარეტის სუნი აქვს – გაფიქრება გასაშვილებლად გამზადებულ მეძავს... „მოდი ჩემთან“ – ტურებში ყვავილობს ვნებიანი ჩურჩული.

დუნდება, იცლება და ბრუნდება... ასფალტის ბლიკზე მკვდარ თეთრ ცხენს ყვავები ძიძგნიან... დახეთქილი აქვს ნორჩ ბალახს ასფალტი მოლიამწვანოდ.

ჩემი მეგობარი სხვანაირია, მიწაზე ეცემა და ძოვს. ყვავები აღარ გრძნობენ იმას, რამაც თეთრი ცხენი მოკლა... არ თოვდა.

არც წვიმდა. ჩემი მეგობარი მზეს აბლაბუდას აცლიდა, მის ცისარტყელას ას შვიდი ფერი ჰქონდა. ჩემი მეგობარი სხვანაირია.

მე და თქვენ არ გგვავს. ფართოდ გახელილი თვალები და საფეთქელზე დიდი ხვრელი აქვს... სარეცხის თოკებზე დამკვდარი ქათქათა ზენრები ხიბლავდა და სხივჩამდგარი ფანჯრის მინები, ცეცხლმოდებული იდეების ქაოსი და full house ტურებზე ალბუბა განწირული ჩურჩული ქალაქის ასაკის მეძავს: „ვიყინები“.

ლამე თავის ბნელ საცეცხვს კეცავს... და ამოდის აბლაბუდაში გახვეული მზე...

### ტიტები

ღმერთო, შენ იცი... მე არაფერ შუაში ვარ. ბავშვობაში, კარგ ამინდში, ჩემი სახლის სახურავზე იმიტომ ავდიოდი, რომ ცისთვის მეყურებინა, ლურჯი თუ ცისფერი ცისთვის, უღრუბლო ცისთვის. მაშინ მეგონა, შენც ისევე უყურებდი ჩემი სახლის სახურავს, როგორც მე ცას და იმიტომ ვერ ვიტანდი ღრუბლებს, რომ მეგონა, ხელს გვიშლიდნენ ერთმანეთის ყურებაში.

მე ვერც ერთხელ ვერ დაგინახე, ღმერთო, თუმცა, დარწმუნებული ვარ ახლაც, რომ შენ მხედავდი, მზეს, რომელიც შემოდოდა ჩემში, მოჰქონდა შენი ნაწილი. აქედან მოყოლებული, ალბათ, კარგ ამინდში ყოველთვის ცას ვაკვირდებოდი.

მიყვარს ცარიელი ლურჯი ცა. მიყვარს მზე.

ღმერთო, შენ ხომ იცი... ხშირად მესიზმრებოდა ჩემი ქალაქი, ისეთი კი არა, როგორც არის, ცოტათი სხვანაირი... ღამით დავდივარ მის ქუჩებში და ყველა ისეთი ნაცნობია, ყველა ისეთი ჩემია, სინყარე საოცარი.

ჰაერი ისეთი სუფთაა, წვიმის შემდეგ რომ იცის ღამით, თუმცა ნაწვიმარი არაა, თბილა. არანაირი მანქანა და ხმაური. აბსოლუტურად ყველა ქუჩას, დიდს თუ პატარას, ღამისპიონები ანათებს, სინათლის მიძვებით ასხმული ჩანს ზემოდან ქალაქი. სახლები ერთმანეთთან ახლოს, ფანჯრები განათებული, ბავშვების და უფროსების ღანდები აქა-იქ. არანაირი ხმაური შიგნიდან. მხოლოდ ზოგიერთიდან – პიანინოს ხმა, ზოგიერთიდან – ბავშვების კისკისი. გრძნობა მაქვს ისეთი, თითქოს ყველა სახლი ჩემია, ყველა სახლში მელიან, ყველა სახლში, სადაც შევალ, მიცნობენ და გაუხარდებთ ჩემი დანახვა. რაღაცნაირი მჩატე ვარ ამ ქალაქში. ქუჩები ცარიელია და სულაც არ ვგრძნობ სიმარტოვეს. ასე მგონია, საკმარისია ერთი ფეხი გადამბრუნდეს და ყველა სახლიდან გამოცვივდებიან, მომეშველებიან, მომივლიან და იმიტომ კი არა, რომ ეს მე ვარ, იმიტომ, რომ წესად შემოულიათ ყველას ასე მოექცენ... გაბუღრილებულან ქუჩები, ცოტა სევდიანად, მაგრამ იმდენი სიყვარულია ქალაქში, სევდა სულ არ მახსოვს. მესიზ-

მრება ქალაქი, სადაც სიყვარულს სევდისთვის შეუსწრია ხალხის გულში. გაუღენთილია ქალაქი სიყვარულბადით... მესიზმრებოდა... შენ ხომ იცი, ღმერთო... ღმერთო, ფსიქიატრი რამდენიმე ადამიანს რაღაც ტესტს გვიკეთებს. მე გიჟი არა ვარ, ღმერთო, ამათ ვერ გავაგებინე, რომ სიგიჟე არ არსებობს და მაინც ასე ჯიუტად მიმტკიცებენ ჩემს სიგიჟეს. ეს სტუდენტებიც კიდე, ერთი სული აქვთ, რამე გიჟური აღმომიჩინონ, ისე მაკვირდებიან.

აუდიტორიაში მიმიყვანეს, იქეთ სულ თეთრხალათიანები, აქეთ მე ერთ სკამზე, მეორეზე ვიდაც სტუდენტი და მესამე, არ ვიცი, ან სტუდენტი უხალათოდ, ან ექიმი ვინმე, გიჟი არაა, თუმცა არც მე ვარ გიჟი. პროფესორი შემალღებულიდან თვალის დახუჭვის ბრძანებას გვაძლევს და სულაც არ მეპიტნავება ღია თვალები. საერთოდ, ამიტომაც სიამოვნებით ვხუჭავ, დახუჭული თვალებით უფრო კარგ რამეებს ვხედავ, ვიდრე ღიათი დახუჭვის იმ ორმაც.

დარბაზში სიჩუმეა, მხოლოდ პროფესორის ხმა ისმის, „დახუჭეთ თვალები და ნარმოიდგინეთ, ერთ დიდ, ტრიალ მინდორზე ხართ, სრულიად მარტო“, ნარმოვიდგინე, ცა ცისფერია, ჰაერი გამჭორვალაა, „ირგვლივ არავინაა. მარტო თქვენ ხართ, არ იცით. რა გზას დაადგეთ, მაგრამ რაღაც გზას აუცილებლად უნდა დაადგეთ“, დავადექი კიდეცა, პირდაპირ მივდივარ, თუმცა მარჯვენაც, მარცხენაც და უკანაც პირდაპირს გავს, „ბევრი იარეთ, თუ ცოტა იარეთ, გამოჩნდა სახლი“, „ვაა, რა სახლი“ – იძახის ერთი, ჩემსავით რომ ზის, არ ვიცი, რომელი, „ვაა, რა მაგარია“ – იძახის მეორე, არც ეს ვიცი, რომელია. ჩემი სახლი „ვაა“ არაა, ძველებური ხის სახლია, მტვრიანი ფანჯრებით და ძველებური კრამიტით, მორყეული კიბით, რაღაცნაირი მოღრეცილი სახლია, მარა სიამოვნება კი ვიგრძენი, რომ დავინახე. „შედი ამ სახლში“, – აგრძელებს პროფესორი. შევედი, დიდი არაფერი, – შიგნითაც მტვრიანი და მორყეული ორი სკამია, ერთი სამფეხა მრგვალი მაგიდა და ბუხარი ისეთი, დიდი ხანია ცეცხლის სითბო რომ აღარ უგრძენია. მტვერი ყველაფერზე თითის სისქე, ძირს ხმე-

ლი ფოთლები რამდენიმე. „ამ სახლში თუ კარგად დაათვალიერებთ, სკივრი დევს, ძველებური სკივრი“. მართლაც ვხედავ სკივრს, გატეხილი სარკის ქვემოთ დევს, არც სარკე და არც სკივრი შემოსვლისთანავე არ შემინიშნავს. მივუახლოვდი... პროფესორმა ცოტა პაუზა გააკეთა და „თქვენ, აბა ნელა ახადეთ სკივრს თავი, რა დევს შიგ?“

„საგსეა ოქროს ნივთებით, ძველებური მონეტებით, სამკაულებით“ ისმის პასუხი.

„კარგი, ახლა თქვენ ახადეთ თქვენს სკივრს თავსახური“. მე ჩემ ჯერს ველოდები. ეს ბრძანება ჩემთვის არ უნდა იყოს, ერთი სული მაქვს როდის ავხდი ჩემს სკივრს. „მართლაც „ფულები“ – გაისმა სტუდენტის ხმა, – „ბევრი ფული, დასტა-დასტა დევს, დოლარია, არა ევროა, ბევრია“.

„კარგი, გაახილეთ თვალები“ – ეუბნება პროფესორი. მერე ბეჭზე მსუბუქ შეხებას ვგრძნობ, აბა ახლა თქვენ გახსენით.

თავსახურს დავეჭიდე, ჩაკეტილია, გული მწყდება, ვერ ვაღებ, მაგრამ უცებ რაღაც აზრი მომდის – სკივრს ოდნავ ზემოთ ვწევ და მის ქვეშ გასაღებს ვნახულობ, მოერგო, გაიხსნა. ავნიე თავსახური და...

ღმერთო, ტიტებია შიგნით ამოსული, აყვავებული, გაშლილი ტიტებია ღმერთო, სხვადასხვა ფერის ტიტებია, ნითელი, ყვითელი, ლურჯი, იასამინისფერი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ვარდისფერი...

„ტიტები, ტიტები“, – ვყვირი ნანახით განცვიფრებული... თვალებიც ვინ გამახელინა, ორი მუტრუკი დამეტაკა აქედან – იქედან, სადღაც გამათრიეს და დამაგდეს, მერე ჩხვლეტა ვიგრძენი ხელზე და ყველაფერი დამავინყდა, გარდა ტიტებისა.

დახურულ სკივრში ტიტები როგორ გაიზარდა, ღმერთო? მე არაფერ შუაში ვარ... ახლა აქედან არ გადავხტები, ორი მიზეზის გამო. მეორე იმიტომ, რომ ძალიან მაღალი არ არის და დარწმუნებული არ ვარ, რომ ასეთი აზრი და არც სხვანაირი მეტჯერ აღარ მომივა და პირველი, ეს ერთხელ უკვე გააკეთეს... ... შენ ხომ იცი, ღმერთო.

### სიტყვები

ქუჩაზე, რომელიც მოიპარეს, სამარცხვინოდ თავზე ტომარაჩამოცმული, ოდესღაც იდგა გვიშტების ბლოკის სახლი, გათეთრებული კირისაგან, ან შიშისგან... გადაფითრებული ხეებით ეზოში.

იმ სახლში, სადაც დრო ინდაურით მიერთმევედა ბლოკის ნაშალებს, წვიმებისას სახურავიდან წვეთავდა ღმერთი. ღმერთს კი, რომელიც ქალთან ახლოს, ვარდისფერ ჭერზე ხატავდა მის თავს, ბებიჩემი აგროვებდა თუთიის სათლში. დაღამებისას, შემოდგამა სათლს შეშის ფეჩხე, სულის შებერვით აღვივებ-

და მჭუჭუტავ ნაკვერჩხლებს და თბილი ღმერთით შვილიშვილებს გვაბანავებდა. დრო ვერ დანაყრდა... ქუჩას, რომელსაც ტომარა არ მოხსნეს, თვალში დააკლდა. სახლის ადგილას, რომლის ჭერზეც ღმერთი ეხატა, ბინა აშენდა, უამრავი თანამედროვე ფერადი ჭერით.

დღეს შვილიშვილები შეგვასახლეს ჩვენ-ჩვენს ბინებში. დრო ინდაურით ვერ მიერთმევს ბეტონის ფილებს. წვიმს. ღმერთი აღარ ჩანს. ბებიჩემს ხმა ჩაეხლიჩა დუმლით.

„... აქედან და თქვენამდე თუ ვიქცი ერთი ისეთი ლექსი მაინც, მოსმენად რომ ღირდა?! თუ ასეა, მაგალი გამოჩენს, თუ არადა, მაპატიოს იმ მშვენიერმა ხემ, რომლის ტანიც ამ წიგნის ფურცლებად იქცა“  
 მაცვალა გონაშვილი „აქედან და თქვენამდე“ (წინასიტყვაობა)

ზოგჯერ ხდება ხოლმე: ის, ვისაც სხვისი შემოქმედების პირუთვნელი შეფასების პრეტენზია აქვს, თავად არცთუ ისე ნიჭიერი შემოქმედია; თანაც, მოთქვამს ლიტერატურაში არსებულ კლანურ დამოკიდებულებებზე, როცა თავადვე ამ კლანურობის მებირახტრე (იხ. მაცვალა გონაშვილის ინტერვიუ sana.ge-ზე სათაურით: „მწერლობაში კლანური დამოკიდებულება დაუშვებელია“). რაკი ქალბატონი მაცვალა ამავე ინტერვიუში კრიტიკის არარსებობაზე წუხს, გადავწყვიტე, მისი წუხილისთვის ბოლო მომელო და მისი პოეზიით დავეინტერესდი.

თავდაპირველად ქალბატონი მაცვალას შედარებით ადრეულ პოეზიას გავეცანი და, რაკი 1990 წელს ვარ დაბადებული, სწორედ ამ წელს გამოცემულმა მცირე პოეტურმა კრებულმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. წიგნის სათაურია „მე თქვენ მიყვარხართ“, წელიწადის დროების მიხედვით დაყოფილია ოთხ ნაწილად და პირველივე გვერდებიდან საცნაური ხდება, რომ ამ სეზონური ქარტეხილების ლირიკული გმირი მარწყვისტუჩება მდებარია. პირველ სეზონში – გაზაფხული – ვხვდებით ლექსს სათაურით „მარჩილი“, რომელსაც ქალური სანყისის სიმკვეთრის გარდა მარჩილობის (ე.წ. „ყავაში ჩახვდის“) საფუძვლიანი ცოდნა მსჭვალავს: „... ყვითელი გველები ჭორია, / წითელი ჩიტები შურია / და ეს პანანინა მურია / დიდ ტანჯვას, დიდ ტანჯვას გიშადებს“, ფორმით კი ნოდარ დუმბაძის საბავშვო პოეზიას გვაგონებს. პოეტს მანას არ უშვებს ხელს, ყავის პატარა ჭიქაში დიდდის მიერ დანახული მისი მუხთალი ბედი (ურყევ უმნიშვნელობასთან ერთად) არ დაგვიხატოს და ამით თანაღმობა არ გამოიწვიოს მკითხველში: „მუდამ სიმართლისთვის იბრძობა, / ინამებ, მაგრამ არ ინანებ, / სარკე ჩანს, ეს ძლიერ კარგია, / წყარო ჩანს, სულ წმინდა იქნები...“ (ალსანიშნავია, რომ მისი ერთ-ერთი საკმაოდ საინტერესო ლექსი „ნატვრა“ ამგვარად მთავრდება: „ყავის ნალექზე მზე დამარჩა, / ეს სიმარტოვის ნიშნავს“). ზემოთქმული ეჭვს თითქმის აღარ ინვესს, რომ შეუძლებელია ყავის ნალექზე ნანინასწარმეტყველები ბედისა და ქალური თემატიკის განცალკევება. თუმცა, ალბათ, მაინც არსებობს სხვა უფრო საინტერესო საშუალებები „მე ვარ ქალი“ ქვეტექსტის პედალირებისთვის. კარგების ამ ნაწილში, ისევე, როგორც სხვაგანაც, ძალუმად არის წარმოდგენილი ავტორის, ვიტყვი, ერთობ სტერეოტიპური ფემინურობა; მაგალითისთვის: „მე ქალი ვარ და, პოი, ღმერთმანი, / ბევრი არაფერი შემოძლია, უფლისწული“ (უსათაურო ლექსის რეფრენი); გაზაფხულს ასრულებს იგივე პათოსი ლექსით „მათ არ იციან“ („მე ვარ ტკივილი... / სიყვარული... / ლექსი და ქალი“).

კრებულის შემდეგი ნაწილი – ზაფხული – ვფიქრობ, საუკეთესო იქნებოდა, რომ არა ორიოდე გაცვეთილი ტროპის სახე (რომელიც ალუზიას სრულებით არ ჩამოჰგავს): ა) „მზის ჩანჩქერი“ („ნაცნობი სურათი“) გარკვეული თვალსაზრისით სახალეა, მაგრამ თემის ჩანჩქერთან შედარება ლიტერატურაში მრავალჯერადია, ოქტონიდან დანწყებული გიორგი ზანგურით დამთავრებული; ბ) არ ვიცი, რატომ, მაგრამ „მგლოვიარე ქარის მარშის“ (უსათაურო) ამოკითხვისას უნებლიეთ ორი ლექსი გამახსენდა, – ანა კლანდაძის „მოჰყავთ შუშანიკი“ („მარტვილის მოაცილებს ქარი მგლოვიარე“) და გალაკტიონის „სროლის ხმა მთაში“ („არ არის რამე უფრო მტანჯველი, / როდესაც კუბოს მიყვები ქარში: / დარჩა“ – ქვითინებს ჰაერში მარში“); თუმცა უსამართლობა იქნებოდა ამავე ლექსში შექმნილი ერთი საინტერესო ხატის დაუნახაობა: „სახურავზე ასკინკილას უფლის წიმი“.

აქვე წარმოდგენილია ლექსი „ეს ესტრადა“, სადაც პოეტი ნაციონალისტურ მიდრეკილებებს ამჟღავნებს, რასაც მის გვიანდელ შემოქმედებაში უფრო ხშირად შეხვდებით: „ახლა ჩემიდან შენს სამეფომდე, / გზა უფალი და ისე შორი, / როგორც ქართული საგალობლიდან ტვისტი, ჯაზ-ბანდი

და როკ-ენ-როლი.“ მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ, ჩემი მოკრძალებული აზრით, როდესაც ქალბატონი მაცვალა ამა თუ იმ სოციალურულ თემას ირჩევს, ლექსი საკმაოდ სუსტი გამოდის. სოციალურ თემატიკაზე შექმნილ მის პოეტურ ქმნილებებს ოდნავ მოგვიანებით განვიხილავ. რაც შეეხება წელიწადის შემდეგ დროს – შემოდგომა – სუსტი რითმა რომ არა, იგი საკმაოდ კარგი შედარებით იწყება („ვერ შევიფერე მე პატივი, / მათი თავყვანი, / ისე, ვით კაბა / უფროსი დის გამოხატვალი“). შემდეგ ვხვდებით „მთვარის საყურეს“ („არც სიბრალული, არც თავგანწირვა“), რაც შესაძლოა ან ლორკას „მთვარის რომანსის“ რემინისცენცია იყოს, ან კიდევ ერთი გაცვეთილი ტროპი – გარჩევა ჭირს. ამას გენდერის კვლავ სტერეოტიპური აღქმა მოსდევს: „გა-

## „დაეყოთ ქილვს ქაჩავს ქაჩოვს“, ანუ აკრეფილი მსახიობის ანგაჟი

ჭირვეულდა სარკმელთან მარტივც, / უიღბლო, როგორც ქალი პოეტი“, რის შემდეგაც ძალიან საინტერესო ფენომენთან გვაქვს საქმე – რაღაც წრეგადასული ფილია ქარისა და წიგნის (უკეთ რომ ვთქვათ, ქარებისა და წიგნების) მიმართ: ა) „მე ვნებდებოდი ქარებს და წიგნებს“ („დაგვიანებული შეხვედრა“); ბ) „სანამდის უნდა / მწეწონ ქარებმა?“ („აღსარება“). არ შემიძლია აქვე არ გადავიდე ზამთარზე (მიუხედავად შემოდგომაში დარჩენილი ურატორიკული სტრიქონებისა), სადაც ასევე მრავლად გვხვდება უკვე ნახსენები სახე-სიმბოლოები: ა) „და ჩვენი ვნებაც, ფარული დიდხანს, / ხომ სულ სხვა ქარებს გავუზიარეთ?“ (უსათაურო); ბ) „ვინც მიყვარდა და ვისაც ვუყვარდი, / გზებს მიჰყვებოდნენ წიგნის და ქარის... ვმასპინძლობ დალილი ქარებს და წიგნებს.“ (უსათაურო); გ) „გადადამიარეს გულზე წიგნებმა, სიმარტოვეში ჭკნება აპროლიც[ზამთარია (!)]... იქ ვი, საოცარ შენს საუფლოში / სულ სხვანაირი ქარები ქრიან“ („შენს საუფლოში“). თემატური ინოვაციების მომლოდინე მკითხველს უთუოდ გაუცრუვდება იმედი, რაკი ზამთარში აქტუალურია ოდენ უიღბლო სიყვარულთან განუხრებლად დაკავშირებული სიკვდილის თემა: „თვითმკვლელობამდე, შენი უარი, / და კიდევ, ერთი ნაბიჯი დარჩა“ („გზა“); „სიცოცხლეზე გულგამყვარალი, / სიკვდილი ველოდავები“ („ხალხურ კილოში“); „პო, ვიცი, ზოგჯერ სიკვდილია ხსნა და წამალი, / მაგრამ იმეფყვანდ როგორ გავძლო, მითხარ უშენოდ?“ („ფარვანას ცეკვა“). მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითი თავისუფლება უზუნაესია, მაინც უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება – როგორც მოხმობილი ციტატებიდანაც ჩანს, პუნქტუაცია ხშირად, შეიძლება ითქვას, უფრო ინტონაციურია, ვიდრე გრამატიკული.

რაც შეეხება სოციალურ თემატიკაზე შექმნილ ლექსებს, რომლებიც მრავლად არის კრებულში „აქედან და თქვენამდე“ (2009), ისინი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვფიქრობ, საკმაოდ სუსტია – პოეტს აქვს სათქმელი (რომელსაც, შესაძლოა, მკითხველი ან ეთანხმებოდეს, ან არა) და ვერ უძებნის რაიმე სპეციფიკურ პოეტურ ფორმას (იმპიათი შემთხვევების გარდა), რითაც შეძლება მხატვრული ეფექტის მიღწევის უკვე არაერთგზის ნათქვამი იდეების გამოხატვის შემთხვევამდე. ლექსში „სიტყვის „სანოვარა“ ლირიკული გმირი, რომლის ავტორთან სრული იდენტიფიკაცია ეჭვს არ იწვევს, ქარის ნისქილების წინააღმდეგ ილაშქრებს: „...და პირდაფრენილ ხალხის მასას, / ვით სანოვარას / ტენიან სიტყვებს „სამართალი“ / „ხალხთა ერთობა“ / „აღამიანთა უფლებები“ / „დემოკრატია“ და ეს ცნებები რატომღაც ნეგატიური ჰგონია. ქალბატონი მაცვალას იუბილესადმი მიძღვნილ ამ კრებულში მოიპოვება ისეთი ლექსიც, რომლის ავტორი ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავის ნაზავს ჰქმნის: „გათითოკაცდა სამყარო ... ეს რა ძილქუში შეგყვრია, / ვეღარ ვფხიზდებოდი, ვერა ... არ მინდა მე სხვა სამშობლო, / მე სხვა სამოთხე არ მსურს“ („მოჯადოებულ წრეში“). გვონებს, სწორად მიმართული ირონია იგრძნობა ლექსებში „მარჯულებით“ („ღიპზე დაცურებული ჯვარი / ჭირის ოფლში ინურება“) და „ძველი არღანი“ („რა კარგია, ქარნთველი ისევე შექრათ ღიპები ... მათხოვარი ბიჭუნა ჩუმად მოიძურნება / და კაცები ჯიბეში მოწხრიკავენ ლარინას ... ხინკლის ოხმივარიდან დანახული მამული, / ლოთის

სიყვარულით ჭიქაში ჩატეული“), თუმცა აქ ფორმა შინაარსით გამართული ვერ არის. Paschal troparion-ით უღერს სტრიქონები „ქართველითა ქართველისა შემსუსერელი“ (ანუ ჩამოჰგავს „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრფუნველს“) კიდევ ერთ სოციალური თემატიკის ლექსში „მრუდე სარკეების სამეფო“. პოეტს ცალსახად მოზომილი დამოკიდებულება აქვს სისხლის მიმართ და მას მასშტაბურობას არ სძენს: „აქ თითო კენჭი ჩემი სისხლით დანინკულულია“ („სიტყვის „სანოვარა“); „რადგან მამულის ტბაში სისხლის ნვეთები კრთოდა“ („ვინ უნდა მოიგოს ოცი ათასი?“).

უნდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი მაცვალა საბავშვო პროზაშიც მუშაობს. სახელდობრ, მისი ერთ-ერთი საყვანვილო მოთხრობა „კუდიანი ვარსკვლავის სამეფოში“



თათია გოგალავა

და საფიქრალს უტოვებს მაცურებელს. ასეთი გმირები კი თითქმის არა ჰყავს ნოდარ მანაგაძეს თავის ფილმში.“ (მუსიკა, მუსიკა გვინდა, მესტრო! – ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1989, N3). გავა წლები და ქალბატონი მაცვალა ერთობ უცნაური ირონიით უძღვნის სტრიქონებს გოგი გვახარას: „ა, ესეც ფსიქო, რას გვპირდები ახლა, გოგი, რას? / სერიას არა, მაღალმხატვრულ პათოლოგიას“ / და მღერის ჩიტი, ტირის ჩიტი, ბიჭო, გოგია! / მართლა ჩიტი, თუ განვრთნილი დემაგოგია?“ ამ უჩვეულო მაღალმხატვრულობის გარდა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ესაა „გაზეთის გამყიდველი ბიჭის სიმღერა“, არადა სრულიადაც არ ჰგავს მის ნარატივს.

ახლახანს გამოსულ „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალში“ (კერძოდ, თინათინ ბოლქვაძის წერილში „ენის პოეტური ფუნქციის შესახებ“) ორიოდე დღის წინ ამგვარ პასაჟს ნაწავნდი: „... მიუხედავად მრავლობითი რიცხვის ასეთი წარმოების არქაული ელფერისა, არის შემთხვევები, რომლებიც არქაულ ნიუანსს არ ავლენენ. ეს განსაკუთრებით ითქმის თანაინი მრავლობითის ნათესაობით ბრუნვაზე. მაგალითად, ფორმებს – მწერალთა კავშირი (მწერლების კავშირი) ან ქალთა საბჭო (ქალების საბჭო) არ დაჰკრავს არქაულობის ელფერი, მაგრამ იმავე თანაინი მრავლობითის გამოყვანა მიცემით ბრუნვაში (მთავარობადი ვარდთ – მთავარობადი ვარდებს) მხატვრულად ეფექტურია.“ იმთავითვე ქალბატონი მაცვალას ფართო შესაძლებლობებიდან მისი მართვის უნარი გამახსენდა; კლანურ დამოკიდებულებაზე, რომელზეც შესავალში მოგახსენებდით და ამის კვალად, უსამართლოდ ჩატვრებულ ლიტერატურულ კონკურსებზე უკეთ ლექსო დორეულის წერილიდან შეიტყობთ (დაბეჭდილია ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სექტემბრის მეორე ნომერში). როგორც თავად პასუხობს მწერალთა კავშირის განმაქიქებლებს, „მწერლობა ადვილად დასამორჩილებელი არ არის და არც კომუნისტური გადმონაშთია.“ იმ იდეოლოგიის გათვალისწინებით, რომელსაც ვიზიარებ, ქალების მმართველ თანამდებობაზე ყოფნა სიამაყეს მმართველ ხოლმე, თუმცა ეს შემთხვევა რამდენადმე განსხვავებულია.

...ავადმავალი პანანინა ბარტყი სოროსის, / ზურგიდან მიმზერს და სასრეადვილს მისინჯავს“ – ამგვარ სტრიქონებს, ალბათ, კვლავ უნდა ველოდეთ ქალბატონი მაცვალასგან, მთი უფრო, რომ იგი უკვე ნახსენებ ინტერვიუში ივიჯისტურ განცხადებას აკეთებს: „ზოგჯერ ეს ახალგაზრდა გოგონები ისეთ რაღაცაზე აღფრთოვანდებიან, რომ გული დაგწყდება. მათ კარგისა და ცუდის გარჩევა არ შეუძლიათ“. ცხადია, თუ მაცვალა გონაშვილის პოეზიის ტრფიალი არ ხარ და, მაგალითად, ლია სტურუა ან, ვთქვათ, 2000-იანების პოეტებიდან დიანა ანფიმიადი მოგონს, ე.ი. კარგსა და ცუდს ვერ არჩევ და თავისუფლებისა და ლიბერალიზაციის მიერ შექმნილი „სამინელი ხანის“ მსხვერპლი ხარ. მიუხედავად იმისა, რომ მაცვალა გონაშვილის პოეტურ შემოქმედებაში რამდენიმე დამახასოვრებელ და საინტერესო ლექსს თუ არა, ტაეპს ნამდვილად ნაწყნებდით („ანასეული“; „არ შეგამჩნიონ, რომ აღარ შეგვრჩა კბილები სულის დასაჭერად“, „შემომცვეთი ეფხზე მეც ქალბატონი რკინის“, „მგონი, დავერდი, წიგნისათვის ძველ ფოტოს ვირჩევ...“), ალბათ, მაინც ჯობდა, თავისი სათქმელი ქართულ კინოში ეთქვა. ■

დოდო ხიმშიაშვილი-პადაჭკორია

დედის ლოცვა

მამამ აიაზმასავით გადაავლო თავისი შეგონება შვილს სხეულზე და დამშვიდდა.

ინამა, ყველაფერი შეიგნო ჩვილმა და მთელი სიცოცხლე იკმარებოდა. მერე ყრმა დედას კალთაში ჩაუგორა.

კლდეზე მიშენებული სახლი ზღვაურით ირწუნოდა, იდუმალი ღიღინი აპყოლოდა კარის ჭრიალს.

დედამ ფრთხილად ჩაიკრა ჩვილი გულში, სახლში მოფუსფუსე საამო სიოს ისიც ნელი ღიღინით აპყვა და ლოყა მიადო მზისგან გამთბარ შვილის შუბლს.

– ჰოი, ყოვლად წმინდაო დედოფალო, ღვთისმშობელო! – ჩურჩულებდა დედა, – თუ არა შენ, ვინ გამიგებს, რა ძლიერია ყრმის სიყვარული და სურვილი დედისა, იყოს შვილი მისი ჯანსაღი სულითა და ხორციით. შენი დახმარებისა და ლოცვა-კურთხევის გარეშე, რა ვარ მე, მოკვდავი, რომ წარვუძღვე შვილსა ჩემსა, ესაიას, რათა გაიზარდოს ისეთი ღვთისმოსავი, პატიოსანი, როგორც სჭირდება ერს ჩვენსას.

– დედაო ღვთისა, – ტუჩის კუთხით ეამბორა პატარას დედა, – გავედრებ ჩემს შვილს, დაიცავ ცილისნამებისაგან, ყოველგვარი ჭორისაგან, უსამართლობისაგან. შეინყნარე ჩემი შვილი განთიადისას, მწუხრისას და მუდამ...

ხედავ, სძინავს, გამთბარს დედის კალთაში და თბილი რძით დამტკბარს. აი, ასე მძინარე დაიცავი, დაიფარე მტრისგან. მიეც ძალა, გადალახოს ყოველი კედელი ძნელ საქმეთა და ამყოფე ბედნიერი და ძლიერი...

ალერსითა და ლოცვით გამთბარი ესაია მყუდროდ ჩანოლილიყო დედის ღრმა კალთაში, ნანავს აყოლილი ილიმებოდა, ძუძუზე მიჭერილი ცალი ლოყა ატამივით აპყაკლებოდა. რძის ერთი წვეთი მარგალიტით ჩაპკორებოდა ნიკაპსა და ტუჩს შორის ვარდისფერ ნაკეცში.

– რაო, ჩემო პატარავ, ანგელოსებს



უღიმი; ჰო, ჩემო მშვენიერო, რას გეუბნებიან ნეტავ – ბედნიერი იქნები... – გულში ჩაიკრა დედამ ჩვილი, ფრთხილად შეეხო მის ვარდისფერ თითებს, – ღმერთმა შეგარგოს ყოველი ლუკმა მისგან ბოძებული, დედის რძესავით. დედის რძესავით ტკბილი იყოს ცხოვრება და კაცობა შენი...

ქეთევან ჭილაშვილი

ლიკლიკა

პანია ნაკადულმა დედამინის შუაგულიდან იჟონა, იჟონა და მოადგა კიდეს. ის იყო, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა სამზოვზე დასამკვიდრებლად, რომ სინათლეზე აციმციმებულ თვალზე ყინვამ ეკალი უჩხვლიტა. შეიშმუნა ნაკადული,

რადატორისგან: ძვირფასო მკითხველო! ამ სამი დიდებული ქალბატონისა და დიდებული მწერლის გაზეთის ერთ გვერდზე დაბეჭდვა, ეს ჩემი დიდი სურვილი გახლდათ!

მე ვთხოვე „ლიტერატურული საქართველოს“ ტექნიკურ რედაქციას, თუკი ამის საშუალება იქნებოდა, ყველაფერი ასე დაელაგებინათ!

ამით კი, ჯერ ერთი, ქართული საბავშვო მწერლობის მოყვარულთ გავუკეთე მშვენიერი სასექტემბრო საჩუქარი და კიდევ: მე თვითონაც მინდოდა, მაღლობა გადამეხადა იმ

ბრწყინვალე ლიტერატურული მოღვაწეობისთვის, რასაც ეს ძვირფასი ქალბატონები წლების განმავლობაში ეწეოდნენ!..

სხვათა შორის, ჩემდამი გამორჩენილი განსაკუთრებული ერთგულებისთვისაც!..

გმაღლობთ, ყველაფრისთვის – ქალბატონო ხიმშიაშვილო!

ქალბატონო ქეთევან ჭილაშვილო! ქალბატონო ნინო ბეზარაშვილო!.. მარადიული ერთგულებით,

თამაზ ნიწნივაძე



ნინო ბეზარაშვილი, დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია და ქეთევან ჭილაშვილი

უკან დაინია. გონს რომ მოეგო, ისევ იძალა, მაგრამ გზა უკვე ყინულს გადაეღეს. თოვლის ნაბადში გახვეული ყინვა შორიახლოს დააბოტებდა და ცივი ხმით ბუბუნებდა.

– ამ არემარეზე წვეთიც კი ლოლუად ვაქციე, ტარაკუცა ნაკადულმა ახლა მომინდოდა სეირნობაო! ზამთარია, ზამთარი!

პანია ნაკადული ისედაც რა იყო და, შიშისაგან სულ ჩაილია...

– ნუ შეკრთი, ანკარავ! – მიეფერა დედამინა, – ცოტა ხანს იყუჩე, მოიმძლავრე ტალღები და გაზაფხულზე ბუნება თავად გაგიყვანს სიკეთის გზაზე.

ნაკადული გაინაბა, მთელი ზამთარი ნოვა და ნოვა ჩანაყური, ერთ მშვენიერ დილით კი კლდის კბოდე ვერცხლის ძაფით ჩამოეკიდა... გაინელა, გაინელა და ... სიბ ქვაზე შადრევანით აყარა წინკლები.

– შენ გაიხარე!  
– შენ გამრავლდი!

ნეტარებით აშრილდნენ ირგვლივ ყვავილები ალმასა წვეთების დაპკურებაზე.

გახარებული ნაკადული მთელი არსებით მოისწრაფოდა მდებარე ვის ფესვებთან დაუტოვა პანანინა ტბორები, ვის ფოთლები დაუკრიალა. ხან ქვა გადაეღო, ხან ღორღი, მაგრამ ვერაფერი აბრკოლებდა. ილიკლიკა, ილიკლიკა და სოფელშიც ჩამოვიდა. აქ კი ერთ ორმოში სტკუცა თავი, სანამ წყლით არ აავსებდა, ხომ ვერ გაივარდებდა; ცოტას თვალს მოვატყუებო, გაიფიქრა, მაგრამ ვინ დააცადა! ჭრელკაბიანმა გოგონამ ორი ბოროლა მოაგდო, დაენაუნენ ბოროლები, სულ ჩამოეწუნათ კოკორა დრუნჩები...

ნაკადულმა ცოტა კიდევ რომ ჩაივარკა, ახლა ჭრელმა გოჭმა შემოაჭყაპუნა, დინგი ნაპკრა-ნამოპკრა და ყურების პარტყუნით სადღაც გატყუნებულა. არ ესიამოვნა ლიკლიკას ტალღების ამღვრევა, მაგრამ არ დაუნყევლია, ალბათ

რალაც გულით უხაროდაო. ამ ფიქრში იყო, რომ გოგო-ბიჭებმა პეშვებით აიტაცეს ლიკლიკა, ერთი ყიჟინა შეუდგათ – ეს რა ლამაზი ნაკადული გვწვევიაო, დაატრილეს ბარი, თოხი და საბოსტნეებში გადაუგდეს.

– რა ბედნიერი ვარ! – ლიკლიკებდა ნაკადული. – მაშ, მინის გულში და მინის ზემოთ ერთია?! მაღლობა ბუნებას, რომ წილად ამდენი საქმე დამახვედრა!

ლიკ-ლიკ...  
ლიკ-ლიკ...

ნინო ბეზარაშვილი

თაგო-თაგო

ერთ საღამოს მე და ჩემ ძმას ბებიამ გვითხრა:

– დანექით, დაიძინეთ, რომ დილაზე ადრე ადგეთ, ხვალ თაგო-თაგობაა და გორაზე უნდა ავიდეთო.

თაგო-თაგობა გაზაფხულობით იცოდნენ, სახლიდან თაგვებს დაითხოვდნენ ხოლმე: აქამდე ხომ ჩვენ გამოგკვებეთ, სითბოშიც გამყოფეთ, ახლა ნადით, უკვე დათბა, ამის შემდეგ გარეთ ათასი საკნატუნებელი იქნებაო. თან ტყის პირში, ძეძვის ძირას სუფრას გაშლიდნენ და მიიპატიებდნენ.

ზამთარში თაგვები ჩვენცა გვყავდა სხვენში. დამლამობით დარბოდნენ, თხილსა და კაკალს დააგორებდნენ, მერე სადღაც მიიკუნჭებოდნენ და აკნატუნებდნენ, ჰოდა, ჩვენც უნდა გაგვერეკა.

მეცა და ჩემს ძმასაც ძალიან გვიყვარდა თაგო-თაგობა. დილით თავის დროზე ავდექით, გაღვიძება აღარ დაგვჭირდა.

ბებია უფრო ადრე ამდგარიყო და ფუსფუსებდა. დიდი ქვაბით ბრინჯი მოეხარშა, გაენურა, ახლა ერბოთი და თონეში შემწვარი უნიპნო ჩამიჩით ანელებდა.

მაღე ჩემი ბიძაშვილები ნანული და

მერიკოც მოვიდნენ. იმათაც ძალიან უყვარდათ თაგო-თაგობაზე წასვლა.

ბებიამ სპილენძის მომცრო, ყურთან ქვაბში ფლავი ჩაყარა, მერე პატარა კალთაში ქალაღში შეხვეული ყველი ჩადო. ქვაბი თვითონ დაიჭირა, კალთა მე მომცა. მერიკომ და ნანულიმ კი დაშუსული, სურნელოვანი ნიგვზებით აივსეს მუჭები.

ბებიამ ყველანი სახლის კარებთან დაგვაყენა და გვითხრა:

– აბა, ახლა სამჯერ თქვით: – თაგო, თაგო, გარეთ გადი, ანგელოზო, შინ შემოდი...“ ჩვენ, რაც შეგვეძლო, ხმამაღლა სამჯერ ვთქვით ბებიას ნათქვამი.

წავედით. მაღე პატარა მაღლობზე ამავალ ვინრო, ერთი ფეხის დადგმა ბილის დავადექით. წინ ბებია მიდის, თავისი ნაოჭიანი გრძელი, თალხი კაბით. ბებიას ჩემი ძმა მისდევს, ჩემს ძმას მერიკო და ნანული, მერე მე. მივდივართ ოდნავ ნახრილები ნამდვილ მთამსვლელებს ვგავართ.

ავათავეთ აღმართი და ტყის პირში ავედით.

თბილი, მზიანი დღეა, მხოლოდ ხანდახან დაუბერავს ხოლმე მარტის სუსხიანი ნიავი, მაგრამ მაინც არა გვცევა, დავდივართ და ძეძვის ჯაგებს ვათვალთვლივართ. ერთი ყველაზე ძალიან მოგვეწონა, ძეძვს ფოთლები ახლად ჰქონდა გამოფეთქილი, შარშანდელი, გამხმარი, ძაფისებურ ყუნწებზე ჩამოკონწიალებული მრგვალი კაკრა ისევ ზედ ესხა და ნიავის დაბერვაზე ჩხრიალი გაუდიოდა.

კალათიდან ყველი ამოვიღეთ და პატარ-პატარა ნატეხები ძეძვის ეკლებს ჩამოვაცვივით. ნანულიმ და მერიკომაც თავიანთი სურნელოვანი ნიგვზები ჩაამაგრეს ეკლებში. ბებიამ ძეძვის გარშემო მიწაზე, კოვზით ფლავი მოაფრქვია, შიგადაშიგ ყველის ნატეხებიც ჩაანყო. ჩვენ ხელჩაკიდებულები ვუვლიდით ძეძვს გარშემო და ვმდებოდით:


– თაგო, თაგო, გარეთ გადი, ანგელოზო შინ შემოდი...

ვირბინეთ, ვიმხიარულეთ სუფთა ჰაერზე და წამოვედით.

იმ ღამეს სიზმარში სულ თაგვებს ვხედავდი. ვითომ ჩვენი სხვენიდან უკვე ნასულიყვენ, ძეძვის გარშემო, გაშლილ სუფრასთან ისხდნენ და მადიანად შეექცეოდნენ ყველსა და ფლავს. მხიარულად იყვენ თაგვები, მძივისებური თვლები სულ უციმციმებდნენ. მე კი გული მწყდებოდა, მენანებოდა, ჩვენი სახლიდან რომ დავითხოვეთ და სადღაც ტყეში გავვალეთ. ■



# სასწაულო



თაბაჯ მებრძოლი

### მე ისევ ის ვარ

მე ისევ ის ვარ, დიდება მახლავს,  
 არა მცილდება არცერთი წამით,  
 ეს ჯადოსნური წრე უნდა გავხსნა,  
 მარადისობას შევავლო თვალი!  
 მე ისევ ის ვარ, ჩემ ბედის  
 ვარსკვლავთ,  
 მე გავუმართლე ყველა იმედი,  
 იკაშკაშებენ ხვალ უფრო ნათლად,  
 და უფრო მეტი გამოსხივებით!!!  
 მე ისევ ის ვარ, არ ვიცვლი რწმენას,  
 თუმცა ჩემს გვერდით ბევრნი  
 დაეცნენ...  
 მივალ, მივაფრენ ჩემს ფრთოსან  
 მერანს,  
 გაუვალ გზებზე და ნაპრალებზე...  
 მე ისევ ის ვარ და ჩემს ქარიზმას,  
 ვერას დააკლებს ელვა და მეხი...  
 მე გადმოგცქერით იმ მწვერვალიდან,  
 სადაც არავის დაუდგამს ფეხი!!!

### მთვარეს დასწვია წუხელ ტურნაბი

მე კვლავ მწვერვალის ნაპრალებთან  
 ვდგავარ  
 და ასაფრენად ვარ შემართული,  
 მზეებო, თქვენი მომეცით ძალა!  
 კლდეებო, თქვენი მარჯუქეთ გული!  
 რომ განათებულს ცისკრის  
 სხივებით,  
 ცისარტყელების მერტყას ქამარი...  
 მთიდან ნისლეები წამოშლილები,  
 მესალმებოდნენ კრძალვით,  
 თაყვანით...  
 რომ კერპი ვიყო სალი კლდეების,  
 ვეჯახებოდე მკერდით ქარიშხლებს,  
 ლოდები, კლდიდან ანასხლეტები,  
 მიღებდნენ ზეცის წითელ კარიბჭეს!  
 შენ კი, ნათელი, ვით გაზაფხული,  
 ეჩქარებოდე ჩემთან შეხვედრას,  
 და როგორც სურო, ყლორტზე  
 გასული,  
 ეტმასნებოდე ჩემს ძლიერებას!  
 ტანთ ჩანჩქერების ქაფებს მოვისხამ,  
 მკლავებს მოგხვევ და გამიყურდები,  
 გითხარი? თურმე, მზის  
 ნაკოცნიგან,  
 მთვარეს დასწვია წუხელ ტურნაბი...

### მერანი მყავს მტრედისფერი

იცი, ყველა დილა მიყვარს,  
 მერანი მყავს მტრედისფერი,  
 ცხრა მთას ციმციმ გადამიყვანს,  
 ლურჯა, ჩემი ნატვრის ცხენი...  
 უკან კი შენ შემოგისვამ,  
 შემომხვიო ორივე ხელი,  
 მწვერვალზე შევხვდეთ ცისკარს,  
 მე, შენა და ჩვენი ცხენი...  
 ქვემოთ დარჩეს ეს სამყარო,  
 თავის მიეთმოეთობით,  
 რომ ვერავინ ვერ გაგვყაროს  
 ვერც ჭორებით, ვერც ეჭვებით...  
 მიყვარს ჩემი ლურჯა ცხენი  
 როცა თრთის და იწყებს ჭიხვის,

იცი, ნაღდად ესმის ჩემი,  
 როდის მიღბის, ანდა, მიჭირს...  
 შემომიჯექ, ვერცხლის მთები,  
 ერთხელ კიდევ დავიაროთ,  
 დაგვხაროდნენ ვარსკვლავები,  
 მზემ თვალეები აბრიალოს...

### გამიღიმე

(ტ-ს)  
 მოდიხარ და მოასხივებ,  
 მოასხივებ მთელი ტანით,  
 აშრიალებ ყელზე მძივებს,  
 ელავ, როგორც ბეჭდის თვალი...  
 გამიღიმე, რომ მიღირდეს,  
 ეს ცხოვრება თუნდაც რამედ,  
 ჰო, უბრალოდ, გამიღიმე,  
 რომ დღედ მექცეს ბნელი ღამე...  
 მე შენამდე ბედი მცდიდა,  
 მწუნდა ქარი, მწვავდა ელვა,  
 ქარიშხლები არ მაცლიდა,  
 შენს მხარეში გამოფრენას...  
 დაგინახე, დაგტკბი, დავდნი,  
 გულზე ცეცხლი წამეკიდა,  
 მომეჩვენა, თითქოს თაფლი  
 წვეთდა შენი თვალებიდან...

### წვიმა, ტყე და ოცნება

წამოხვალ ჩემთან? სადმე შორს,  
 ტყეში,  
 სადაც მღერის ნაკადულები,  
 გვანვიმდეს წვიმა, გვასხამდეს  
 თქეში,  
 რომ დაგვიხეთქოს თუნდაც  
 გულები...  
 და მერე, როცა გამოიდარებს,  
 როცა ტკაპა-ტკუპს მორჩება წვიმა,  
 ყური მივუგდოთ წვირების ჩქამებს,  
 და შემოდგომის ფოთლების  
 ფშვინვას...  
 და ვისხდეთ ასე გაყურებულნი,  
 გვერდიგვერდ, როგორც კატის  
 კნუტები,  
 ჩვენ ხომ ერთმანეთს ისეც  
 ვეკუთვნით,  
 მშრალეებიცა და გალუმპულებიც...  
 იქნებ ჩვენც ვიქცეთ ნაკადულებად,  
 შენ მოლივლივად, მე – მონავარდედ,  
 რომ შეგვაჯახოს ტყეში ბუნებამ  
 და ორივენი ველზე გავვარდეთ...  
 როგორ გგონია, მართლაც ვისია,  
 ეს ტყე, ეს მიწა, ნაკადულები,  
 ასე მგონია, მათი სისხლია  
 მე რომ ამინვა ხელისგულები...  
 წამოხვალ ჩემთან? ნუ გეზარება,  
 მოგასმენინებ ფოთლების შრიალს,  
 ჩავენვდეთ ბუნების იდუმალებას,  
 ზღაპარს, რომელსაც ოცნება  
 ჰქვია...

### თილისმასავით გინახავ

იქნებ არც უნდა მენახე,  
 იქნებ არც უნდა გამეცან,  
 შენზე ოცნებას შევხვევ

გულს სამომავლო აღერსად...  
 არ ვიცი, უნდა მიყვარდე,  
 თუ მზის სხივს ვეპოტინები,  
 ვაითუ, ამიყირავდე,  
 ვაითუ, სხვას ვეცილები...  
 მყინვარ და მყინვარ მოგდევი,  
 ვერ გაგაღიმე ვერაფრით,  
 ვერ ვნახე ანათროლები,  
 ეგ შენი ჩითის პერანგი...  
 არადა, როგორ მიყვარხარ,  
 არადა, როგორ მჭირდები,  
 თილისმასავით გინახავ,  
 შემოგხვდავ და ვითვრები...  
 ერთი რა იყო, სულ ერთი,  
 ერთხელ მოჭვრეტა თვალეების,  
 ასე თუ გამაბრუებდი,  
 ასე თუ ჩამაფლავებდი...  
 არ ვიცი, როგორ მოვიქცე,  
 ან მქონდეს რამის იმედი?  
 ვის უნახია ორი მზე,  
 ტყუილად გეკვლევივინები...

### გნებდები

(კ-ს)  
 გნებდები, უარს ვამბობ ყველაზე,  
 გნებდები, იყავ ჩემი მსაჯული,  
 თუნდ ჩამომკიდე სახრჩობელაზე,  
 გულის ფსკერზე ხარ ამოკანრული...  
 მე აღარ მახსოვს აღარაფერი,  
 შენი მშფოთვარე თვალეების გარდა,  
 და ჩემს სიყვარულს გზებზე  
 გაფენილს,  
 ვარსკვლავებივით ზეციდან  
 ვფანტავ...  
 მართლაც, ყველაფერს გულში  
 ჩავიკლავ,  
 ოღონდ არ იყო, შენ, გულნატკენი,  
 იცი, ძვირფასო, წუხელ ბარდნიდა,  
 და შენს ყვავილებს ჰკებუნდა  
 ნამქერი...  
 მინდა იცოდე, მინდა გახსოვდეს,  
 რომ მეც მათსავით ვარ დაკბენილი,  
 და თუ მოვკვდები, სხვა გისახსოვრებს,  
 ვარდებს, გზად როა გადაპენტილი...

### გამიტაცებან ცისკან ქარები

კარგა ხანია, რაც ზეცას ავცდი,  
 და შორს, ღრუბლებში დავიდე ბინა,  
 სულაც არ არის ბუნება მკაცრი,  
 ბუნება მუდამ შენსავით ბრწყინავს...  
 საოცარია, ფრთებს როგორც გავშლი,  
 გამიტაცებან ცისკან ქარები,  
 შენ კი ვით თოთო და ნაზი ბავშვი,  
 ჩემს ღრუბლებს ახლოს არ ეკარები...  
 საოცარია, ეს ლექსიც, იცი?  
 ისეც იმ ღამაზე დღეებს მაგონებს,  
 როცა ვტკბებოდი მე ჩემი სივრცით,  
 როცა დავქროდი მზის სიახლოვეს...  
 შენ ვერ მიხვდები, რად მიყვარს ასე,  
 ზეცა ზვავივით ნაგრიგალები,  
 როცა შენცა ხარ სიგიჟის ზღვარზე  
 და ციდან მიწას ეტრფილები...  
 იცი, რას ებრძვის მუდამ გრიგალი?  
 როცა შლეგივით ესხმის ქალაქებს,  
 და არნივივით თავისუფალი,

ზღვებს ქარიშხლებთან ალაპარაკებს...  
 თურმე მონობას, თურმე ლაჩრობას,  
 თურმე ვერ იტანს დუმილს,  
 სიმშვიდეს  
 და ებრძვის ისიც ამ უაზრობას,  
 ჩვენ რომ ვერაფრით  
 გამოვისყიდეთ...  
 წამოდი ჩემთან, ღრუბლებთან ახლოს,  
 ტანს ქარიშხლები გაგბანენ დილას,  
 მე არნივებთან და მზესთან  
 ვსახლობ,  
 მზესთან, რომელიც შენსავით  
 ბრწყინავს...

### აუ, როგორ მენატრები...

გაქრები ჩემი თვალთახედვიდან,  
 და უცბად ისევ გამობრწყინდები,  
 შენ, ნებიერი ალბათ ბედისგან,  
 მე, დათარსული შენზე ფიქრებით...  
 ასე ყველაფერს ქალი იხდენდეს,  
 ზამთარს, გაზაფხულს,  
 ფერისცვალებას;  
 რატომ მინდა, რომ სულ შენ  
 გიმზერდე,  
 ღამის წლებიც კი არ მენანება...  
 ასე ღამაში მაინც არ იყო,  
 ასე შევლივით ყელმოლერილი;  
 მთვარემ თავისი სევდა გამიყო,  
 მე – ლექსი ღამით გადაწერილი...  
 ნუ მიმატოვებ, ეგებ ჩემსკენაც,  
 გამოიხედოს ბედმა როგორმე,  
 კი, მართალია, ახლა ფსკერზე ვარ,  
 მაგრამ, ძვირფასო, რომ  
 ამოვბობლდე?

### თუ გინახავს ტბაზე ვალსი

რა ღამაში იყავ მაინც,  
 გიხდებოდა გედის ყელი,  
 ყვავილების სუნთქვასავით,  
 ნატიფი და მიმზიდველი...  
 თუ გინახავს ტბაზე ვალსი,  
 გედები რომ ასრულებენ,  
 არის რალაც ჯადოს მსგავსი,  
 ერთურთს ფრთხილად ფრთებს რომ  
 ხვევენ...  
 ყელს ყელზე რომ გადაწნავენ  
 და ტრიალებს თეთრი ტანი,  
 ლერწმის ჩრდილში წეება მთვარე,  
 ამ ცეკვების ნახვით მთვრალი...  
 ვარდობის თვე როცა მოვა,  
 ტბის ნაპირას მოდი მარტო,  
 ყელი ყელზე, რომ ჩვენც ორმა  
 გედებივით გადავხლართოთ...

პაპა ჩორდელი



დემეტრე გიჟიმერელი, ანუ იგივე დემეტრე თავდადებული, - (დედულ-მამული, სოფელ-ქვეყანა და საქვეყნო სამსახური იმ უსაზღვროებამდე უყვარდა ბატონ დემეტრეს, რომ თავდადებული შეარქვეს!), -

დილა-შემოთენებაზე, ისე გაიპარა სახლიდან, თვალლიად მწოლიარე მეუღლესაც კი არაფერი არც დაუნახავს და არც გაუგონია-რა...

...არ იყო შორი მანძილი ადრესატამდე... ცოტა ზემოთ სასამართლოს შენობა რომ იყო წამომართული, მის მიჯნაზე კუთხის სახლის მარცხენა სადარბაზოს მიადგა ბატონი დემეტრე, მერე მესამე სართულზე ავიდა და ხელმარჯვნივ კარზე ღილაკს თითი დააჭირა.

ცოტაოდენ „გაიჭიმა“ დრო... „ეგებ სახლში არც კია... მონადირე კაცი ამ დროს ტყეში უნდა იყოს!...“ - ამის გაფიქრება მოასწრო დემეტრემ, რომ რკინის კარი ჩხაკაჩხუკით გაიღო.

- ვაჰ, ბატონო დემეტრე, თქვენ?! რავა უცხოეთის დეპუტატავით „მომიხვედი“ ამ დილაუთენია, ხომ მშვიდობაა, კაცო!.. რაიმე ცუდი და საწყენი არ მითხრა, თუ ღმერთი გნამს! - შალვა ერქვანს პასუხის მოლოდინში ხელების ფშვნიტა დაეწყო.

- ჩემმა მშვიდობამ, ჩემო შალვა, კარგა ხანია, ჩაილურის წყალს გააყოლა ყველაფერი! - ამოიხრა დემეტრემ.

- ეტყობა, თორემ, ამ „უხერხულ“ დროს თავზე არ დამადგებოდი!.. შემოდი, შემო, კაბინეტში დავილაპარაკოთ, ყავა დავლით, მშვენიერად ვისწავლე მოდულება!.. სხვა რამის დაღვევა შეიძლება, ცოტა რაღაც ჯერ კიდევ მომეძებნება სახლში - ამ მათხოვარ ხელისუფალს რომ უნდა, ისე არ მაქვს საქმე, მთლად წყალში არ მიდგას ფეხი... - ხელები გაშალა ერქვანმა.

დემეტრე უხმოდ შეჰყვა მასპინძელს... - ბატონო დემეტრე, ამდენი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ და...

- არავითარი და, - თითქოს ამას ელოდებოდაო გიჟიმერელი, - არავითარი ესა და ის, შენთან სათხოვარი მაქვს და უარი არ მითხრა!.. არც მეტი, არც ნაკლები, თოფი უნდა მათხოვო, თ-ო-ფ-ი! მონადირე რომ ხარ და თოფების კოლექცია რომ გაქვს, ქვეყანაში იცის!..

- კი, მარა ამ სიბერეში თოფი რად გინდა? - შეანყევინა ერქვანმა დემეტრეს შემართული ლაპარაკი.

- რად მინდა? როგორ თუ რად მინდა!.. რად მინდა და უნდა ვისროლო! ცა და მინა უნდა გავახიანო! ზევით მთავრობას უნდა დავუფრთხო ძილი, ქვევით კიდევ ეს უნიფხვო ოპოზიცია უნდა გამოვაფხიზლო!

- როგორ, ჩვენს ბიჭებს უნიფხვოს ეძახი? - თვალი გაუშეშდა ერქვანს.

- აბა, ჩვენი ოპოზიცია მეტი რაა?! ნამდვილი ოპოზიცია ან ციხეში უნდა იჯდეს, ან იარაღის ჟღარუნი უნდა დადიოდეს! ჩვენი ოპოზიცია მთავრობასთან არის შეკრული, მის ფულსა და ნასუფრალს მიირთმევს, ჩვენ კი „გვაბოლებს“!.. საცოდავ ხალხს ორივე მხარე ატყუებს! განუკითხაობაა!.. ჩვენ მათ აღარ უნდა

დაველოდოთ, ხელიხელს უნდა ჩაკვიდოთ და განგაში უნდა ავტეხოთ! ამისთვის მოვედი შენთან!

- ბატონო დემეტრე, თქვენ რომ ნამდვილად გიჟიმერელი ბრძანდებით, პროფესორი და დიდებული კაცი, ეჭვიც არ მეპარება და ამიტომაც მიკვირს, თოფს იმისთვის მთხოვთ, არეულობა შემოიტანოთ ქვეყანაში? გამოდის, შარში მხვევთ! - შალვას ქვედა ყბა ისე მოექცა, ენა კბილებს გადმოაცოცდა.

- გიჟიმერელი რომ არ ვიყო, აქ არ მოვიდოდი! გიჟებს გიჟურ ენაზე უნდა ელაპარაკო!..

რაიმე! შეგიძლია, ადგე და კარი გაიხურო! - თოფაქმ უარის გასამტკიცებლად კარისკენ გაიშვირა ხელი.

...თავდადებული თავჩაქინდრული დაუყვა დაღმართს.

„- კიდევ ერთი ჩასვრილი თოფიანი კაცი! მეგონა, გვერდზე დამიდგებოდა, სხვასაც აიყოლიებდა! არა, ვისაც იარაღი აქვს, ყველა ჩასვრილი როგორაა! გამკვირვებია მაგათი!“ - ჩაიჩიფრდა გიჟიმერელმა და გულის ძირობიდან ამოიხვნეშა.

...დემეტრემ ტაბიდის ქუჩიდან ახლა დადიანზე გადაინაცვლა და ტროტუარს ქვემოთ ჩასდია. ათიოდე ნაბიჯი არც ექ-

„აი, ქვეყანა!..“

- ბატონო დემეტრე, - თავდადებულის შეჩერება სცადა ერქვანმა, - ტყუილს არ ვიკადრებ - უფულობის გამო თოფების კოლექცია ნამდვილად გაცივდა, განახებ საცავს!.. ერთი რუსული „ტულა“ დამრჩა და იმასაც შევიღვივებ „ცივილო“ დაუკარგა, მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, თოფს მაინც ვერ გათხოვებ!

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაძირლებმა ოჯახი გამინადგურეს, თითქმის ძირს დამცეს, თოფს მაინც ვერ გათხოვებ! სახალხო ცოდვაში მონაწილეობას ვერ მივიღებ! მოკლედ, ესაა ჩემი ბოლო პასუხი!

- კარგად ბრძანდებოდეთ! - ცივად წარმოთქვა დემეტრემ, მერე ფეხზე წამოვარდა, გასასვლელისკენ გაემართა, კარი გაიჯახუნა და კიბის საფეხურებს ორ-ორ იჯრივ ჩაალაჯა.

- რესტორან „სამადლოს“ გვერდით პროფესორი სვერიან თოფაქმ ცხოვრობს, იმასაც მთელი არსენალი აქვს, ეგებ იმან „ნაგიკრას“ ხელი მაგ საქმეში! - მიაძახა ერქვანმა გაქცეულ გიჟიმერელს.

„- ჩასვრილი აქვს ბატონ ერქვანს, კი, ჩასვრილი! ისე, შენ რომც არ გეტქვა, ჩემო შალვა, ეგ პერსონა მანამდეც შეწერა სიაში!“ - თავის თავს ჩაულაპარაკა დემეტრემ, ტაქსიში რომ ჯდებოდა.

...კარში სპორტულსამოსიანი სვერიანი გამოვიდა...

- მე დემეტრე ვარ! - გიჟიმერელმა თავი წარუდგინა სვერიანს.

- შე კაცო, რავა ისე მელაპარაკები, ვითომ შორებლები ვიყოთ! შემოდი, შემო, კოლეგები არ ვართ პროფესორები?.. ტყუილად რომ არ მოხვიდოდო მეფის ტოლი კაცი, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა!.. ვიცი, გველუკაშვილი მოგაგზავნიდა პროტექციაზე, სადოქტოროს იცავს და მე ამ დროს მისი ოპონენტი ვარ!.. და მერე როგორი მოპაექრე, დედა შვილს რომ არ აიყვანს ხელში!..

- არა, გველუკაშვილი აქ არაფერ შუაშია! უფრო დიდ საქმეზე ვარ მოსული! - უთხრა დემეტრემ მასპინძელს, როცა მაგიდას მიუსხდნენ.

- ალბათ, კარგი საქმეა! - გალიმა სვერიანმა.

- როგორ გითხრა! კარგიც არის და ცუდიც!.. ბევრი რომ არ გავაგრძელო, თოფი უნდა მათხოვო! ამ უაზრო, უბჟუეო, უთავბოლო, გაგანია აქცია-მიტინგებზე, ცა რომ ძირს ჩამოვახედო, თოფი უნდა ვისროლო! ყური უნდა გავუხელო აქეთ „მტერს“, იქით - „მოყვარეს“!.. - ხელები გაშალა დემეტრემ.

- კი, მაგრამ, სროლას რომ მსხვერპლი მოყვებს? - ტურქები შეეკრა სვერიანს.

- მერე და ვინ გითხრა, რომ თოფი კაცის მოსაკლავად მინდა? არა, ბატონო, არა! „ხალასტოი“ ვაზნებს დავცლი! სულ ეგ არის და ეგ! - თავისას არ იმლიდა გიჟიმერელი.

- ბატონო დემეტრე, ბევრი რამე არ მომწონს ამ ვირიშვილების, ბევრი რამე წამართვებს, საერთოდ, ერი თავზე დაგვახსებს, მაგრამ ვილაცის შესაძინებლად თუ ყურის „ასანვეად“, ჩემი სახლიდან თოფს ვერ გაგატან!.. მეტი აღარ თქვა

ნებოდა გადადგმული, რომ საპირისპიროდ მომავალ, თეთრთმაულვამიან კაცს მიაშტერა მზერა.

„- ეს, კაცო, თუ არ მეშლება, მიმა უნდა იყოს, ალავიძე! ისე მძიმედ მოაბიჯებს, კაცი იფიქრებს, სამშენებლო ტრესტის ყოფილ მმართველს, შემდგომ კი გახმაურებულ ბიზნესმენს ამა ქვეყნის მთელი ცოდვა-მადლი ზურგზე ჰკიდიაო! - თავის თავს ჩაულაპარაკა გიჟიმერელმა.

...მიმა ზედ ცხვირწინ მიადგა დემეტრეს.

- კაი გამარჯობა, მიმა ბატონო! - ხელშემართული დემეტრე წინ გადაუდგა მიშას.

- ვაა, დემეტრეს სიცოცხლე! თავდადებულ კაცს კაცური სალამი! - არც მიშამ დააკლო შეხმატკბილება დემეტრეს.

- რაღა გარეთ ხარ, ესე იგი, კარგად ხარ!.. პრესიდან ვიცი, როგორ „მოგწველეს“ და რა დაგმართეს ამ უდღეურებმა!.. რას შვრები ახლა?

- არაფერს ისეთს!.. ვარ ჩემთვის და უფალს მადლობას ვწირავ, ჯოჯოხეთიდან რომ გამომიყვანა! - ახლა მიშამ შემართა ხელები მაღლა.

- უფალს თუ ფულს! ჰა, თქვი სიმართლე! ისე, ჭკვიანმაც და უჭკუომაც თავიდან არ უნდა ამოიღოს დიდი ვაჟას მოძახილი: „მტერს უნდა მტრულად მოექცე, თვითონ უფალმა ბრძანაო!..“ ჰოდა, ამდენი ფული რომ დაგაყაჭინეს, მორალურად დაგცეს, ოჯახი დაგიბიძგოს... ერთი სიტყვით, დედა რომ გიტირეს, რაღას უყურებ, გამოჭენდი ქუჩაში, აიღე იარაღი და შესაშინებლად ტყვიამოცლილი, „ხალასტოი“ ვაზნები მაინც დააბათქუნე! მერე ეგება სხვებიც კი აგყვენ!.. ღმერთი-რჯული, მე ხომ იმას არ გეუბნები, კაცი მოკალი-მეთქი, ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ცოდვისგან შენცა, მეცა და სხვაც, მარა ასე მხარ-თეძოზე წამონოლაქ არ ვარგა!.. აგერ აა, სვერიანს თოფადის სახლიდან მოვდივარ ახლა, თოფი ვთხოვე! ისეთი ხმაურიანი უარი მტკიცა, ეჭვი მაქვს, პარლამენტის შენობის დარაჯებს ყურის ბარბანები დაუსკდაო!..

- ჩემთანაც რომ მოსულიყავი და გეტქვა, თოფი მათხოვე, ხელისუფლებას ძილი უნდა დავუფრთხოთო, მეც უარს გეტყვოდი! - ხელები გააქნ-გამოიქნია მიშამ.

- ეგრეც ვიციოდი! ამიტომაც იყო, იმ სიაშიც კი არ შეგიტანე, ვისაც თოფსა და ფულს ვეგულეობდი სახლში! გეწყინება, მარა სიმართლე უნდა გითხრა: ბიზნესმენობა, ანუ ფულის კეთება და ვაჟაკობა, ბევრ შემთხვევაში ერთმანეთისგან შორს არიან! ეს, რა თქმა უნდა, ჩემი სუბიექტური აზრია! კარგად ბრძანდებოდე, მიშავ ბატონო! - გიჟიმერელმა ზურგი აქცია მიშას.

...ალავიძე თავისი გზით წავიდა.

...დემეტრე ქალკის მერიის კუთხეში გაჩერდა, მხრით ასწლოვან ხეს მიეყრდნო, ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა, ცოტა ხანს უყურა, მერე ისევ ჯიბეს დაუბრუნა და ჭადრის გასაგონად ამოილაპარაკა:

- პატივცემულო ჭადარო, გემახსოვრება შენც, მეორე მხარეს არცთუ დიდი ხნის წინათ, „ცისკრის“ რედაქცია იყო „დაბანაკებული“... ნამდვილი ოპოზიცია ის იყო - „გაგანია“ კომუნისტების დროს ისე წერდნენ, ისე კერავდნენ ერის სულიერებას, უკეთესს სხვაგან ვერც ნახავდი და ვერც ნაიკითხავდი!.. ბევრჯერ მაქვს მოსმენილი, მისი ყოველი ახალი ნომრის გამოცემაზე როგორ იბრდვნიდა ყველაფერს იქით „კეთილი“ რუსული ცენზურა და აქეთ ქართული ცეკა!.. ისე, ეს უდღეურები, მტრებიც კი არ არიან, მარა მოყვრებიც რომ არ არიან, ამაშია უბედურება!.. ჰო, რაღა მწერალი ვახსენე, ერთსაც გეტყვი, გუმინწინ იმ „ცისკრის“ დროინდელ ასაკოვან სიტყვის ოსტატს შევხვდი, კარგა ხანს ვისაუბრეთ! ერთ მომენტში იარაღზე ჩამოვუგდე სიტყვა და, იცი, რა მითხრა? მე რომ ახლა ავდგე და ვიყვირო, ამ მთავრობას იარაღით ვებრძოლოთ-თქვა, არ გაგიკვირდეს და, „ჩემიანებს“ სიტყვადაც არ ეყოფათო!.. დარწმუნებული ვარ, შესაძინებლადაც კი არავინ გაისვრისო... მაშინ სხვანაირი მწერლები ცხოვრობდნენო... დღეს თითქმის ყველა ნახდაო...

...ჭადარმა მძიმედ ამოიხვნეშა!

- ჰო, ისა, რაღა გაგიშინაურდი, - გააგრძელა დემეტრემ, - გეტყვი ბარემ! ათ დღეზე მეტია, ქუჩა-ქუჩა, კარი-კარ დადივარ, მთელ სანათესაოსა და სანაცნობოს თოფის თხოვებაც ვეხვეწები და, შენც არ მომიკვდე, ყველა უარს მეუბნება!.. ერთსაც მოვსინჯავ, „ნახალოვკაში“ გავალ, ერთ ძველ ქურდს ვიცნობდი შორიდან, ამბობენ, იმის გაზრდილი არჩევს ახლა საქმეებსო! თოფ-იარაღი იმას რომ ექნება, რად უნდა ახლა ამას ბევრი ლაპარაკი, მაგრამ იმანაც უარი რომ მითხრას, მერე ნახე შენ ჩემი გაბითურება!.. - ხეს ხელის გული დაუტყაპუნა დემეტრემ და მეორე მხარეს, „ტაქსების“ გაჩერებისკენ ქნა პირი.

...ტაქსი დაიძრა.

- ნახალოვკა დიღია, თქვენ რა ადგილზე მიბრძანდებით?

- თოფურიძის ქუჩის პარალელურია, შეიძლება ვერტიკალურიც იყოს! კანონიერი ქურდი სახლობსო იქ, საქმეებს მაგრად არჩევსო!.. იმასთან მივდივარ!..

- ვიცი მისი სახლი, ბევრი დადის მაგასთან! მეც ვიყავი ამას წინებზე, ჩემი ამბავი და საქმე შევჩივლე, მეცნიერებათა კანდიდატი ვარ ბირთვულ ფიზიკაში, ისეთ რამებს მივაკვლიე ამ დარგში, ვერ ინატრებ უკეთესს, მარა რად გინდა, გამომზეურებ ვერ მოვასწარო, ახალთაობისტებმა ლაბორატორიიდან გამომაგდეს, რა დროს ბირთვული ფიზიკააო!.. ჰოდა, ახლა, ოჯახი რომ ვარჩინო, სიდედრის ნაჩუქარ „ოპელს“ ტაქსის სანიშნე დავადგი და ვტაქსაობ... ბირთვული ფიზიკის სადგურში ჩემი მატარებელი არ გააჭაჭანეს...

- ამათ ნიჭი და გონება არ ჭირდებათ! ტაშ-ფანდურით, ენის ლაშლაშითა და ტრაკის თამაშით უყვართ ხალხის „დაბოლება“! ისე, ცნობისთვის, მეც პროფესორი ვარ, ჩარეცხილების სიაში მოხვედრილი!.. გულს ნუ გაიტეხ, რაღაც საშველმა რომ არ ჩამოგვიაროს, არ იქნება ისე!.. - დემეტრემ ჯერ ნიკაპი მოისრისა, მერე კი სიგარეტი გააბოლა.

...მანქანის სალონში დუმილი ჩამოვარდა.

...„დამუშავებული“ რეზინების ჭრიჭინ-ჭრიალის თანხლებით „მიარბენინება“ გიჟიმერელს მანქანა...

- აი, ეს ციხე-გალავანი იმ ქურდს ეკუთვნის! - თქვა ბირთვული ფიზიკის „სპეციალისტმა“ და მანქანა გააჩერა.

...გალავანთან ოთხი-ხუთი კაცი იდგა. ცოტა იქით სამი შავსამოსელიანი ქალიც იჯდა ძელურ სკამზე!..

...გალავანს მიღმა ძაღლმა სამიოდევრ დაიყევა.

...ასე იყო, თუ ისე იყო, მცველებმა დემეტრე კარს მიღმა ურიგოდ შეიყვანეს და უშველებელ მისაღებში, შუა ყანოზე დადგმულ მაგიდასთან დასვეს.

...როგორც იქნა, ქურდიც გამოჩნდა. სტუმარი უმაღ ფეხზე წამოდგა, მასპინ-



ძელს ხელი ჩამოართვა და თავი წარუდგინა:

– მე პროფესორი დემეტრე გიჟიმერელი ვარ, სანაცნობო და სამსახურში დემეტრე თავდადებულს მეძახიან! – მსუბუქი ლიმილი დაედო სახეზე დემეტრეს.

– სასიამოვნოა!.. ძალიან სასიამოვნო!.. რამ შეგანუხათ, ბატონო დემეტრე?

– ამხელა კაცი ტყუილად რომ არ მოვიდოდი, დიდი მიხვედრად არ უნდა! საქმეზე ვარ მოსული და თანაც აუცილებელ საქმეზე! – ხელები მოიფშვინა დემეტრემ, მერე სიგარეტის მოწევის უფლება ითხოვა, გააბოლა და გააგრძელა, – კაი ხნის წინ დავინყე, მთელი საახლოლო დავიარე, მეტნილად, მონადირეებს ვეახლე!.. პროფესორებთანაც ვიყავი, დოცენტებთანაც, ყოფილი დისიდენტებიც მოვიხანულე, ოპოზიციონერებსაც ჩამოუყარე, მარა, თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ თოფი არ მათხოვია!.. ახლა აგერ ვარ! არ მითხრა, თოფი არ მაქვსო, თავი არ მოიჭრა!.. ხომ გაგიგონია, ბრძენ ქართველს უთქვამს – თოფი მეთოფესო!

– რაღა ასეა, რომ თოფი მეთოფეს უნდა ეჭიროს, გათხოვებ, პრობლემა არ არის! მაგრამ „მისამართი“ უნდა მითხრათ, თოფს რა „მიმართულებას“ მისცემთ!

– ბევრი რომ არ მივიკიბ-მოვიკიბო, მოკლედ გეტყვი! უახლოეს აქცია-მიტინგზე, სადაც ასჯერ „დაბოლოებული“ ხალხი ერთხელ კიდევ მოიყრის თავს, თოფს მოვმართავ და ერთი-ორ „ხალასტოი“ ვაზნას გავისვრი ჰაერში. მანტრერესებს, ჩემი თოფის „დაკრულზე“, საით გაიქცევიან ქუჩის „რაინდები“, სახლებში თუ კანცელარიის ასაღებად!..

– არა, ბატონო პროფესორო, მაგისტრის თოფს ვერ გათხოვებთ! შეიძლება, ისე გაგივარდეთ, კაციც კი შემოგაკვდეთ! თქვენ რა, გინდათ, შარში გამხვიოთ?

– შენ თუ მართლა ქურდი ხარ და ეს ქვეყანამ იცის, რატომ არ დაგიჭირეს? „ჩარჩოიანი“ ქურდები, შინ და გარეთ, ყველა გაკოჭეს! შენ, რა, ვერ მოგაგნეს? ესე იგი, ჩამშვები ხარ, ძალოვანებისთვის „მუშაობ“ და ბიჭებს წირავ! ასე რომ არ იყოს, ამოდენა სახლ-კარ-ქონებას ვინ შეგარჩენდა?! ასეთი მიღებ-მოღება და კაბინეტი პარლამენტის თავმჯდომარესაც კი არ მოელანდება! – ხმაშაღლა და თანაც ხელების „თანხლებით“ ლაპარაკის თემა შეცვალა დემეტრემ.

– როცა ჩემკენ იშვრთ ხელს, ძალიან გთხოვთ, სიტყვები შეარჩიეთ! – წარბი მალა ასწია ქურდმა.

– თავს უფლებას მიეცემ და გეტყვი, – ხმაში შემართება არ დაუკარგავს დემეტრეს, – შენ იარაღს ტარებაც კი არ შეგიძლია, გამოყენებას ვინ მამაძალი ჩივს!.. ქურდები!.. რა ქურდები ხართ თქვენა!.. ერთმა თოფი ვერ აიღეთ ხელში!.. ქურდები ისინი იყვნენ, თავდაყირა რომ დაამხეს ნიკოლოზის მთავრობა!.. და, შენ რომ იცოდე, იმ ქურდებიდან და მამაძალებიდან ერთი გენერალისიმუსიც კი გახდა!.. ტვინი რომ გავიხსნა, იმასაც გეტყვი, სტალინი ერქვა იმ ერთ მამაძალს!..

– ბატონო პროფესორო, ბატონო დემეტრე, – სტუმრის შეჩერება სცადა მას-პინძელმა.

– პროფესორობამ მოგჭამა ჭირი!.. და, საერთოდ, ყველაფერმა! ახლა შენ ის მითხარი, ბატონო კანონიერო, ამ მთავრობის შესაცვლელს რა გზას ხედავთ, ეგებ რაიმე ისეთი გაქვთ ქურდებს!.. „თქვენია“ ვარ, ან ჰო მითხარი, ან არა! – თვალი თვალში გაუყარა დემეტრემ ქურდს, მერე ხელი გაიქნია და გააგრძელა, – ცოტადენი „ჩვენებური“ და მე, პირადად, ამ მთავრობის გადაგების ერთ-ერთ გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა უნდა ჩაიცვას რკინის ქალამანი და დაიძრას „ქაჯეთის“ ციხისკენ!.. დარწმუნებული ვარ, ქუდზე კაცი გაჰყვება პატრიარქს!..

– არამც და არამც! – იყვირა, მარა რა იყვირა ქურდმა, – ეგ აზრი იდეაშივე გააქრეთ! სისხლი დაიღვრება, პატრიარქს პირველს ესვრიან!.. მერე კი...

– რაა, ბიჭო, უწმიდესს მართლა ესვრიან?! მართლა უწმინდურად მოიქცევიან ამ მთავრობაში? – ხმა გაეცა დემეტრეს.

– ეს ხელისუფლება თითს არ დააკარებს პატრიარქს! თქვენ ძალიან შორს ხართ სინამდვილისგან!.. იარაღს უხილავი ძალები გაისვრიან! აი, ისინი, ვისაც ბოლომდე უნდა საქართველოს ამოწყვეტა! ქურები, აქეთაც და იქითაც, საესეა მაგნიური უჩინაჩინებით!.. აქაური და იქაური გადაცმულებით! ისინი ამ მომენტს რამდენი ხანია ელოდებიან! ჩრდილოელებს სული კბილით უჭირავთ!.. ამ საქმეში თქვენზე მეტი ვიცი! მე ჰაერზე არ ვლაპარაკობ, სარწმუნო წყაროები მაქვს!.. ისეთი რეჟისურა მუშაობს და ისეთ „სპექტაკლს“ დადგამენ, პატრიარქი პირველი მსხვერპლი იქნება! ამას, უცილოდ, ერთხელ კიდევ მოჰყვება სამოქალაქო ომი და გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა!.. ბოროტი სულები სიცილით გაიჭაჭებიან, როცა ჩვენი დები და ძმები ერთმანეთს ქვებით ჩაქოლავენ!.. არ დაგავინყდეს, სადაც ილია პირველი, ჭავჭავაძე მოკლეს, იქ ილია მეორის მოკვლაც არ აუკანკალდებათ ხელი!

...სახტად დარჩენილმა პროფესორმა სიგარეტს მოუკიდა, ღრმად დაანაფაზა, მერე ქურდს თვალში შეხედა და...

– არ უნდა იყოს ეგ სიმართლეს მოკლებული, რაც მითხარი, ყურადსაღება! უწმიდესს თვალისჩინებით უნდა გაფრთხილებ!.. კიდევ მისი ძალისხმევითაა შეკონინებული ჩვენი საცოდავი, ბედკრული ქვეყანა!.. მარა, ამდენი ჭირთათმენაც ხომ მძიმე ასატანია!.. როდის იქნება ან ვინ იქნება, თოქს იქ განყვეტს, სადაც მსხვილია!.. ისე, რაც შეეხება იმას, რომ თოფი არ მათხოვ, ჩემს თვალში შენ მაინც გვარინანდა ჩაისვარე! კარგად ბრძანდებოდე! – ჩამოამთვრა ბოლო სიტყვები პროფესორმა და იქაურობას ზურგი აქცია...

– ბატონო პროფესორო, ბატონო დემეტრე...

...გაოგნებულმა პროფესორმა ალაყაფის კარი უკანმოუხედავად გაიჯახუნა, მერე გეზი ქვემოთ აიღო და ჩოდრიშვილის ქუჩას ლასლასით დაუყვა.

...დემეტრემ ცენტრალურ ქუჩაზე მარცხნივ იქცია მხარი და ტროტუარს მძიმე ნაბიჯით გასდია. მოსახვევიდან ოციოდ მეტრში, „თბილპურის“ მაღაზიის წინ, შექურებულ ხალხთან მისდა უნებურად გაჩერდა. ფურგონზურგიან „სიტროენიდან“ „ქვის“ პურები ლილინ-ლილინით გადმოჰქონდა დამტარებელს. მანქანის სალონში რადიომიმღერი უცხოელი მომღერლის ბარიტონით იწონებდა თავს.

პროფესორმა, ის იყო, გზის გაგრძელება გადწყვიტა, რომ იქვე, კედლის ჩამოყოლებაზე, შინდისფერი წარწერა ამოიკითხა: „სტილის ლუდი, ჟიპიტაური, ხინკალი...“

გიჟიმერელმა დაუფიქრებლად შეაღწა დაუქანში...

...ის იყო, ასგრამიანი „ყანით“ მეორედ ჩაისხა ხახში ჟიპიტაური, რომ მანქანის რადიოთი ყურადღება და მოსმენა მოითხოვეს!

– დღეს, ორ საათზე, ქალაქს მიღმა, ობოლას მინდორზე, გაიმართება საყოველთაო, სახალხო აქცია – „უღირს ხელისუფლებას მიეზღოს საკადრისი!..“

...მერე მუსიკამ გადაფარა ყველაფერი!

...პროფესორს ყური გაუხედა!

... – ესე იგი, ყველა იქ იქნება – პოზიცია და ოპოზიცია!.. შავრამშელნიც და სპექსამსახურის მესვეურნიც!.. ყვითელავტობუსიანელებიც და შავჯიპოსნებიც!.. რა თქმა უნდა, „კუდიც“, „სოდიც“ და „სადიც“... გაგიხარია, ამაზე უკეთეს შემადგენლობას ვერც კი ინატრებდა კაცი!.. ხედავ, კაცო, რა დამთხვევაა? დასანანი, თოფი რომ ვერ ვიშოვ! არადა, „ხალასტოი“ ვაზნების სროლითაც შეიძლება გამოგვო, ვის რისი უკანალი ჰქონდა!.. ამიტომ მინდოდა თოფი, თორემ კაცის მოსაკლავად არც მე არ გავისვრი!.. არც გაიფიქროთ!.. ისე, საინტერესოა, რომ გამკოჭავდნენ, რა იარაღს მომაკრავდნენ, ჰა! ალბათ, სახელმწიფოს დამაქცევარის! კაი, მაგრე იყოს, მარა იმედს რას უშვებთ? იმედს ვერ წამართმევთ!.. დღეს – არა, ხვალ – არა, ზეგისთვის მაინც მოიცლის ჩვენთვის ზეციური მამა და თავის ნილხვედრ ქვეყანას ისევე ისე დალაგებს,

როგორც მას სჩვევია! დამიჯერეთ, ასე იქნება, მარა... აი, ეს „მარა“ სადამდე გაგრძელდება და როდის განყდება წვრილში, ისა თქვი შენ! მოვესწრები კი ამას?!“ – კუდი გაიხსნა ფიქრის გორგალმა.

...მანქანის რადიომ ისევ გაიმეორა ინფორმაცია!

...თითქოს ამას ელოდებოდნენო, ქუჩის მეორე მხარეს ისეთი სროლა ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში!

პროფესორი დუქინდან თოფნაკრავით გამოვარდა. ბათქაბუთი იმდენი ნაირსახეობის ხმას გამოსცემდა, კაცი იფიქრებდა, სხვადასხვა „იარაღიდან“ ისვრიანო...

– თავს უშველეთ, თავს უშველეთ! – ისმოდა აქეთ-იქედან.

...ამ შეძახილებით დამფრთხალი და შეშინებული ხალხი ზოგი იქით მირბოდა, ზოგი აქეთ, ერთმანეთს აწყდებოდა, ხეებსა და მანქანებს ეფარებოდა...

...აზრზე რომ მოვიდა დემეტრე, მიხედა, რაც ხდებოდა – სკოლის მოსწავლეები საახალწლო „ხლაპუშკებს“ ისროდნენ...

„რა დროის ზალპების სროლაა, თქვე მამაძალებო, ახალ წლამდე ჯერ იმდენი დროა, მის მოსვლამდე კაცს სიბერეც კი დაეტყობაო,“ ამის გაფიქრება იყო, რომ, პროფესორს უცბად გონების სხვა „კარი გაეხსნა“...

– ბიჭო, დემეტრე, მთელი ქალაქი რომ შემოიმართოვრე, რად გინდოდა სხვისი თოფი! აი, თოფები! ნაირ-ნაირი! არა, რაზეა ლაპარაკი, ერთი მხრივ კარგად მოვიქცეო... გამოვცადე „საზოგადოება“, ვის შეეძლო თოფის გასროლა! თქვენც არ მომიკვდეთ, არავის აქვს მაგის ტრაკი! სხედან სახლებში და ბოქვენის ფხანაში რას ელოდებიან, ღმერთმა უწყის! არა, კაცის მოკვლას არც მე არ ვაპირებდი და არც სხვას არ ვუსისიანებდი, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ვილადა რომ შეაშინო, ამისთვის ხომ მაინც უნდა გამოდგე! გენყინებათ, მაგრამ პირში უნდა მოგახალოთ, ამდენი ბაიყუმი თუ ცხოვრობდა ჩვენს პანია ქვეყანაში, ვერ წარმოვიდგენდი!..“

...დემეტრემ საკუთარ თავთან ლაპარაკი მიატოვა და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, თავისი საქციელით „გახარებულ“ ბიჭებს ერთი კიდევ გადაავლო თვალი და „საჩუქრების“ მაღაზიაში შევიდა. ...ობოლას მინდორს რომ მიაღწია დემეტრემ, პირველი საათი მთავრდებოდა. აქეთ-იქით მინებდაბურული ავტობუსები „ჩამოჯარულიყვნენ“... „ჯიპებიც“ იდგნენ და კიდევ სხვა სპეცმანქანებიც... ხალხიც ასე თუ ისე მოსულიყვნენ, კიდევ მოდიოდნენ... მოდიოდნენ წკიპა იმედის შემყურნიც...

დემეტრე, სანამ ხალხს შეერეოდა, იქვე, ქარსაცავის ზოლის ერთ ჭადრის ხესთან შექურებულ გოგო-ბიჭებთან გაჩერდა. შავგვერდმა ახალგაზრდამ თვალი აქეთ იქცია, მერე თავისიანებს გამოეყო და პროფესორს ეახლა.

– ბატონო დემეტრე, თქვენც რევოლუციონერობთ? თუმცა, უნივერსიტეტში ისეთი ხმალომდებული იყავით, ცალი არ მოგექმნებოდათ! თქვენის წყალობით, ჩვენც გამოგვეცა იქაური „განათლება“... – ბიჭმა ხელი ჩამოართვა დემეტრეს.

– ყველა შეკრება-აქციაზე დავდივარ!.. დედა, ბოლომდობის მიხედავ, რომ ასეთ სიარულს აზრი არა აქვს! დაილა ხალხი ამდენი ტყუილებით და ბაქი-ბუქებით! საქმე, საქმე არ ჩანს! ლიდერი არ გვყავს, ყვერებიანი ლიდერი!.. პოზიცია სახელმწიფოა, მას კონსტიტუცია თავის ტანზე აქვს მორგებული და იმით გამოინებს, თორემ ეგვე ისეთივე მშობარაა, როგორც ჩვენ, უბრალო ხალხი!.. მოკლედ გეტყვი, „იარაღით“ ვარ მოსული! გამოწყევით, ხალხს ცოტადენ მოვშორდეთ, იქით დავილაპარაკოთ და, თუ ჭკუაში დაგიჯდებთ ჩემი განზრახვა, ერთად ვიმოქმედოთ. მოსულა?!

...დემეტრე და გოგო-ბიჭები უკან რომ დაბრუნდნენ, მიუღობს ხალხი შეყრილიყო ობოლას მინდორზე!.. ორატორები ერთმანეთს არ აცლიდნენ სათქმელს, ბაქი-ბუქობასა და გულზე ხელების ბრაგუნს მიჰქონდა იქაურობა!..

...ბრძოლის კონტურები გარკვეულია – ოპოზიციას „გაცხადებული“ პოზიცია აქვს, ხელისუფლებას რა უღვეს გულში, ღმერთმა უწყის!..

...ბოლო-ბოლო, თავმყერამ კულმინაციას მიაღწია – ორატორმა „სპას“ ამცნო, გავემართოთ ქალაქისკენ, წინ ჩამოვუდგეთ სამთავრობო შენობას და ხელისუფლებას ერთხელ კიდევ გავაგებინოთ, რომ ჩვენ ვართ ქვეყნის ბატონ-პატრონი და მმართველი და არა ისინი, ქუჩიდან მოსული ბიჭუნები!.. ქვეყანა ჩვენა ვართ!.. ჩვენ – ხალხი! ჩვენ – ხალხი!..

...უუუუოოოოუუუუ-ს გმინვამ მოიცვა იქაურობა.

...პოზიციაც შეიმშუშა.

– ხალხნო, ერთიანო საქართველო! აქცია მშვიდობიანია!.. იმედს ვიტოვებთ, ეს უგონო ხელისუფლება ახლა მაინც მოვა გონზე, ამდენ ხალხს ერთხელ მაინც სცემს პატივს და უსისხლოდ გადადგება! – ისევ დასჭექა ერთ-ერთმა ორატორმა...

...უუუოოოოუუუუ-მ ისევ გადაუარა ობოლას მინდვრის თავყრილობას!

...თავდადებულმა „მშვიდობიანის“ ხსენებაზე ირონიულად გაიღიმა და „იარაღი“ მომართა! ნამიც და ერთი აქეთ გავარდა, მეორე – იქეთ!.. სროლის ხმას დემეტრეს ყვირილიც დაედევნა – თავს ვუშველოთ, გავიქცეთ, გაგვიმეტეს, გვესვრიანო!..

მერე და მერე, ხალხში გაბნეული ნასტუდენტარებიც რომ ჩაერთნენ სროლაში, ისეთი ჭექა-ქუხილი ჩამოექცა ობოლას მინდვრის ირგვლივით, დედას ჩვილი გაუვარდებოდა ხელიდან!

...ბატონი დემეტრე წუთს არ უშვებდა – ხან იმ მხარეს ჩააგდებდა ვილაციის ფეხებქვეშ „ხალხს“, ხან მეორე მხარეს დააბათქუნებდა!..

...მსროლელი არ ჩანდა!.. გაოგნებამ ერთავე მხარე დააბნია – ოპოზიციაც და ხელისუფლებაც!..

...შობო თვალები დაუფართოვდა – ვინ სად ვარბოდა, ღმერთმა უწყოდა!..

...გაქცევ-გამოქცევასა და ალიახვებაში ხალხმა ერთმანეთი გადათქერა!..

...გაურკვეველობამ მმართველ გუნდსაც გადასახს ცივი წყალი, ამიტომაც იყო, ყვითელმა ავტობუსებმაც და „ჯიპოსნებმაც“ აიკრეს გულა-ნაბადი და ხალხის უკან მოცოცხეს!.. რატომ ვარბოდნენ, სად გარბოდნენ, ვისი და რისი ეშინოდათ, ამის მთქმელს ვინ მოიძევდა იმ თავდაყირაში!..

...აქციის ბოლო აკორდს ათიოდე წუთიც კი არ დასჭირვებია!.. კაცის ჭაჭანება არ ჩანდა არც აქეთ, არც იქით!..

...ხალხი!.. ვინ ხალხი, რა ხალხი!.. ხალხი არა, ისა!.. სადაა ხალხი!.. წარმოვიდგენიათ? ბრბოს ვინ ჩივა, ჩემი ყოფილი სტუდენტებიც კი გაიქცნენ! რა ალაღმა ჩამოუფრინათ! იმათ ხომ მაინც იცოდნენ, რომ ეს ნამდვილი იარაღი არ იყო! ვაი, სირცხვილო! – წარმოთქვა დემეტრემ ხმაშაღლა და ხელები ცას შეუყენა.

...გვიანი შემოდგომის ქვენა ნიავმა ერთი გავლა გაიარა და გოგირდის სუნით დამძიმებული ჰაერიც გაიყოლია.

...უკაცრიელ ობოლას მინდორზე ერთი წუთობა გიჟით იყურებოდა გიჟიმერელი, მერე იქით-იქით წავიდა და სახელდახლოდ გაკეთებულ, უორატორო ტრიბუნასთან გაჩერდა, ერთი კიდევ ამოიხვნეშა გულისძირობა, მერე თავის თავთან მარტოდმარტო დარჩენილ ობოლას მინდორს სინანულის თვალი მოავლო, თავი დააკანტურა და ისეთი გულისტიკილით ჩაილაპარაკა, ქვეშაფსიების და ბაიყუშების ქვეყანა ვართო, კინაღამ გათავდა კაცი!.. ■



● ხმას შენსას როგორ აჩნდა ის მხარე, ხმას, მე რომ ვგრძნობ და სულაც ვერ ვისმენ. იპარებო ნისლი – მითხარი, მეც მივაღწეე მზერა მთებისკენ და თვალს ახლა სხვა გზა არ უნდათ (დაიმახსოვრეს მზე და ჩრდილობიც)... ყველა არილი სულში ჩაბრუნდა თუ თითებს თრთოლვა აპყვა ჭრილობის – არ ვიცი. მაგრამ, ისე დაშვენდა იმ ხმას ის მხარე, ის გზა, ის მწვანე... მინდოდა ყოფნა ჩემთვის და... შენთან ნაღდი და ლალი სუნთქვა ვისწავლე...

● ამკრიფე ახლა, მიმსხვრეული ყინულის კედელს. მარცხენა პეშვში მომაგროვე და დამაფარე მერე მარჯვენა. ამოჩემებულს მილალატე რამდენჯერ... გენდე უფრო მეტჯერ და გაიძულე ღმერთთან დარჩენა. მიმქრალ ცისფერში მიაშველე სევდა ნამსხვრევებს ჩემსას და გლოვა სიზმარივით ცხადი გახადე – ისეთი რუხი (დღის ნათელზე ხშირად ვახსენებ), რომ ჩამოვფურცლო ბინდისფერი შავ-თეთრ ნახატებს და დარბეული ამკრიფე და შემაკონინე, განა ბოლოჯერ... კვლავ მოგენდე! აგერ რომ ზიხარ, ხომ არ გგონია, გაჩუმება დიდხანს მოგიწევს, ან, იქნებ ფიქრობ, რომ (ჩემ ფონზე) ანგელოზი ხარ... განა უარვყოფ? დასასრულიც სადღაც იწყება, ყველა რიტუალს მართებს მზე და მთვარის ნატეხი. ჩემი პორტრეტი არის სადა – შეშლილს სიცხე მაქვს, წამოდგომას და გამოხედვას მაინც ვახერხებ. თენდება... იქნებ ღამდება და ნაბიჯების ხმამ თუ მარტოობამ მომიყვანა ამ ცივ სარკმელთან. ისე ვარ ახლა (დამიჯერებ?), ვერც ფრთებს შევისხამ, გაქვავება ალბათ ეს თუ... უფრო – დაღვენთვა! როგორ ვარ? არა, „ცუდად ყოფნა“ ამას არ ჰქვია, ახლა ის დროა, უსათუოდ უნდა მოგძებნო. მალე ქუჩებში შემოდგომის ფოთლებს დაგვიან, არ გამომივა ხეტილი უამფოთლებოდ! და მერე რა, თუ იყო ცეცხლი და თბილი ფერფლიც, მე ხომ აღვსდექი მაინც მხოლოდ ჩემი შიშიდან. კორიანტელი სიტყვების და... ბოლომდე ვერ ვთქვი! განა სხვა? მხოლოდ საკუთარი მზერა მიშლიდა! დიდხანია, ველარ ვგუობ უკვე ბალავარს მარტოდყოფნის და ჩაგითრევედი, თუ არ მიწყენდი, რადგან უშენოდ მარტოობის ფსკერზეც არა ვარ, შენ გეყრდნობოდი, შენებას როს ციდან ვიწყებდი! ხელი ჩამჭიდე. იქნებ, ქარი მაინც გავდენოთ, სანამ ჩვენს ღიმილს ჯერ! ნამსხვრევებს მერე ნახვეტავს, ვინმე ხომ იტყვის, გადაფხეკილ ფრესკებს გავდენო, მოიტანესო უცნაური სასონარკვეთა! ვინ გვიმეგობრებს ნეტა... როგორ მიამიტი ხარ, ხელი მომეცი, ერთი ვარ და ზრუნვას ვუნდები. როცა ლექსების სივრცეებით „მე“-დან მიდიხარ, ხშირად (ასევე წარმატებით!) „სხვა“-ში ბრუნდები და ორი შენ და ერთიც მე და (ერთად სამია!) ეშმაკმა უწყის (აბა, ღმერთი ისე შორს არის!), მოეკითხება რა რა დოზით ერთ ადამიანს, იყოს მეთევზე... ან – მეზღაპრე... თუნდაც – მგოსანი... ხელი მომეცი, შეგაგებო უნდა ნაპირი ცის, სადაც მთვარე ბევრჯერ ჩვენი ხათრით ეკიდა და ვერ ვუთხარით, რომ სიცოცხლეს აღარ ვაპირებთ, რომ გადმოვედით ნესტიანი კედლის ფრესკიდან!

შეხედე, როგორ იწრიტება მუავე სისხლისგან ალუბალი და ბინდისფერში ნელა ვფხიზლდებით. ლექსი თუ არა, მენამული მაინც გვიხსნის და... დავრჩებით, მაგრამ მეტი ცრემლით... უფრო ხისტები. მერე რა, თუკი მოცახცახე მაჯას მისდგენ და ისე დასერეს, თითქოს ბედის ვარსკვლავს ხატავდნენ, თვითონ უფალიც (არაერთხელ, ვიცი!) გვისმენდა, სწორედ ამიტომ (არაერთხელ!), კიდევ გადავდეთ ეს რიტუალი! დღეს რომელიც უნდა აღსრულდეს, ახელილ თვალს გზა მიეცი, ცაში გახიზნე და მენდე, მე რომ გადარჩენა შენი არ მსურდეს, ამ ფორიაქში სიყვარულს ხომ აღარ აგისხნი! შეხედე, უკვე დაინრიტა... გვაქვს ახლა მუავე სისხლი, ცოტა მზე, უფრო მეტი – მთვარის ნატეხი, არ შეგეშინდეს, გამომყვი! ეს მე ვაშავებ თორემ... შენ ახლა უფლისაკენ ნაბიჯს ახერხებ!

● მქრქალი ღრუბლიდან გამონურულ შუქსაც ვიკმარებ. გამტყვი – ხელები შეეჩვია ცივ და გლუვ კედლებს და ეს დუმილი გადმომედო. ბზარებიც. ახლა ვერმომხრობილი თ ე თ რ ი ს შუქ-ჩრდილს თუ დავემჩნევი. სიმარტოვეში სუფევ, მზეო. არის სავეს სიცარიელეც აქვე და ფერში მაგრძნობინებს ნახნაგოვან გარდაცვალებას. გეტყვი – მგონია, ვარ სამყარო (ნაწილი მაინც)... მღიმილი შიში ხშირად ჩნდება ძალიან ახლოს. მზერას მართმევს ფიქრი ნამხრევი. და შემცივნიული „შინისაკენ“ გზას მოვნიშნავ ნისლში გახვეულს. ჯერ კი, შრიალით სანამ ბზარები სულის ფსკერისკენ ჩაპყვებიან მტრედისფერ ღიობს, შეწყრომას მკაცრი განაჩენი გადამიფარე. გეტყვი – ვით ტალღა, ზღვის სიღურჯეს გამოქცეული, გახლოვდები! სანაპიროს სევდა-ხიბლი გაქვს...

● ამ გზაზე, მახსოვს, ევკალიპტის სურნელი იდგა, ვინრო ხეივანს ფერიც აღარ შემორჩა. ქარში მოვდივარ, თუმცა, ველარ ვხვდები, რა უნდა გითხრა, რომ დაგარწმუნო – ვერმომხრობილ ანწყომიც დარჩი! ეს უღიმღამო სიხარული ვერ გაატოკებს სულის სიღრმეში ფრაგმენტებად ჩაშლილ ხვაშიადს. უარარაო აღარ ითქმის ჩემზე... მარტოკაც არა ვარ, რადგან მთელი ხიბლი ამ გრძელ გზაშია. ვარ გზაზე შენკენ... პირმცინარი მთვარე გამეფდა ღამის ცაზე და ვარსკვლავთი ღიმილი დამყურებს. საცაა თრთოლვით შევყოვნდები ნაცნობ კარებთან, ავილენები და საკეტიც გაიჩხაკუნებს. შემოვალ! გვშველის ალკოჰოლი. ღია სარკმელთან ვიდგებით, სანამ დაგვიწინლავს მზერას აისი. გეტყვი – შეხედე, საოცარი დილა გათენდა...




მანონ გულმსპირია

როგორ უსაზღვროდ მომენატრე... ერთიც დამისხი! შენ კი – ღრუბლები, ნახე, როგორ ნახვეტა ქარმა, დასანანია, ველარ უნდა ველირსოთ წვიმას... ვიცოცხლებ! სხვა გზა, ღვთის ნებით და შენ გამო, არ მაქვს. მოვხურავ სარკმელს. გარიჟრაჟზე აქ ჯერაც ცივა! შენი ღიმილი (ეს ღიმილი თუკი ვიცოდე, გულს უცნაური სისასტიკით რატომ მისერავს)... მერე – „როგორ ხარ?“ – რამდენჯერაც შეგეკითხები, შენ იმდენჯერვე მიპასუხებ, – ვარო, ისე, რა... პირისპირ ვდგავართ და თვალბეჭდში ახლა სხივი კრთის, უჩინარ ფრთებს რომ შემასხამს და ჟრჟოლად ამიტანს. დუმილის მიზეზს (რა თქმა უნდა, შესტსაც!) მიგიხვდი – ვერდანიყარების ძველ რიტუალს იწყებ თავიდან! როგორმე, უნდა კვლავ მოვნიშნოთ ერთადყოფნის დრო, გავაზიაროთ ჩვენი ცხადი, სიზმრად ნანახი. უცნაურ ბინდში უეცარმა ელვამ მოგვისწრო, მინავლებული ცეცხლისაგან კოცონს ვანახლებთ! ვხვდები, სხვა არც რა, სიჩუმეა ახლა საჭირო... მოკვეთილ მუხლებს ვერდაძლეულ ნაბიჯს ვაძალბებ. ამ დაუდეგარ, ვერმომხრობილ გულში გაჩნდი, რომ დროდადრო მოდგე და მოქექო თბილი ნაცარი. ეს რიტუალი არ იქნება მხოლოდ „საჩვენო“, თუმცა, განზრახვა გულწრფელია, მაინც ბოროტი! ახლა ცხოვრების სხვა ხარისხი უნდა ვაჩვენოთ, დავაგემოვნოთ სიმწარე და მიგყვით ბოლომდე! ნაშლილი სახე – გაცრეცილი... სულაც მიტკალი – ალბათ ბოლოჯერ აირეკლავს ღიმილს გადამდებს. როგორ ვერ უძლებ ამ ყველაფერს – მერე მითხარი, ერთად უარყოთ სიყვარული! მხოლოდ, მანამდე გინდა? წვიმებზე მომიყვი. ჩამოხვეწილებს ცახცახით როგორ ეგებები ღია ფანჯრებთან... ისიც მითხარი, დღის ბოლო წვეთს როგორ აცილებ... ისიც, რომ ერთი უცნაური ფიქრი დაგჩემდა... თქვი – დღემდე აღარ ემართლები მინას გადამილს და უმოწყალოდ გამეტებულს ფეხქვეშ სათელად... მაგრამ, რატომღაც, კვლავ ცა ქარბობს მძიმე მადანში... სიცივემ ყველა საცნაური ბგერა გადენა. მოვედი! მომყვა ევკალიპტის შუმი სურნელი... გამომინოდე უჩვეულოდ თბილი მარჯვენა და, ღმერთო ჩემო, ისევ ის ხარ – სულის მკურნალი... ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა შენთან დარჩენა!

თავს ძალა დავატანე, ყურადღება მოვიკრიბე, ვცადე დამევიწყებინა ყველა გზა, რომელიც მინახავს, ყველა ქალაქი, ყველა ქუჩა, ყველა ადამიანი და ყველა საგანი. მე ამ სამყაროში მიტოვებული ვარ და მას ისე შევიცნობ, თითქოს პირველად ვხედავ. ვლამობ, სამყაროს ამ უცნაურობას ჩვენდღე, რაც ხანდახან გამომდის კიდევ. თითქოს სპექტაკლს უყურებ, შორიდან უყურებ, რაღაც მანძილიდან, თავად არ მონანილებ; უკვე აქტიორიც აღარ ხარ, არც სტატისტი, ჩვეულებრივ კი მიჩნეულია, რომ ჩვენ ყველა აქტიორები და სტატისტიები ვართ. ირგვლივ ხალხი კი გვახვევია, მაგრამ არ გვახვევია. რაც ზოგჯერ ჩემს სევდას აღრმავებს, ხშირად პირიქითაც, აძევებს. თანდათან ეს დამკვირვებლობას ამახვილებს, რადგან ყოველთვის გვგონია, რომ ეს მსოფლიო მექანიზმი, ეს ადამიანები, ეს ქუჩები, ეს ფუსფუსი მახინჯია ან მშვენიერი, კარგია ან ცუდი, სასიამოვნოა ან უსიამოვნო, სახიფათოა ან საიმედო. ზოგჯერ გამომდის და გარკვეულ მორალურ ნეიტრალიტეტს ვაღწევ. თუ ეს თეტიკურ ნეიტრალიტეტს. „ისინი“ აღარ არიან ჩემი მსგავსნი. ვცდილობდი, არ მივხვედრილიყავი იმ სიტყვების აზრს, რომლებსაც ადამიანები რესტორანში წარმოთქვამდნენ. ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვეულებრივი ხმაური იყო ან უცხო ენაზე გაჟღერებული ზგერები. ყველაფერი რაღაც სიცარიელის ილუზიის მსგავს ჩვენებად იქცა. ვიღაცები პირველად ან უკანასკნელად დადიან ქუჩაში, რაღაც ქუჩის მსგავს ქუჩაში, რაღაც სივრცის მსგავს სივრცეში. ნამდვილად კი მხოლოდ მე ვარსებობ. ყველა დანარჩენი ბუნდოვანი და გაურკვეველია, უბრალოდ არის „რაღაც ასეთი“. და ისე იმ მიუწვდომელი კედლის წინ ვდგავარ. დანარჩენები სად არიან? თვითონ სად ვიმყოფები? დაე, თეფშები, დანები, ჩანგლები, ავტობუსები... ფეხითმავალიც საგნებად იქცნენ ან რაღაც ისეთად, კაცმა რომ არ იცის, როგორ მოექცეს, ისიც კი უცნობია, რისთვის გამოიყენება! მხოლოდ მე ვარსებობ. სხვები მიდიოდნენ და ქრებოდნენ, მე კი მარტო ვიყავი ამ მორევში, რომელიც არაფრით არ შეიძლება, რეალური ყოფილიყო. რეალობა რაღაც ცარიელი სივრცე აღმოჩნდა, რომელსაც მე ვავსებდი. ჩემი „მე“ ეიფორიულად გაიბერა, რაც მეტად მაფიქრებინებდა, რომ „ყველაფერი ეს“ თითქმის არ არსებობდა, ამასთან, მიმტკიცდებოდა რწმენა, რომ მე ვარსებობდი. უნდა შემეჩერებინა ეს ეიფორია, არ უნდა დამეგრია, უნდა შემეჩერებინა, თორემ იმ ზომამდე გავიბერებოდი, მთელ სივრცეს დავიკავებდი, რომელსაც ეგზისტენციალურ სივრცეს უწოდებენ და ისე უჩინარი, მიუწვდომელი კედლების პირისპირ აღმოვჩნდებოდი. არ ვიცი, ზუსტად გამოვხატე თუ არა ის, რაც მინდოდა მეტყვა. ამ მდგომარეობას ვერ გამოხატავ. შეიძლება სხვა რამის თქმაც მინდოდა, ან იქნებ ესეც არის ის სხვა რამ. რაღაც გონების მსგავსი მიკარნახებს, რომ შეუძლებელია მხოლოდ მე — ერთი ვარსებობდე. სხვა „მეებიც“ იყვნენ, ისეთივენი, როგორც მე ვარ, დაჟინებით მებუტბუტებოდა გონება, რომლის ჩაჩუმებასაც ვცდილობდი, მაგრამ, ვიდრე ვგრძნობ, რომ მხოლოდ მე ვარ, თითქოს საკუთარი თავის შემქმნელი ვარ, საკუთარი თავის ღმერთი, მოჩვენებათა მბრძანებელი, უსაფრთხოვდ ვგრძნობ თავს. ჩვეულებრივ კი, მარტოობაში, მარტო არა ვართ. ყველაფერი ჩვენთან არის. იზოლაციაში ვართ, მაგრამ იზოლაცია ნამდვილი არ არის, ეს კოსმიური მარტოობა არ არის, ეს სხვა მარტოობაა, პატარა, სოციალური მარტოობა. სრულ მარტოობაში სხვა არაფერი არსებობს. როცა მოგონებებით, სახეებით იტანჯებით, სხვა ადამიანები მოსვენებას არ გაძლევენ, თავს გაბეზრებენ. როცა მარტოობა მოსაწყენი და აუტანელი ხდება, მაშინ სხვებთან მიდიხართ, ეძახით, რაღაც გჭირდებათ მათგან ან გაურბიხართ, რადგან მათი არსებობისა გჯერათ. სხვა ადამიანების გვეშინია, და მათთან ურთიერთობას ისე ვეჩქარით, თითქოს მათი განიარაღება გვსურს. მაგრამ მე ღმერთი

არა ვარ, ეს წარმავალი მოჩვენებები, ყველა ეს ხილული ხილულობა, მე არ მომიგონია, ვიღაცამ შემომთავაზა, თავს მომახვია. ის ვიღაცა გამომგონებელი. მე კი თავის არიდება ვერ შევძელი, თუმცა ვეცადე განზე დავრჩენილიყავი, მაყურებლის როლში, თამაშში ჩაურევლად, მაგრამ იძულებული გავხდი, ამ თამაშისთვის ანგარიში გამეწია.

*საფრანგეთის აკადემიის წევრი, მრავალი პრემიის ლაურეატი, 20-ე საუკუნის თეატრის რეფორმატორი, აბსურდის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი /სემუელ ბეკეტთან და არტურ ადამოვთან ერთად/, რუმინული წარმოშობის ფრანგი მწერალი ეჟენ იონესკო /1909-1994/ ნიჭიერი პროზაიკოსი და პუბლიცისტიც იყო. რომანი „განდევილი“ მისი ერთადერთი ცდაა, შეექმნა რომან-აბსურდის ვრცელი ტილო, რომელშიც სინამდვილის ფილოსოფიურ კვლევას აგრძელებს; ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც კაცობრიობას მუდამ აღელვებს: როგორ თანაარსებობს ადამიანი და ბრბო? როგორ იბადება აგრესია და მასობრივი ფსიქოზი? არსებობს კი წინააღმდეგობის მექანიზმი? შეიძლება, საყოველთაო კატასტროფები ადამიანმა თავიდან აიცილოს? შეიძლება იმ ეგზისტენციალური ნაღველის გადაღახვა, ყველა მოაზროვნე პიროვნებას რომ აწუხებს? იონესკო მთელი ცხოვრება ცდილობდა აბსურდული ყოფის მიზეზებისა და მისი არსის შეცნობას.*



ეჟენ იონესკო  
**გ ა ნ დ ე ვ ბ ი ლ ი**  
ნანყვეტი რომანიდან

თუმცა, ჯერ მთლიანად არ ვიყავი ჩათრეული, შებოჭილი ამ არსებობით, ამ სამყაროთი, და დროდადრო რამდენიმე წამით ვაერთაც გამოვდიოდი. ხმები ისე გაურკვეველი ბურტყუნები იყო, ადამიანები კი — მოჩვენებები. მერე ყველაფერი ჩამოინგრა. ნორმალურმა უცბად თავისი სახე დაიბრუნა, მე კი შიგნით აღმოვჩნდი. საგნები იგივე გახდა, რაც არიან. ვცადე ისე, იქითა მხარეს დავბრუნებოდი, იქ, სადაც ამ ყველაფერს სახელი არა აქვს. ძალიან დაკვირვებით, ძალიან ყურადღებით დავაჩერდი წითელი ღვინის ლაქას სუფრაზე. ადრეც წარმატებით ჩამიტარებია ეს ცდა: რაღაცას უყურებ, უყურებ და მერე ვეღარ იგებ, რა არის ეს. ვიდრე ღვინის ლაქა ღვინის ლაქა აღარ იქნება, და არ იქცევა „არ ვიცი რად“, რაღაც სხვად, სუფრაც უკვე აღარ იქნება სუფრა, აღარც თეთრი სივრცე და აღარც ადგილი ლაქისთვის. იქნებ შევძლო და ამ სივრცის შიგნიდან, თუნდაც ცოტაოდენი, რაღაც სხვა ამოვიღო, იმ მიღმიერი მხარის გაურკვეველი სივრცის მსგავსი. მერე კი თავადვე დავაკვირდები მიღმიერს. მაგრამ აზრებს თავს ვეღარ ვუყრი. შეიძლება ოფიციალტი ქალის გამოც, ჩემ გვედით ჩავლისას რომ მომძახება: „ბიფშტექს აღარ ჭამთ?“ როცა მიღმა სამყაროში მტკიცედ შევდივარ, ყველაფერი თან მიმაქვს, თვით მოსმენილი წინადადებებიც კი, სულელური თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს: ადამიანების შესტიკულა-ლაცია, რომელიც მაშინვე რაღაც სხვად იქცევა, შესტიკულაციას რომ ჰგავს, ოღონდ შესტიკულაცია აღარ არის, არის რაღაც სხვა. ხშირად ჩემთვის საკმარისი იყო, დიდხანს და სწრაფად გამემიორებიანა სიტყვა „ცხენი“ ან „მაგიდა“, ვიდრე ცნება თავისი შინაარსისგან არ გათავისუფლდებოდა, ვიდრე მნიშვნელობა არ

გაქრებოდა, მაგრამ ამ საღამოს არაფერი გამოდიოდა. „როგორ არა, — ვუპასუხე ოფიციალტი, — შეგიძლიათ დესერტიც მომიტანოთ, მერე ყავა. არა, ყავა დესერტთან ერთად მომიტანეთ“. ხმები ისე უხეში გახდა და მკვეთრი, არადა, უკვე გაურკვეველ ბურტყუნში იყო ჩანთქმული. დაიხ, ყველაფერი თავის ადგილზე იყო, ჭერზე ნათურები არ ირხეოდა, არც მინისძვრის სხვა რამ ნიშანი ჩანდა. ამგვარი ცდების დასაწყისში, როცა თხოვნივითი თუ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, მიღმიერი სწრაფად იწყებოდა. ყველაზე ხშირად სხვიერი ჰალო! წარმოიქმნებოდა, და როცა მიღმიერი უკან იხევდა, მე დიდხანს, რამდენიმე დღე, მასსოვდა სინათლით სავსე სამყარო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო, არის და შემიძლია ისე ვიპოვო. გახარებულს, დღეების, შეიძლება კვირების განმავლობაშიც მასსოვდა ეს. ახლა ამ მდგომარეობას დიდი ჯაფით და უფრო იშვიათად ვაღწევ, და როცა იგი ქრება, მერყეობა, გულგატეხილობა, უიმედობა მიპყრობს. დარწმუნებულიც აღარა ვარ, რომ ეს ყველაფერი სინამდვილე იყო. ყველაფერმა ისე თავისი იდენტურობა შეიძინა, ყველა საგანს შეიძლება ისე თავისი სახელი ეწოდოს. სადილი დავამთავრე, ყავა დავლიე. ახლა რა ვაკეთო? სიბრძნე გვასწავლის, იმ პატარა-პატარა ნერვიანებით გავიხა-

როთ, რომლითაც ცხოვრება გვაჯილდოებს. ამ პრინციპის გამოყენებით დიდხანს ვიცხოვრე. მერე ვისწავლე, წრეგადასულ სევდას აღარ ავყოლოდი, იმ წერილმანი თუ მსხვილმანი საგნების გარეშეც იოლად გავსულიყავი, რომელსაც ცხოვრება გვთავაზობს. მაგრამ ყოველდღიურობის ატანა ადვილი არ არის, თუმცა უსაქმობა მაინც სჯობია შრომას. ძალისხმევასა და მოწყენილობას შორის არჩევანი თუ იქნებოდა, მოწყენილობას ავირჩევდი. ის უფრო ესადაგება ჩემს სულსა და გულს. ამ საღამოს უფრო გამიძინდა რესტორნიდან ნასვლა. კონიაკი შევუკვეთე. ყველა მაგიდა დაცარიელდა, ჩემი მაგიდის გარდა, კიდევ ერთი მაგიდა იყო დაკავებული, ალბათ შეყვარებული წყვილი იყო, მილიონობით ამგვარი წყვილის მსგავსი. უნდა შევგუებოდი და ნავსულიყავი. ანგარიში უკვე გადავიხადე. საკიდიდან ქული ავიღე. დავემშვიდობე ოფიციალტი, რომელმაც, მიუხედავად მეგობრული განწყობისა, შევებით ამოისუნთქა, როცა დამინახა მივდიოდი. ალბათ კინოში უნდა ნასვლა ან მეგობარ კაცთან ერთად ტელევიზორთან ჯდომა და ყურება. ვიქარავებ მეც ტელევიზორს, საღამოები რომ მოკლე გახდეს და ჩაძინებაშიც დამეხმაროს. „ისე დავიღალე, ბატონო, სახლში რომ მივალ, მაშინვე დავიძინებ...“, მითხრა ოფიციალტი, თუმცა სრულიად მხნედ გამოიყურებოდა. საეჭვოა, მხოლოდ დასაძინებლად დანოლილიყო. ივონი მქვიაო, დამიბარა. სალაპრაკო დრო არა მაქვს, მაგრამ არა უშავს, ხვალ, ზეგ გამოინახებაო. რესტორნიდან გამოვედი, მარჯვნივ გავუხვიე, კარგად განათებულ პროსპექტზე ისე ხალხმრავლობა იყო. თუმცა იმდენიც არა, რამდენიც ადრე. კუთხეში მარჯვნივ შევუხვიე. პატარა ქუჩაზე აღმოვჩნდი, სადაც გამვლელი იშვიათად ჩანდა. ყველა არ დაწოლილა დასაძინებლად, ბევრ ფანჯარაში სინათლე ისე ენათო. ჩემი სახლის სადარბაზოსთან მივედი. შევედი. კონსიერჟი ქალის ბინის წინ გავიარე. მეორე სართულზე ასვლა დავინყე თუ არა, მისი ბინის კარიც გაიღო, წამით თვითონაც გამოჩნდა. მშვიდობიანი ღამე ვუსურვე. არც მიპასუხა, ისე სწრაფად შეიმაღა ოთახში. ფეხის ქირას მივეცემ, საჩუქრებსაც მივართმევ უფრო ღიმილიანი სახე რომ გაუხდეს, გადავწყვიტე და ქული თავზე ჩამოვიფხატე. სახეები ჩემდამი უნდობლობას რომ გამოხატავენ, არ მომწონს, მით უმეტეს მდუმარე უნდობლობას. სამსახურში ერთმანეთი მაინცადამაინც არ გვიყვარდა, ესეც პატრონის ბრალი იყო, რომელიც სულ უკმაყოფილო ბრძანდებოდა, ხან ერთ თანამშრომელს აქებდა, ხან მეორეს, ხშირად ქალების გამოც, რომლებიც გვტოვებდნენ, ერთიდან მეორესთან მიდიოდნენ, რის გამოც ჩვენი ცხოვრება, გამალიზიანებულ ფონზე, წერილმან ეჭვიანობაში გადიოდა, მაგრამ ეს მაინც ცხოვრება იყო. როგორი ცხოვრება? ცხოვრება პატარა-პატარა სიურპრიზებით, უმნიშვნელო ეპიზოდებით, შერიგებებით. მესამე სართულზე ავედი, მარჯვენა მხარის ბინის კარს იქით ძაღლმა დაიყვანა. მეოთხე სართულზე ამავე კიბის საფეხურებს ავუყევი, ჩემს ბინამდე მივედი, კარი გავაღე, შევედი და ზურგს უკან მოვიკეტე. სინათლის ჩამრთვლის ღილაკს დავანექი, ავანთე და საკიდე ქული ჩამოვიკიდე. სასტუმრო ოთახშიც ავანთე სინათლე. ფარდები გადავნიეტახტე წამოვნიექი. მერე ავედი. სავარძელში ჩავჯექი. „სახლში ვარ და კარგად ვგრძნობ თავს“. მართლა კარგად? კი, მაინც კარგია. არსებობს ქვეყნები, სადაც ყველაფერს უნდა ელოდო, მაგალითად, შეიძლება დღის ნებისმიერ მონაკვეთში პოლიცია შემოგივარდეს. მე კი ქურდებისაც არ მეშინია. არც მდიდრულ რაიონში ვცხოვრობ და არც მდიდრულ ბინაში, მაგრამ საჭიროა რაღაც პატარა საქმე მაინც გავაკეთო. მაგალითად, უკეთ ვავეცნო უბანს, შევისწავლო სახლი, იქნებ

1 ოპტიკური მოვლენა — თეთრი ან ცისარტყელასებრი წრეები. მზის, მთვარის გარშემო შუქური რგოლი (მთარგმ).

ვინმესთან გავაბა ურთიერთობა? ამაში მაინცადამაინც დარწმუნებული არ ვარ. ადამიანებმა შეიძლება თქვენი ჩვეულებები დაარღვიონ, თანაც, აბა რაზე უნდა ველაპარაკო? ისეთი არაფერი ვიცი, რაც მათთვის საინტერესო იქნება. რასაც სხვები ამბობენ, მე საერთოდ არ მაინტერესებს. სხვა ადამიანებთან ყოფნა მუდამ მიჭირდა, ჩემსა და მათ შორის ყოველთვის ურთიერი კედელი იყო აღმართული, მაგრამ ყოველთვის არა. ბოლოს და ბოლოს, ხუთი-ექვსი ნაცნობი სახე საკმარისია. ჩემი ახალი ცხოვრება უახლოეს დღეებში მოწესრიგდება. აზრად მომივიდა ცოტა კონიაკი კიდევ დამეღია, მაგრამ გამახსენდა, რაც ხვალ დილით მელოდა: გულისრევა, გამოშრალი ხახა. ვნახოთ, როგორ აენყობა საქმე, ვუთხარი საკუთარ თავს. ღმერთმა იცოდეს, მაგრამ მაინც საინტერესოა. ცხოვრება საოცრებაა, შეიძლება უამრავი მოულოდნელი რამ მოხდეს. დიდი არა, პატარა-პატარა. დიდი თავგადასავლები არ მიყვარს, არასასიამოვნოა, დამღლელობა და საბოლოოდ სევდის გარდა არაფერს იძლევა.

როცა კვარტალს და ჩემი ბინის ყველა მოფარებულ კუთხე-კუნჭულს უკეთ გავეცნობი, მხოლოდ მაშინ შევძლებ შევამჩნიო პატარა-პატარა ცვლილებები, სინათლის პატარა-პატარა მეტამორფოზები. ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობ ჩემს ავეჯს, რა ფერისაა და რამდენი ყვავილია მათზე. ავეჯი და იქით წავედი, სადაც ჩემი ოცნებები წიგნი დევს. ყველა ნაკითხული მაქვს. ზოგიერთი დიდი ხანია ხელში აღარ ამიღია, მაგრამ ხშირად პირველივე გვერდიდან მახსენდება ყველაფერი, რაც შემდეგ ხდება. დროდადრო მათი გადაკითხვა მაინც ძალიან მიყვარდა. აღმოაჩენ, რომ მესხიერებამ ბევრი რამ არ შემოინახა. ესა თუ ის მოვლენა ან ესა თუ ის სცენა. საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყვიტე რომელი წიგნი ამელო. სასტუმრო ოთახში სინათლე ჩავაქრე, დერეფანში გავედი, სადაც შუქი უკვე ერთი, სანოლი ოთახისკენ გავემართე, კარი გავაღე, ღამის ლამპა ავანთე, დერეფანში გამოვრთე და გახდა დავინყე.

„ცხოვრებაში პირველად ვიძინებ ამ ოთახში და ამ დიდ სანოლი“ გადაწყვიტე ეს პირველი შეხების მომენტი დამემახსოვრებინა. ახალი ერა ხომ არ იწყება? მალევიძარა უკვე საჭირო აღარ არის, ვთქვი ჩემთვის. იმათ, კანტორაში, ალბათ მაინც შურთ ჩემი. სინათლე ჩავაქრე. ძილში გაქცევა მიყვარს. ხშირად ვფიქრობ ამ წინადადებაზე, რომლის აზრით კარგად არ მესმის: რისგან გაქცევა? მე ხომ მუდამ მე ვარ, თუნდაც მძინარე. მხოლოდ ის მესიზმრება, რაც ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება. ნეიტრალური, ნაცრისფერი სიზმრები, როგორც მგონია, ვერ გამოხატავენ ვერც სურვილებს და ვერც შიშს. როგორც ჩანს, ჩემი სურვილები ძალიან ღრმად არის ჩაფლული. სხვათა დახმარებით მათში გარკვევა შეიძლება. ძალიან მაინტერესებს, რა და როგორ ხდება. მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ ვნახე ცისფერი სიზმარი. იმ სიზმრებში დილით რომ აღარ გახსოვთ, ხელმოსაჭიდი არაფერია, განვიდლი ხელი მხოლოდ წარმავალ ლანდებს ეპოტინება,

დღის სინათლეზე რომ ქრება. და ჩვენი ცხოვრებაც ნაფლეთებად აქეთ-იქით მიცოცავს. რომ არ ენამო, უნდა შეურიგდე. განუწყვეტელი ვუჩიჩინებ საკუთარ თავს, რომ ბედთან შერიგება საჭირო... უფრო ხშირად ნაწილობრივი დათმობა ასე თუ ისე გამომდის. მაგრამ ეს არ არის ნამდვილი, ღრმა შეგუება. დროდადრო მრისხანება იფეთქებს ხოლმე. ჯერ რაღაც ბუნდოვანი უკმაყოფილება ჩნდება, რომელიც ჩემში იზრდება, მიპყრობს და მახრჩობს. არა, არასოდეს დავმშვიდდები, ვერასოდეს დავივინყებ, ვერასოდეს გადავიხედავ ამ კედლის იქით, რომელიც ცამდე აღმართულია. როგორ შევურიგდე უცოდინარობას, რომელშიც ჩაძირულები ვართ, მიუხედავად მეცნიერებისა, მიუხედავად თეოლოგიისა, მიუხედავად სიბრძნისა? დაბადებიდანვე ვერაფერი გავიგე და ვიცი, ვერც ვერაფერს გავიგებ. ეს წარმოსახვის მიწები გახლავთ, რომელთა გადალახვაც მსურს. წარმოსახვითი კედლების აფეთქებაც მინდა. ისინი არასოდეს დაიქცვიან და ისეთივე უცოდინარი მოკვდები, როგორიც დავიბადე. ამ მიუწვდომელს როგორ ვერ უნდა მივწვდეთ. არადა, ამ კედლებს შიგნით რა ადვილად შეუძლია იცხოვროს ყველა ამ ტექნიკოსმა, პოლიტიკოსმა, სწავლულმა, გლეხმა, ხელოსანმა, ღარიბმა და მდიდარმა. სიამაყე აქ არაფერ შუაშია. არ მინდა სხვებზე მეტი ვიყო, მინდა ვიყო, რაც ყველამ იცის. „ეს წარმოუდგენელია. ასე რომ, ნუ წარმოვიდგენთ წარმოუდგენელს“, წერს ერთი ფილოსოფოსი, ეს სიტყვები ამ რამდენიმე ხნის წინათ, წიგნის მალაზიაში ფეხზე მდგარმა, მისი წიგნის დაუჭრელ ორ გვერდს შორის მოვახერხე და ამოვიკითხე. სამყარო პირველად რომ გამაჰკვირვა, აქამდე გონს ვერ მოვსულვარ, იმ გაკვირვებისა და კითხვების გამო, რომლებზე პასუხის გაგებაც შეუძლებელია. გვეუბნებიან, ამ გაკვირვებისგან უნდა გავთავისუფლდე და უფრო შორს წავიდე. მაგრამ, მაშინ რომელ საფუძველზე ავაგოთ ჩვენი ცოდნა და მორალი? რაც უნდა იყოს, ეს საფუძველი უცოდინარობა არ შეიძლება იყოს, ჩვენ კი მხოლოდ უცოდინარობა გვაქვს საფუძვლად, ამოსავალ წერტილად – სიცარიელე. როგორ უნდა აშენდეს რაღაც არაფერზე? გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება კი გვაქვს. ვიცი, რომ შემოძლია სივრცეში გადავაადგილდე. ვიცი, რომ შემოძლია რესტორანში წავიდე. ვიცი, რომ ამისთვის არსებობს რესტორნები. ვიცი, რომ ყველანაირი მანქანა-იარაღი არსებობს. ვიცი, რომ არსებობს ტექნიკა. მაინც ძალზე უცნაურად მეჩვენება, რომ არსებობს ტექნიკა, რომელიც, უდავოდ, არაფერზე დგას. ეს კიდევ ერთი დონეა ჩემი გაცოცხებისა. ამის უფლებას ვინ გვაძლევს, ან რატომ მოგვეცა ამის უფლება, როგორ ხდება ეს? და კიდევ და კიდევ, ერთხელ და სამუდამოდ, შეზღუდული ცოდნა — ცოდნა არ არის. მთელი სამყარო და ყველა სულიერი მართულია მცირე სიმძლავრის ინსტიტუტებით, რეფლექსებით, რომლებიც ჩვენშია ჩადებული. ვიღაც სხვა გემართავს, თვითონ ჩვენს თავს ვერ ვმართავთ. მე მგონია, რომ ჩემთვის ვჭამ. არადა, თურმე



თვითგადარჩენის მიზნით, ინსტიტუტურად ვჭამ. ასე მგონია, მიყვარს და სასიყვარულო თამაშს საკუთარი თავის სიამოვნებისთვის ვნებდები, არადა, სინამდვილეში, თურმე, ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად ვემორჩილები კანონებს, რომლებიც ჩემზე მბრძანებლობენ. „კანონები“ — სხვა სიტყვაა ვერ მომიძებნია იმ საგნების, იმ პრინციპების აღსანიშნავად, რომლებიც მმართავენ. სოციალურ ჩარჩოში ვართ ჩაკეტილი, ეს კიდევ არაფერია, ბიოლოგიურშიც, უფრო მეტიც — კოსმიურში. და ყველა ის სიტყვა, რომლებიც ახლა წარმოვთქვი, ჩემშია ჩაჭედებული და იმაზე ადრე გაიფლავა, ვიდრე ვიტყვოდი. მაგრამ ლაპარაკისა და ფიქრის ასეთი საშუალება, მე ასე ვამბობ, რეალურობას არ მოიცავს, რადგან კარგად არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვები, და კარგად არც ის ვიცი, რა არის რეალობა. საერთოდ, წარმოდგენა არა მაქვს ამაზე, არც ის ვიცი, რეალობა რამეს გამოხატავს თუ არა და არც ის, ამის თქმა საერთოდ ღირდა თუ არა.

ვცდილობ კვლავ ვიპოვო იგივე გამოსავალი: შევწყვიტო ფიქრი ცხადია, თუ ამას ჰქვია ფიქრი, და თუ ფიქრი, მართლაც ფიქრია. ჩვენ ვითმენთ. მე ვითმენ. მოთმენით ვკმაყოფილდები. ეს უკვე მორჩილებაა. და ყოველთვის, როცა ჩემში ერთი ბენო მორჩილება ჩნდება, შვებას ვგრძნობ. რაღაც სიმშვიდეს, მოსვენებას. ვიძინებ. ასაღებელი არაფერია.

მერე, უცებ, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად, გულზე ის აზრი შემომახტება, რომ მალე მოკვდები. სიკვდილის არ უნდა მშინებოდა, რადგან არ ვიცი, რა არის, თანაც განა მე არ ვთქვი, რომ საკუთარი თავი ნებაზე უნდა მივუშვა? ამაოა. სანოლიდან წამოვხტი, საშინელ შიშს ვგრძნობ, სინათლეს ვანთებ,

ოთახის ერთი ბოლოდან მეორეს ვაწყდები, სასტუმრო ოთახში შევრბივარ, იქაც სინათლეს ვანთებ, არც წოლა შემოძლია, არც ჯდომა, არც ერთ ადგილზე გაუნძრევლად დგომა. და აი, ვმოდრაობ, ვმოდრაობ, მთელ ბინაში დავდივარ, ყველგან სინათლეს ვანთებ და დავრბივარ, დავრბივარ. მილიარდობით ადამიანი იგივე შფოთვით იტანჯება. ყველაფერთან ერთად, დამატებით ამითაც რატომ გვსჯიან? ვერავითარი სიტყვებით, ვერავითარი მსჯელობით ამას ვერ ახსნი. შიშისგან ვიოფლები. როგორც ბევრი სხვა, როგორც ბევრი სხვა. დედამინაზე მცხოვრები მილიარდობით, ყოველი ადამიანი ასეთი შიშით ცხოვრობს და ყოველი მათგანი ფიქრში თვითონაც კვდება და მილიარდობით სხვაც. რატომ? როგორ? ალბათ იმის ბრალია, რომ საცხოვრებელი შევიცვალე, კანტორის სამუშაოებითაც დაკავებული აღარ ვარ, და აი, უცბად, ეს მოულოდნელი შიშიც თავს დამატყდა, რომელიც კარგა ხანია არ მწვევია. ცხოვრება შევიცვალე, ახალი ცხოვრება დავინყე და უწინდელი შიში და სევდა დამიბრუნდა, რომელიც იმ ჩვეულ, გულის გამაწყვლავებელ ცხოვრებაში უნდა გამქრალიყო. სევდა დამიბრუნდა, მთლად ნორჩი, ისეთივე, როგორც პირველი გაცოცხებისა და პირველი სევდის პირველი დღეს. ადამიანი არაფერია. იმავე დროს, ყოველი მათგანი მთელი სამყაროა. „დანეკი და შეწყვიტე, მეტი აღარ იფიქრო, მეტი აღარ იფიქრო“. მერე, ბოლოს და ბოლოს, დადლილობაც მიპყრობს. კეთილი, უწყინარი დადლილობა, თითქოს ხელი ჩაიქნიაო, განთიადის პირველ სხივებთან ერთად მენვია, როგორც იქნა, შევძელი და სანოლიდან მივედი, დავნეკი, საბანი დავიფარე, ჩავყვინთე და დავიძინე.

**ფრანგულიდან თარგმნა  
დავით კახაპერიძე**

**მკითხველთა საყურადღებოდ!**  
 გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).  
 გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:  
 ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“  
 კოდი: MIBGGE22  
 ანგ. № GE61PC0183600100029708

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია იუნეხებიან, რომ გარდაიცვალა პოეტ დილარ ივარდავას მეუღლე

**ცირა ფურცელაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ძვირფასო ავტორებო!**  
 რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა ალემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!